

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №4

სამოქალაქო პროცესი

სამიუბელი

1. განსჯადობა
2. სასამართლო უწყების ჩაბარება
 - შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
 - მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს
 - სასამართლო უწყების გაგზავნა სამუშაო ადგილის მიხედვით
3. სარჩელის გამოხმობა
4. მხარეები სამოქალაქო პროცესში
 - არასათანადო მოსარჩელის შეცვლა
 - არასათანადო მოპასუხის შეცვლა
5. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით
6. სასამართლო მტკიცებულებები
 - მტკიცების ტვირთი
 - მტკიცებულებათა შეფასება
 - აღიარება
 - წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა
 - წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის შემოწმება
 - ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას
 - ექსპერტის დასკვნა
 - განმეორებითი ექსპერტის დანიშვნა

1. განსჯადობა

განჩინება

1ას-436-412-2011

16 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ჯ-იმ» სარჩელი აღძრა სასამართლოში «ვ. ფ-ის» მიმართ და მოითხოვა სასაქონლო ნიშნების: «...» «კორვალოლისა» და «VALIDOL» «ვალიდოლის» რეგისტრაციის გაუქმება. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნულმა პრეპარატებმა დაკარგეს სასაქონლო ნიშნების ძირითადი ფუნქცია და წარმოადგენენ გვარეობით ცნებებს, ვინაიდან აღნიშნულ პრეპარატებს საქართველოში რეგისტრაციამდე სხვადასხვა საწარმო აწარმოებდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ პრეპარატი «ვალიდოლი» «...» არ წარმოადგენს საქონლის გვარეობით ცნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ჯ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სასაქონლო ნიშნების: «...» «კორვალოლისა» და «VALIDOL» «ვალიდოლის», «...», «ჩოვრალოლუმ-ის», «...», «ვალიდოლიუმ-ის» რეგისტრაცია და დაცვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ღია სააქციო საზოგადოება «ფ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ მომხმარებელში არ ხდებოდა პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობდა, რომ სასაქონლო ნიშნები იქცნენ გვარეობით ცნებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილის, 102-ე, 105-ე მუხლების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად მართებულად არ მიიჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციალური ინსტიტუტის მიერ 2008 წლის 10 ივნისს ჩატარებული სოციალური კვლევა იმაზე მითითებით, რომ აღნიშნული კვლევით ნათლად არ გამომდინარეობდა, თუ რა შინაარსის კითხვებზე გასცეს პასუხი რესპოდენტებმა, კერძოდ, არ ირკვეოდა, გამოკითხვის შედეგად დგინდებოდა თუ არა «კორვალოლისა» და «ვალიდოლის» მწარმოებელთა კუთვნილების ფაქტი, თუ კონკრეტულად იმ მწარმოებლის იდენტურობა, რომელიც აწარმოებდა და საქართველოს ბაზარზე შემოჰქონდა აღნიშნული პრეპარატები. ამასთან, ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტის, დისტრიბუციის და რეალიზაციის სფეროში მოღვაწე პირების გამოკითხვის შედეგებით არ შეიძლება მიჩნეულიყო «ვ. ფ-ის», როგორც «რჯჭდფკკკ» «კორვალოლისა» და «VALIDOL» «ვალიდოლის» მწარმოებლის კუთვნილების ფაქტი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად მართებულად მიიჩნია «IPM-ის» მიერ განხორციელებული სამედიცინო პრეპარატების «კორვალოლის» და «ვალიდოლის» შესახებ სატელეფონო გამოკითხვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დემოგრაფიისა და სოციალური ინსტიტუტის მიერ 2008 წლის 10 ივნისს არაპროფესიონალ რესპოდენტებთან ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგები, სადაც მომხმარებლის უმეტესმა ნაწილმა ვერ დაასახელა «ვ. ფ-ი» «რჯჭდფკკკ» «კორვალოლისა» და «VALIDOL» «ვალიდოლის» მწარმოებლად. ამასთან, «IPM-ის» მიერ განხორციელებული სამედიცინო პრეპარატების «კორვალოლის» და «ვალიდოლის» შესახებ სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, რესპოდენტების 90%-მა საერთოდ ვერ დაასახელა «კორვალოლისა» და «ვალიდოლის» მწარმოებელი, ხოლო დანარჩენმა რესპოდენტებმა მწარმოებლად დაასახელეს სხვადასხვა იურიდიული პირები.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ, ვინაიდან 2004 წლისათვის სასაქონლო ნიშანი «ვალიდოლი» არ იყო გარდაქმნილი გვარეობით ცნებად, სასამართლო ვალდებული იყო, 2004 წლიდან დღემდე შეესწავლა ფარმაცევტული ბაზრის მდგომარეობა და გამოეცვლინა მტკიცებულება, რომ სადავო სავაჭრო ნიშნები სწორედ ამ პერიოდში იქცა გვარეობით ცნებებად.

აღნიშნულთან მიმართებაში, პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და თვლის, რომ სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ნიშნები სადავო სასაქონლო გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის იქცნენ გვარეობით ცნებად.

«სასაქონლო ნიშნების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტზე მითითებით სასამართლომ სწორად განმარტა, რომ, მართალია, კონკრეტული სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობით ხორციელდებოდა პროდუქციის ინდივიდუალიზაცია და მისი დაკავშირება კონკრეტულ მწარმოებელთან, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ გარკვეული პერიოდისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემდეგ მან დაკარგა აღნიშნული თვისება და იქცა გვარეობით ცნებად.

ამდენად, ვაკე-საპურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წელს გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა «ვალიდოლი» არ იყო ქცეული გვარეობით ცნებად.

სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა აპელანტის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ სავაჭრო დასახელების გვარეობით ცნებად გადაქცევის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს პროდუქტის განმარტებით ლექსიკონში ერთგვაროვანი საქონლის დასახელებად შეტანა. მოცემულ შემთხვევაში კი აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სასამართლოს მოსაზრებით, «სასაქონლო ნიშნების შესახებ» საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ავალდებულებს გამოცემელს, არ დაარღვიოს ნიშნის მფლობელის უფლებები და თუ გამოცემაში ნიშანი შეიტანა ისე, რომ არ მიუთითა მისი რეგისტრაციის შესახებ, აღნიშნული ამ უკანასკნელის თხოვნით უნდა გამოასწოროს. ამდენად, ხსენებული ნორმა არ ეხება აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ შემთხვევას, რაც არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ღია სააქციო საზოგადოება «ფ-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა «სასაქონლო ნიშნების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლი და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი, როდესაც მიიჩნია, რომ სავაჭრო ნიშნები «კორვალოლი» და «ვალიდოლი» გვარეობით ცნებებად გადაიქცა.

სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს პროდუქციის ინდივიდუალიზაციის საშუალებას, თუმცა დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ გადაწყვეტა პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, კერძოდ, უკავშირებს თუ არა მომხმარებელი წარმოებულ პროდუქციას კონკრეტულ საწარმოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ღია სააქციო საზოგადოება «ფ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები სრულად და ყოველმხრივ არ გამოიკვლია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში შპს «ჯ-ის» სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ «საქპატენტის» მიერ კომპანია «ფ-ის» სახელზე სასაქონლო ნიშნების – «კორვალოლი-სა» და «ვალიდოლის» რეგისტრაციის გაუქმება. ფაქტობრივად, მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ «საქპატენტის» მიერ შემოსენებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ აქტის კანონიერებას, ანუ სადავოა «საქპატენტის» მოქმედების მართლობიერება.

სააპელაციო პალატამ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოთ დასახელებული აქტების უკანონოდ მიჩნევის თაობაზე, რომ თავად ამ აქტების გამცემი ორგანო – «საქპატენტი» დავაში მხარედ არ ჩაუბამს და არც მისი პოზიცია არ გამოურკვევია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, შეფასდეს ის გარემოება, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი «საქპატენტი» ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. მან სადავო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია განახორციელა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული აქტებით. ამდენად, მხარეები დავობენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშესაბამისობაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმი-

ნისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული აქტის კანონშესაბამისობის თაობაზე დავები განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს: მართლზომიერია თუ არა «საქპატენტის» მიერ გამოცემული აქტის კანონშესაბამისობის შეფასება თავად ამ აქტის გამცემი ორგანოს პოზიციის გაუთვალისწინებლად და განხილულ უნდა იქნეს თუ არა «საქპატენტის» სადავო ადმინისტრაციული აქტის კანონიერების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების საფუძველზე.

მხოლოდ აღნიშნული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობდა თუ არა სადავო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის გაუქმებისათვის «სასაქონლო ნიშნების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები და გარდაიქმნა თუ არა სადავო სასაქონლო ნიშნები გვარეობით ცნებად იმ საქონლისათვის, რომლის მიმართაც ის არის რეგისტრირებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ღია სააქციო საზოგადოება «ფ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

1ას-567-535-2011 14 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: დოკუმენტის სიყალბის დადგენა, საკომლო წიგნის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ-ის მ. გამგეობისა და მესამე პირის – ა. მ-ურის მიმართ ა. მ-ურის მიწის მიღება-ჩაბარების 1... აქტისა და მის საფუძველზე საკომლო წიგნში 0,12 ჰა მიწის შესახებ ჩანაწერის სიყალბის დადგენის, ასევე თ-ის მ. გამგეობის სოფელ ...ის ტერიტორიული მართვის ორგანოს 2010 წლის 14 იანვრის 113 ცნობის სიყალბის დადგენის მოთხოვნით.

მოპასუხე თ-ის მ. გამგეობამ სარჩელი ცნო, ხოლო მესამე პირმა განმარტა, რომ მისი უფლება 0,12 ჰა მიწის ნაკვეთზე სოფლის რწმუნებულის ცნობის საფუძველზე რეგისტრირებულია თელავის სარეგისტრაციო სამსახურში და არ წარმოადგენს სიყალბეს, ასევე არ არის ყალბი 1... მიღება-ჩაბარების აქტი.

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-ურის სარჩელი თ-ის მ. გამგეობისა და მესამე პირის – ა. მ-ურის მიმართ დაკმაყოფილდა, ყალბად იქნა აღიარებული 1995 წლის 1... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, მის საფუძველზე საკომლო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი 0,12 ჰა ნაკვეთის თაობაზე და თ-ის მ. გამგეობის სოფელ ...ის ტერიტორიული მართვის ორგანოს 2009 (2010) წლის 14 იანვრის 113 ცნობა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ა. მ-ურმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. მ-ურის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დადგინდა 1995 წლის 1... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის სიყალბე, გაუქმდა აღნიშნული აქტის საფუძველზე საკომლო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი 0,12 ჰა მიწის ნაკვეთის აღრიცხვის თაობაზე, გაუქმდა თ-ის მ. გამგეობის სოფელ ...ის ტერიტორიული მართვის ორგანოს 2009 (2010) წლის 14 იანვრის 113

ცნობა, დანარჩენ ნაწილში თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. მ-ური და მისი ოჯახი სარგებლობს თელავის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით, რომელსაც ესაზღვრება ა. მ-ურის კუთვნილი ნაკვეთი. აღნიშნულ ნაკვეთებს შორის მდებარე 0,12 ჰა ნაკვეთი იმყოფებოდა გ. მ-ურისა და გ. ო-შვილის საერთო სარგებლობაში და წარმოადგენს გ. მ-ურის ნაკვეთამდე მისასვლელ აუცილებელ გზას. დასახელებული გარემოებები დასტურდება მოსარჩელის განმარტებით, თელავის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით, ასევე გ. ო-შვილისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე 1998 წლის მიღება-ჩაბარების აქტით.

¹⁶ საკომლო წიგნის 2001 წლის ჩანაწერების შესაბამისად, ა. მ-ურის სახელზე რეგისტრირებულია 0,22 ჰა და 0,12 ჰა მიწის ნაკვეთები.

ა. მ-ურის სახელზე სოფელ ...ში მდებარე მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია ეფუძნება ძველი საკომლო წიგნის ჩანაწერებსა და 1995 წლის ¹... მიწის მიღება-ჩაბარების აქტს.

ა. მ-ურის ¹⁶ საკომლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე თ-ის მ. გამგეობის ...ის ტერიტორიული ორგანოს მიერ 2009 წლის 14 იანვარს გაიცა ¹³ ცნობა, რომელიც მიუთითებს ა. მ-ურის სახელზე სადავო 0,12 ჰა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ფაქტს.

მიწის მიღება-ჩაბარების შესახებ 1995 წლის ¹... აქტი შეიცავს უსაფუძვლო მონაცემს ა. მ-ურისათვის 0,12 ჰა ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით, რის გამოც ცნობილ იქნა ყალბად თელავის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოებების დადასტურებისათვის საკმარისად უნდა ჩაითვალოს მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტებანი და წარმოდგენილი მტკიცებულებანი, რომელთა საწინააღმდეგოს დამადასტურებელი დოკუმენტები მოპასუხისა და მესამე პირის მიერ წარდგენილი არ ყოფილა, უფრო მეტიც, მოპასუხე თ-ის მ. გამგეობამ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ცნო, ხოლო აპელანტმა ა. მ-ურმა ზემოაღნიშნული გარემოებები სასამართლო სხდომაზე დაადასტურა. გარდა ამისა, ა. მ-ურმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ მიიჩნია ზემოაღნიშნული სარჩელის განხილვის საპროცესო სამართლებრივი საკითხები, კერძოდ, გ. მ-ურის სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველები და ამავე სასარჩელო მოთხოვნით, ნაცვლად აღიარებითი სარჩელისა, მიკუთვნებითი სარჩელის წარდგენის წანამდღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 2009 წლის 4 დეკემბრის დადგენილება განიხილება, როგორც კონკრეტული გარემოებების ამსახველი წერილობითი მტკიცებულება და მასში ასახულ დასკვნებსა თუ დადგენილ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის პრეიუდიციული ძალა არ ენიჭება, თუმცა, მიუხედავად მტკიცებულების არაპრეიუდიციული მნიშვნელობისა, იგი ერთ-ერთ მტკიცებულებად განიხილება და სასამართლო იმ შემთხვევაში ეყრდნობა, თუ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არ იქნება სხვა, აღნიშნული მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტების საწინააღმდეგო, გამაქარწყლებელი მტკიცებულებები. პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აპელანტმა ა. მ-ურმა არათუ გააქარწყლა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, არამედ აღნიშნული ფაქტები სააპელაციო კრიტიკის საგნადაც კი არ აქცია და სარჩელის განხილვის მხოლოდ საპროცესო სამართლებრივი წინამდღვრები გახადა სადავოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობა სამართლებრივად დამოკიდებულია მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მართებულობაზე. იურიდიული ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილებით მისი მიღწევის შესაძლებლობა. ასეთი ტიპის სარჩელის დაკმაყოფილებას რეალური იურიდიული შედეგი, სამართლებრივი სარგებელი უნდა მოჰქონდეს მხარისათვის. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს მის მიმართ არსებული იურიდიული ინტერესის მართებულობა.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სადავოდაა გამხდარი ა. მ-ურის უძრავ ქონებაზე – საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთზე უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტი – 1995 წლის ¹... მიღება-ჩაბარების აქტი და მის საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერი საკომლო წიგნში და ამავე ჩანაწერის საფუძველზე 2009 წლის 14 იანვარს გაცემული ¹³ ცნობა. იქიდან გამომდინარე, რომ სადავოდ გამხდარი დოკუმენტების საფუძველზე მოპასუხე იქნეს უფლებას საერთო სარგებლობის ნაკვეთზე და ამგვარად ილახება მოსარჩელის ამ ნაკვეთით სარგებლობის უფლება, უფლების დამდგენი დოკუმენტების სიყალბის აღიარებისა და მისი გაუქმების მიმართ მოსარჩელეს გააჩნია დასაბუთებული იურიდიული ინტერესი, რის გამოც სარჩელი, არსებითად, მართლზომიერად დაკმაყოფილდა.

პალატამ აღნიშნა, რომ დოკუმენტის სიყალბეს განაპირობებს მასში ისეთი მონაცემის ასახვა, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომე-

ლიც წარმოებულია მართლზომიერად, კანონის საფუძველზე, არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს ყალბად, თუნდაც, მის საფუძველად არსებული დოკუმენტი ყალბად იქნეს აღიარებული. ამგვარი შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დოკუმენტის მომზადებისას მისი შემდგენელი პირის სუბიექტური დამოკიდებულება დოკუმენტში ასახული მონაცემების სისწორის მიმართ. სარეგისტრაციო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტი, თუ დარღვეული არ არის წინდახედულობის ელემენტარული სტანდარტი, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ნამდვილად ითვლება. საწინააღმდეგოს დადასტურება ანუ დოკუმენტის სიყალბის დადგენა არ იწვევს მის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტების ყალბად აღიარებას. ყალბად აღიარებული დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი დოკუმენტით არ უნდა დადგეს იურიდიული შედეგი, რის გამოც, აღნიშნული დოკუმენტი არა ყალბად, არამედ გაუქმებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართლზომიერად დააკმაყოფილა სარჩელი 1995 წლის 1... აქტის ყალბად აღიარების მოთხოვნის ნაწილში, რაც შეეხება ყალბად აღიარებული დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებულ საკომლო წიგნის ჩანაწერსა და მასზე გაცემულ ცნობას, არ არსებობს მათი ყალბად აღიარების საფუძველი, არამედ ისინი უნდა გაუქმდეს შესაბამისი საფუძვლის ყალბად აღიარების გამო.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ გ. მ-ურის სარჩელი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ვინაიდან ამავე დავაზე ერთხელ უკვე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის საფუძველით. დაუშვებლობის საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე სარჩელით მიმართვა სასამართლოსათვის დასაშვებია, თუ აღმოიფხვრება სარჩელის დაუშვებლობის საფუძველები. გარდა ამისა, ა. მ-ურის სარჩელზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყდა, რაც არ გამორიცხავს, ამავე სარჩელზე სამოქალაქო წესით სასამართლო სამართალწარმოების განხორციელებას სამოქალაქო სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების არსებობის პირობებში.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებას იმ საპროცესო დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზე დაყრდნობითაც თელავის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა. დოკუმენტის სიყალბის დადგენა წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის საფუძველს. თუ მხარე მიიჩნევს, რომ მისი უფლება და კანონით დაცული ინტერესი შელახულია ყალბი დოკუმენტით, მას უფლება აქვს, მოითხოვოს დოკუმენტის სიყალბის დადგენა შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმ გარემოების შეფასება, თუ რის საფუძველზე მოხდა მოსარჩელის უფლების ხელყოფა. თუ ამგვარი ხელყოფის საფუძველი დოკუმენტის სიყალბეა, უფლების აღდგენაც სწორედ აღნიშნული დოკუმენტის ყალბად აღიარებით უნდა იქნეს მიღწეული. ამდენად, სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის მითითება, რომ აღიარებითი სარჩელის საფუძველზე საქმის განხილვით დაირღვა მისი, როგორც მესამე პირის, საპროცესო სამართლებრივი უფლებები, მით უმეტეს, რომ ეს არის ის ერთადერთი გარემოება, რასაც აპელანტი თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველად მიიჩნევს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. მ-ურის წარმომადგენელმა თ. მ-ელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. და ა. მ-ურების ნაკვეთებს შორის მდებარე 0.12 ჰა ნაკვეთი იმყოფებოდა გ. მ-ურისა და გ. ო-შვილის საერთო სარგებლობაში და წარმოადგენს გ. მ-ურის ნაკვეთამდე მისასვლელ აუცილებელ გზას. თელავის რაიონის სოფელ ...ში ა. მ-ურის სახელზე მდებარე სადავო მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია ეფუძნება ძველი საკომლო წიგნების ჩანაწერებსა და 1995 წლის 1... მიწის მიღება-ჩაბარების აქტს.

2010 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც გ. მ-ურმა სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში, უკვე არსებობდა თელავის რაიონული პროკურატურის 2010 წლის 7 მაისის დადგენილება გ. მ-ურის შვილის – მ. მ-ურის განცხადების გამო წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ა. მ-ურის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე.

წინასწარ გამოძიებას საფუძველად დაედო გ. მ-ურის შვილის – მ. მ-ურის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ა. მ-ურმა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის გამოიყენა ყალბი დოკუმენტი, შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში საჯარო რეესტრი და უკანონოდ მოახდინა სხვისი მიწის ნაკვეთის თავის სახელზე რეგისტრაცია. ასეთ ყალბ დოკუმენტად კი მ. მ-ურს მიაჩნდა წინამდებარე გადაწყვეტილების დავის საგანი – სოფელ ...ის ტერიტორიული ორგანოდან მიღებული 113 ცნობა.

თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ე. ტ-შვილის 2010 წლის 7 მაისის დადგენილებით სადავო ცნობა გაიცა 16 საკომლო წიგნისა და საგადასახადო სიის საფუძველზე. თელავის რაიონის სოფელ ...ში მცხოვრები ა. მ-ურის მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში 2010 წლის 25 იანვარს მოხდა კანონიერად. 113 ცნობაში სწორად არის მითითებული ყველა ის ნაკვეთი, რომელიც ა. მ-ურის კანონიერ მფლობელობაშია და მან მართებულად მოახდინა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია ამ ცნობის საფუძველზე, რადგან, თავის მხრივ, ცნობას საფუძველად დაედო საგადასახადო სიების ჩანაწერი.

ამდენად, სარჩელის აღმზრდისა და გ. მ-ურმა იცოდა თელავის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საწინააღმდეგოდ 2010 წლის 7 მაისის დადგენილების, ასევე ამ დადგენილების ძალაში დატოვების თაობაზე თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 ივნისის დადგენილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2010 წლის 5 ივლისის დადგენილების არსებობა, თუმცა შეგნებულად დამალა იგი სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად. ა. მ-ურმა კი მისი არსებობის შესახებ არც იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა საქმეზე სხვა სახის გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაადგინა 1995 წლის 1... მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის სიყალბე, გააუქმა საკომლო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი 0,12 ჰა მიწის ნაკვეთის აღრიცხვის თაობაზე და გააუქმა თ-ის მ. გამგეობის სოფელ ...ის ტერიტორიული მართვის ორგანოს 2009(2010) წლის 14 იანვრის 113 ცნობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო საქმეთა პალატამ არასწორი შეფასება მისცა იმ გარემოებას, ჰქონდა თუ არა გ. მ-ურს მოცემული დავის განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი. მითითებული ნორმის თანახმად, დავა შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის შესახებ თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. სააპელაციო პალატა უთითებს, რომ 2009 წლის 14 იანვარს გაცემული 113 ცნობის საფუძველზე მოპასუხე იძენს უფლებას საერთო სარგებლობის ნაკვეთზე, რითაც ილახება მოსარჩელის ამ ნაკვეთით სარგებლობის უფლება. აღნიშნული გარემოება სასამართლომ მიიჩნია უფლების დამდგენი დოკუმენტების სიყალბის აღიარების და მისი გაუქმების მიმართ იურიდიული ინტერესის დამადასტურებელ გარემოებად. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ამ მოსაზრებას, რადგან მითითებული ცნობის გაუქმების შემთხვევაშიც ვერ იძენს მოსარჩელე ვერანაირ უფლებას საერთო სარგებლობის გზაზე, რადგან სადავო მიწის ნაკვეთი რჩება ა. მ-ურის საკუთრებაში. საკუთრების უფლების გაუქმების მოთხოვნა მოსარჩელეს დაყენებული არ აქვს. უფრო მეტიც, გ. მ-ურს არც მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემა მოუთხოვია. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებანი მივიჩნიოთ მხარის იურიდიულ ინტერესად განსახილველი საქმის მიმართ. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – ა. მ-ურის საკუთრების უფლების გაუქმება სადავო მიწის ნაკვეთზე – არ მიიღწევა მოცემული სარჩელით.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან მიმართებაში, რომ ვინაიდან, ამავე დავაზე ერთხელ უკვე შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის საფუძველით, გ. მ-ურის სარჩელი აღარ უნდა განხილულიყო სასამართლოს მიერ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტა არ გამოიციხავს ამავე სარჩელზე სამოქალაქო წესით სამართალწარმოების განხორციელებას სამოქალაქო სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში.

საკასაციო პალატა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს ასეთი სახის მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. საქმის სამოქალაქო წესით განხილვა შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო დავის არსებობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი განსახილველი დავა არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაში მითითებულია, რომ განსახილველი სარჩელის მოთხოვნა ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით – აღიარებულ იქნეს, რომ საკომლო ჩანაწერი ა. მ-ის სახელზე არის ყალბი 0,12 ჰექტარის ნაწილში. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას აღნიშნული საქმის განსჯადობა სადავოდ არ გაუხდია. სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე, 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი არ შეიძლება განხილულიყო როგორც აღიარებითი სარჩელი. ამასთან, პალატის აზრით, მხარეს შეეძლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე მოეთხოვა სარეგისტრაციო ჩანაწერისა და მის საფუძველზე არსებული დოკუმენტების ბათილად ცნობა.

სამოქალაქო სასამართლოს მიერ გ. მ-ურის სარჩელის განხილვისას ზემოთ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ახალი არაფერია დამატებული. შესაბამისად გაუგებარია, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძინა დავამ სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათი. იგივე შეიძლება ითქვას თ-ის მ. გამგეობის სოფელ ...ის ტერიტორიული მართვის ორგანოს 2009 წლის 14 იანვრის ცნო-

ბის გაუქმების თაობაზეც. აღნიშნულიც ცალსახად ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა და მისი განხილვის უფლებამოსილება სწორედ ამ პალატის პრეროგატივაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. იმავდროულად პალატა თვლის, რომ მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილების უფლებამოსილება სამოქალაქო პალატას არ გააჩნია და დავა განსახილველად უნდა გადაეცეს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. მ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

1ას-224-210-2011

6 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: შპს «ა-ოს» მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამოშლა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ა-ოს» ლიკვიდატორმა ზ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ შპს «ა-ოს» ლიკვიდაციის რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და აღნიშნულის გამო სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2004 წლის 3 ივნისის შპს «ა-ოს» ლიკვიდატორმა განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შპს «ა-ოს» სამეწარმეო რეესტრიდან ამორიცხვა, რისთვისაც წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი. მოგვიანებით მოსარჩელემ შეიტყო, რომ რეგისტრაცია გაუქმებული არ არის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ა-ოს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის რეგიონალური ცენტრის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა სსიპ «შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის რეგიონული ცენტრი», ხოლო მის უფლებამონაცვლედ კი – სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო».

ამავდროულად სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ა-ოს» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «ა-ოს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 3 ივნისის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, ანუ იმ პერიოდში სამეწარმეო რეესტრის მწარმოებელ ორგანოში, წარდგენილ იქნა შპს «ა-ოს» დირექტორის განცხადება შპს «ა-ოს» სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის მოთხოვნით. განცხადებას არ მოჰყოლია საპროცესო წარმოება. საქმეში არ არის წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ 2004 წლის 3 ივნისიდან 2008 წლის 14 აპრილამდე მარეგისტრირებული ორგანოსათვის მიმართვას.

შპს «ა-ოს» წარმომადგენელმა 2008 წლის 14 აპრილის განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას, ანუ შესაბამის პერიოდში სამეწარმეო რეესტრის მწარმოებელ ორგანოს და მოითხოვა 2004 წლის 3 ივნისის განცხადებაზე რეაგირება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაცია არ განხორციელებულა. მას შემდეგ, რაც «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მარეგისტრირებელ ორგანოდ განისაზღვრა სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო», შპს «ა-ოს» განცხადება არქივთან ერთად გადაეცა ამ უკანასკნელს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილებით, 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და მიიჩნია, რომ შპს «ა-ოს» ლიკვიდაციის რეგისტრაცია არ განხორციელებულა, იგი ამჟამად ითვლება სამოქალაქო უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტად.

«მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე, მეშვიდე პუნქტების, «მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის» საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «ა-ოს» დირექტორის მიერ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრულ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნებს. ამას ადასტურებს თავად მოსარჩელეც. შპს «ა-ოს» ლიკვიდაცია რეგისტრირებული არ არის, იგი ამჟამად ითვლება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ამჟამინდელ პერიოდამდე ნებისმიერ დროს შეიძლება, ჩაბმულიყო სამოქალაქო ბრუნვაში, დაედო გარიგება და ა.შ. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომ ამჟამად მას არ ერიცხება არანაირი დავალიანება და ყველა კრედიტორი დაკმაყოფილებულია.

საქმის მასალებით არ დასტურდება არც განცხადების წარდგენის მომენტში იმ პერიოდში მოქმედი სალიკვიდაციო პროცესის მარეგულირებელი და რეგისტრაციის წესის განსაზღვრელი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის ფაქტი. კერძოდ, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც არის მართებულად აღნიშნული, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის 14.2 მუხლის შესაბამისი პერიოდის რედაქცია განამტკიცებდა ლიკვიდატორის ვალდებულებას, დანიშნისთანავე შეედგინა ბალანსი და, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობდა გადახდისუნარობა, გაესტუმრებინა საზოგადოების ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ შპს «ა-ოს» განცხადების წარდგენის მომენტში არ გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, თუმცა საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დადასტურებულიყო, რომ შპს «ა-ოს» მაშინ არ ჰქონდა სხვა სახის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

პალატამ აღნიშნა, რომ 2004 წლის 8 თებერვალს შპს «ა-ომ» განახორციელა საჯარო პუბლიკაცია ლიკვიდაციის თაობაზე დაინტერესებულ პირთათვის შეტყობინების მიზნით. რაც შეეხება აპელანტის მითითებას, რომ 2004 წლის 3 ივნისის განცხადების ბოლოს დანართის ჩამონათვალში ასევე აღნიშნულია ბალანსი, ეს თავისთავად ვერ ადასტურებს სათანადო შინაარსის ბალანსის არსებობას, ანუ იმ ფაქტს, რომ მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი იყო ბალანსი, რომლის თანახმადაც საწარმოს აღარ ჰქონდა დავალიანება და ყველა კრედიტორი იყო გასტუმრებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ა-ომ» გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: შპს «ა-ომ» კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს სამეწარმეო რეესტრიდან საზოგადოების ამომლის მოთხოვნით და მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო, მოეხდინა ლიკვიდაციის რეგისტრაცია, მიუხედავად იმისა, მიმართავდა თუ არა შემდეგ მხარე თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების გამოსარკვევად.

სასამართლომ ვერ მიუთითა სამართლებრივი ნორმა, რომლითაც შპს «ა-ოს» ევალებოდა იმაზე მეტი დოკუმენტაციის წარდგენა, ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ა-ოს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში შპს «ა-ო» სარჩელით ითხოვს შპს «ა-ოს» ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და აღნიშნულის გამო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრიდან ამომლას. სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის განხორციელება «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შედის სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს» მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრის კომპეტენციაში. თავის მხრივ, სსიპ «საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო» არის «საჯარო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო.

«მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების პირობები და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული «მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით». მითითებული ნორმატიული აქტის თანახმად, «მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის» მიზანია სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო წარმოებისა და ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი და პროცედურული საკითხების განსაზღვრა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, საჯარო ინფორმაციისა და სხვა მონაცემების შემცველი დოკუმენტების შინაარსის, ფორმებისა და ტექნიკური პირობების დადგენა, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული წარმოებებისა და ინფორმაციის გაცემის რეგულირება.

2011 წლის 24 ივნისს «მეწარმეთა შესახებ» კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც მეწარმე სუბიექტთა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. განხორციელებული ცვლილების თანახმად, «მეწარმეთა შესახებ» მე-14² მუხლის პირველი პუნქტით, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და დადგინდა მისი გაუქმების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით, გარდა მითითებული მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მე-4 პუნქტი განსაზღვრავს პროცედურას, როდესაც მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება იწვევს რეგისტრირებული მეწარმის რეგისტრაციის შეწყვეტას ისე, რომ მას არ რჩება სამართალმემკვიდრე, ასეთ დროს მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს რეგისტრაციისათვის ხარვეზის დადგენის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მეწარმეს განუსაზღვრავს ვადას.

ზემოაღნიშნული ცვლილება ცხადყოფს, რომ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია არ შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით და, შესაბამისად, მითითებული დავა არ შეიძლება, გადაწყდეს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

სწორედ იმ საფუძველით, რომ სარეგისტრაციო წარმოების მოთხოვნები შეცვლილია და განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა მოქმედ მოთხოვნებს, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. აპელანტი ვერ აკმაყოფილებს ვერც ამჟამად მოქმედ სარეგისტრაციო მოთხოვნებს, რა საფუძველითაც არ ცნობდა სააპელაციო საჩივარს ამჟამად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოც.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნული დავა განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სასამართლოს ასეთი სახის მოქმედება არ გამომდინარეობს ზემოთ მითითებულ ნორმათა შინაარსიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული დავა განსახილველად უნდა გადაეცეს ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავათა განმხილველ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ა-ოს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასამართლო უწყების ჩაბარება

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ა-2947-ბ-21-2011

3 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული უძრავ-მოდრავი ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ა-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ა-ის, ზ. ბ-ისა და ბ. ი-ის მიმართ მ. ა-ისათვის დაკისრებული თანხის – 17323 აშშ დოლარის ანაზღაურების მიზნით ზ. ბ-ის საკუთრებაში რიცხული, ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. 172-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული 160 ბინის, ბ. ი-ის კუთვნილი, «მერსედეს ბენც 250დ» მარკის ავტომობილის (სახელმწიფო 1..., სარეგისტრაციო მოწმობის 1...), მ. ა-ის კუთვნილი «კამაზ 5410-ის» (სახელმწიფო 1..., სარეგისტრაციო მოწმობის 1...), საძინებელი გარნიტურის, მისაღები ოთახის გარნიტურის, პიანინო «ოქტავასა» და «ტაგრას» მარკის პერსონალური კომპიუტერის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხე მ. ა-ემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მან ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა, რაც უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციაზე უარის თქმის საფუძველია, ზ. ბ-ესა და ბ. ი-ეს სასამართლოსათვის შესაგებლით არ მიუმართავთ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ა-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და იმ საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მათ უარი ეთქვათ საქმის წარმოების შეწყვეტაზე და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით საქმის წარმოების შეწყვეტა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ა-ის, ზ. ბ-ისა და ბ. ი-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით აპელანტებს უარი ეთქვათ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე საოქმო განჩინების გაუქმების მოთხოვნაზე, ამავე გადაწყვეტილებით ქ. ა-ის სარჩელი იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ა-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე სასამართლო ხარჯების მოპასუხეთათვის დაკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით ქ. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატამ მიუთითა ამავე სასამართლოს 2011 წლის 20 მაისის განჩინებაზე, რომლითაც ქ. ა-ეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღის ვადაში 17 323 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარის) 5%-ის, მაგრამ არანაკლებ 300 ლარის გადახდა. სასამართლომ, საქმის მასალებზე დაყრდნობით, დადასტურებულად ჩათვალა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა კასატორს და საქმეში მითითებულ მისამართზე 2011 წლის 31 მაისს ჩაბარდა მ. კ-ეს. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და ჩათვალა, რომ მ. კ-ისათვის შეტყობინების ჩაბარება ითვლება ქ. ა-ისათვის ჩაბარებად. პალატამ, ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი შვიდდღიანი ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია 2011 წლის 1-ელი ივნისი, ხოლო დასასრულად – 2011 წლის 7 ივნისი. კასატორმა ხარვეზის გამოსწორებისათვის დაკისრებული დოკუმენტებით საფოსტო განყოფილებას მიმართა 8 ივნისს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობდა ქ. ა-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

ქ. ა-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

არასწორია სასამართლოს განმარტება ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ქ. ა-ის ოჯახის წევრ ვინმე, კ-ისათვის ჩაბარებისა და საპროცესო ვადის დარღვევის თაობაზე, რადგანაც სასამართლო შეტყობინება მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით ჩაბარდა. სასამართლო შეტყობინების ჩაბარების დასტურში არაა მითითება უწყების ჩამბარებული პირის კასატორთან დამო-

კიდებულების თაობაზე და კ-ე წარმოადგენდა თუ არა ქ. ა-ის ოჯახის წევრს. საკასაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილი. ქ. ა-ე შეტყობინების მიმღები კ-ის ოჯახის წევრი არაა, ვინაიდან ქ. ა-ის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი მისი მეუღლის საცხოვრებელი სახლია, მდებარე ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ ..., ... ქ'3-ში. მისამართი, სადაც სასამართლო შეტყობინება გაიგზავნა, ფორმალურადაა მითითებული ქ. ა-ის პირადობის მოწმობაში. ამ მიზეზის გამო, კასატორ ქ. ა-ის ძირითად მისამართად საკასაციო საჩივარში შეცდომით მიეთითა ... ქ'4, ბინა 113. აღნიშნულ გარემოებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქმეში არსებული შეტყობინებები, რომლებიც განმცხადებელს ამავე მისამართზე გაეგზავნა, პირადად არასოდეს ჩაბარებია. ამასთან, კ-ეს გზავნილის ქ. ა-ისათვის გადაცემის ვალდებულება არ შეუსრულებია.

განმცხადებლის განმარტებით, ის გარემოება, რომ გზავნილის ჩამბარებელი პირი ქ. ა-ის ოჯახის წევრი არაა და ის ფაქტი, რომ მას ამ კორესპოდენციის ადრესატისათვის გადაცემის ვალდებულება არ განუხორციელებია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განჩინების ბათილად ცნობის საფუძველია.

განმცხადებელმა მითითებული გარემოების დადასტურების მიზნით მოითხოვა სასამართლო შეტყობინების ჩამბარებელი კურიერის მოწმის სახით დაკითხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ქ. ა-ის განცხადება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ა-ის მოთხოვნა საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებია, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის. თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. მოცემული ნორმის საფუძველზე, პალატამ განცხადების განხილვის საკითხი დაადგინა ზეპირი მოსმენის გარეშე.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით, ქ. ა-ის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: ქ. ა-ის მიერ წარმოდენილ საკასაციო საჩივარში კასატორის ძირითად მისამართად მითითებულია ქ. ბათუმში, ... ქ'4, ბინა 113. აღნიშნულის გარდა სხვა მისამართი მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია. ამავე საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ საქმის წარმოების განმავლობაში სასამართლო კორესპოდენცია მხარეს ეგზავნებოდა ამ მისამართზე და შეტყობინებებს იბარებდა ადრესატის რძალი – მ. კ-ე. ქ. ა-ეს საქმის წარმოების განმავლობაში არაერთ პროცესუალურ დოკუმენტზე (სააპელაციო პასუხი, საკასაციო საჩივარი, ხარვეზის გამოსწორების თაობაზე წარმოდგენილი განცხადება და სხვა) აქვს მითითებული სადავო მისამართი.

მითითებული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავით განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესები და ამომწურავადაა რეგულირებული სასამართლო კორესპოდენციის მიღება-გაგზავნის წესები. ამავე თავის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინების ზოგადი წესი და დადგენილია, რომ მხარე ინფორმირებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება ჩაბარდა მას პირადად ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ამავე კოდექსის 71-ე მუხლის ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე, მოდავე სუბიექტს კანონმდებელი იმპერატიულად ავალდებულებს მისამართის სწორად მითითებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ გათვალისწინებულია ე.წ «პროცესუალური სანქციის» გამოყენება. თავისთავად, ის ფაქტი, რომ ამავე ნორმის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის განუხილველად დატოვების შესაძლებლობა მოსარჩელის მიერ საკუთარი ან მოპასუხის მისამართის არასწორად მითითებაა, მიანიშნებს მხარის ვალდებულებაზე, სასამართლოს აცნობოს სწორი მისამართი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის რისკი მხარეს ეკისრება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი

უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმით პირდაპირაა გათვალისწინებული სასამართლო უწყების (შეტყობინების) უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის წინაპირობა და დადგენილია, რომ უწყების გადაცემის დროს მხარის არყოფნისას, ის უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს უბრუნდება საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაბარებული უწყების (საფოსტო შეტყობინების) მე-2 ეგზემპლარი სხვა პირის ხელმოწერით, საქმის განხილველი მოსამართლე, გონივრულობის ფარგლებში, ყოველთვის ვარაუდობს, რომ ხელის მომწერი პირი ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია. აღნიშნულ დასკვნას ასევე განამყარებს ზემოაღნიშნული 71-ე მუხლი.

დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ მას შემთხვევით მიეთითა სადავო მისამართი საქმეში, რომ ვინმე «კ-ე» მისი ოჯახის წევრი არაა და მისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, რადგანაც, უპირველესად, სწორედ საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ მ. კ-ე ქ. ა-ის რძალია, საწინააღმდეგო შემთხვევაშიც კი, საქმის წარმოების განმავლობაში სადავო მისამართის მითითება (მხარე ადასტურებს იმასაც, რომ მის პირადობის მოწმობაშიც აღნიშნული მისამართია მითითებული) გამორიცხავს სასამართლოს ვარაუდის შესაძლებლობასაც კი, რომ მხარე ამ მისამართზე არ ჩაიბარებდა სასამართლო შეტყობინებას და მას გზავნილი სასამართლოსათვის უცნობ ალტერნატიულ მისამართზე უნდა გაგზავნილიყო.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ქ. ა-ის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი ოჯახის ქმედუნარიანი წევრის მიერ უწყების ადრესატისათვის დროულად გადაუცემობის ფაქტია და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილის დანაწესი, რომ უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს, უწყების ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს უდგენს ქმედების განხორციელების ვალდებულებას და აღნიშნული ურთიერთობის რეგულირება სასამართლოს კომპეტენცია არ არის. კანონმდებლის აღნიშნული დასკვნა ორიენტირებულია მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მცხოვრები ოჯახის ქმედუნარიანი წევრისა და უშუალოდ ადრესატის ურთიერთობაზე. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის სხვაგვარი განმარტება დაუშვებელია.

საკასაციო პალატა, უსაფუძვლობის გამო, ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მითითებას, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, რადგანაც, დასახელებული ნორმით დადგენილია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. დასახელებული ნორმით რეგულირებულია საკითხი, როდესაც სასამართლო საქმის განხილვისას დაარღვევს მხარეთა უფლებებს იმგვარად, რომ გამოიტანს გადაწყვეტილებას მხარის წინააღმდეგ, რომელიც დავის არსებობის თაობაზე არ იყო ინფორმირებული და აღნიშნულით დაირღვა მისთვის გარანტირებული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, ანუ გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება და სამართლებრივი შედეგი უშუალოდ მიმართულია მხარის წინააღმდეგ, რომელსაც საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ მისცემია.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო უტყუარად მიიჩნევს რა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით ქ. ა-ის კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით ინფორმირების ფაქტს, თვლის, რომ არ არსებობს მისი განცხადების დაკმაყოფილების თუნდაც ფორმალური წინაპირობა, ხოლო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის განჩინება კანონის ნორმათა სწორად გამოყენებასა და ამ ნორმების სწორ განმარტებას ეფუძნება, რაც მისი ძალაში დატოვების უტყუარი წინაპირობაა.

რაც შეეხება ქ. ა-ის შუამდგომლობას მოწმის დაკითხვის თაობაზე, საკასაციო პალატა, უსაფუძვლობის გამო, ვერ გაიზიარებს აღნიშნულს და განმარტავს შემდეგს: საქმის მასალებით დადგენილია რა, რომ სასამართლო შეტყობინება ქ. ა-ეს გაეგზავნა მის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ერთადერთ მისამართზე და კორესპოდენცია ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ სუბიექტს, სასამართლომ აღნიშნული ფაქტი სწორად ჩათვალა ქ. ა-ისათვის შეტყობინების ჩაბარებად, ის გარემოება, რომ ქ. ა-ის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია მ. კ-ე, გარდა საქმის მასალებისა, დასტურდება ასევე კანონით დაშვებული პრეზუმფიციიდან. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლებს და მი-

სი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, პალატა ვერც მოწმეს დაკითხავს სასამართლო სხდომაზე და მის ჩვენებას, როგორც ახალ მტკიცებულებას, ვერ შეაფასებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ა-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის, საქმის წარმოების განახლებისა და მოწმის დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-380-353-2010

5 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «კ-ას» დირექტორმა მ. ვ-ამ მ. ს-ისა და ნოტარიუს მ. მ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 500 000 აშშ დოლარის დაკისრების, ასევე 2003 წლის 27 მაისის 11/172 ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, სამტრედიის რაიონული პროკურატურის 2003 წლის 13 ივნისის დადგენილებით მ. ს-ის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის (ძველი რედაქციით) 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდა, რის შედეგადაც განუხილველად დარჩა წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი. გამოძიების მსვლელობისას ჩატარებული ექსპერტიზით უტყუარადაა დადასტურებული, რომ 1991 წლის 10 ოქტომბერს შპს «კ-ას» და მ. ს-ეს შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების საფუძველზე, ...კომპანია «გ-ას», რომლის დირექტორიც მ. ს-ე იყო, 10 000 000 რუსული მანეთი გადაერიცხა. მ. ს-ე ვალდებული იყო, მიღებული თანხა მიზნობრივად, კერძოდ კი, ერთობლივი კომერციული საქმიანობისათვის გამოეყენებინა. თანხის სხვაგვარად გამოყენებისათვის საჭირო იყო მეორე მხარის წერილობითი თანხმობა. ხელშეკრულების მიხედვით, ...კომპანიის მოგების 50%, გადასახადების დარიცხვის გარეშე, უნდა გადასცემოდა შპს «კ-ას», ხოლო შემენილი ქონება უნდა აღრიცხული მხარეთა საერთო საკუთრებად 50-50%-იანი წილის უფლებით. გამოძიებით დადასტურდა, რომ მ. ს-ემ ნდობით ბოროტად ისარგებლა, მიითვისა შპს «კ-ას» კუთვნილი თანხა და იგი პირადი მიზნებისათვის გამოიყენა. გარდა ამისა, სამტრედიის პროკურატურის მიერ სამოქალაქო სარჩელის გადაცემის შემდეგ, მოპასუხემ ...კომპანია «გ-ის» 100%-იანი წილი აჩუქა თავის ქალიშვილს ხ. ს-ეს. აღნიშნული ხელშეკრულება კი, მოჩვენებით დადებული გარიგება იყო.

სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა გაზარდა და მ. ს-ისათვის 1 000 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ხ. ს-ე ჩაება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «კ-ას» დირექტორ მ. ხ-ე-ვ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მ. ს-ეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის

საკომპენსაციოდ **308756** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა, ასევე ბათილად იქნა ცნობილი მ. ს-ესა და ხ. ს-ეს შორის **2003** წლის **27** მაისს გაფორმებული **11/-172** ჩუქების ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ს-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ **2006** წლის **24** ივლისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2006** წლის **15** თებერვლის გადაწყვეტილება.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მ. ს-ის წარმომადგენელმა მ. ღ-მა გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **11** თებერვლის განჩინებით გაუქმდა მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

იმავე სასამართლოს **2010** წლის **11** თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2006** წლის **15** თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ფირმა «კ-ას» დირექტორის სარჩელი თანხის დაკისრებისა და **2003** წლის **17** მაისის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, მ. ს-ის წარმომადგენლის განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების თაობაზე დაკმაყოფილდა, შპს «გ-ის» **100%**-იანი წილი დაუბრუნდა ხ. ს-ეს და აღირიცხა მის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს **2005** წლის **14** ივნისის დადგენილებით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ბრალდებულ მ. ს-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. დადგენილებით ირკვევა, რომ მ. ს-ე დაეთანხმა მის ბრალეულობას **10 000 000** რუსული მანეთის თაღლითური გზით მითვისების თაობაზე;

2. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ **1991** წლის **1** ოქტომბერს, როდესაც მოსარჩელესა და მ. ს-ეს შორის ერთობლივის საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, ეს უკანასკნელი არ იყო უფლებამოსილი პირი ...კომპანია «გ-ის» სახელით ხელშეკრულება დაედო. მ. ს-ემ მოსარჩელე მხარის მოტყუების შედეგად **10 000 000** რუსული მანეთი მიითვისა;

3. ქუთაისის რეგიონული სამრეწველო პალატის **2003** წლის **20** მარტის **1...** ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ მოსარჩელემ **1991** წლის ოქტომბერში მ. ს-ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადასცა;

4. იმავე დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზის ჩატარების დროისათვის – **2003** წლის მარტისათვის, **10 000 000** რუსული მანეთი **308 756** აშშ დოლარს შეადგენდა;

5. **2003** წლის **27** მაისს მ. ს-ემ ...კომპანია «გ-ის» **100%**-იანი წილი თავის შვილს, ხ. ს-ეს, აჩუქა;

6. **1991** წლის **10** ოქტომბრის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ მხარეები ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმდნენ, რაც მოსახლეობის მომსახურებასა და შიდა ბაზრის სხვადასხვა პროდუქტებით მომარაგებას მოიცავდა;

7. ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების მიხედვით, «კტკ გ-ა» ვალდებული იყო, ყოველკვარტალურად გადაერიცხა შპს «კ-ას» კუთვნილი წილი მოგებიდან;

8. მ. ვ-ამ მ. ს-ეს არაერთგზის მიმართა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისა და ...კომპანიის **50%**-ის გადაფორმების მოთხოვნით;

9. მ. ვ-ამ პროკურატურას მ. ს-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის მოთხოვნით **2003** წელს მიმართა. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე **2003** წლის **13** ივნისის დადგენილებით სამოქალაქო სარჩელი განუხილველი დარჩა, რის შემდეგაც, **2003** წლის **7** ივლისს მ. ვ-ამ სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით მიმართა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით;

10. საქმეში განთავსებული ე.წ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ჩეკის ყუის ქსეროასლით არ ირკვევა ვის მიერ ან რა მიზნითაა აღნიშნული დოკუმენტი შედგენილი;

11. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს **2006** წლის **15** თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა რა ცნობილი მ. ს-ესა და ხ. ს-ეს შორის **2003** წლის **27** მაისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, გაუქმდა ...კომპანია «გ-ის» **100%**-იანი წილის ხ. ს-ის სახელზე რეგისტრაცია და, **308756** აშშ დოლარის მ. ს-ის მიერ ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, შპს «გ-ის» **100%**-იანი წილი მ. ვ-ა-ხ-ის სახელზე აღირიცხა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება თანხის შპს «კ-ასათვის» დაბრუნების თაობაზე და მიუთითა, რომ მხარემ ეს გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია შპს «კ-ასათვის» **10 000 000** რუსული მანეთის ზიანის მიყენების ფაქტი, მაგრამ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რადგანაც **1964** წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით საერთო ხანდაზმულობის ვადა **3** წელს შეადგენდა. განსახილველ შემთხვევაში კი, მხარისათვის უფლების დარღვევის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის – ერთი კვარტლის გასვლისთანავე უნდა შეეტყო. სათანადო გონივრული წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში კი, მისთვის იმავდროულად უნდა გამხდარიყო ცნობილი, რომ მ. ს-ე არაუფლებამო-

სილი პირი იყო და ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა 2003 წლიდან, სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის განუხილველად დატოვების მომენტიდან უნდა დაწყებულიყო და განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები სამოქალაქო წესით აღძრულ სარჩელზე არ ვრცელდებოდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მ. ვ-ას სარჩელის უფლება 1991 წლიდან წარმოეშვა, 3-წლიანი ვადა კი, 1994 წელს ამოიწურა. ვინაიდან ამ უკანასკნელმა სამოქალაქო სარჩელი 2003 წელს წარადგინა პროკურატურაში, ხანდაზმულობის ვადის დენა ამ დროისათვის აღარ მიმდინარეობდა და, შესაბამისად, არც შეწყვეტილა.

რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების საფუძველზე დასაჩუქრებული ქონებას ფაქტობრივად არ დაუფლებია, ამდენად, მისი მითითება გარიგების მოჩვენებითობის თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება შპს «კ-ას» დირექტორმა მ. ვ-ა-ბ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. საკასაციო საჩივარს შემდეგი ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამდგვრები უდევს საფუძველად:

1. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 440-ე და 242-ე მუხლები;

2. საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია, რომ ფირმა «კ-ას» სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე აღძრული სამოქალაქო სარჩელია, შესაბამისად, მისი განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 თავი;

3. სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადები განმარტა არა ამ კატეგორიის საქმეზე კანონის სპეციალური მითითების შესაბამისად, არამედ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, რითაც დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის დანაწესი სამოქალაქო სარჩელებზე სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოყენების აკრძალვის თაობაზე;

4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, მოცემულ საქმეზე დაშვებულ იქნა მ. ს-ის საჩივარი, რის შედეგადაც გაუქმდა კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

5. სააპელაციო სასამართლოს მტკიცება მ. ს-ის წარმომადგენელ ვ. თ-ის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განმხილველ წინა შემადგენლობას საპატიოდ უნდა მიეჩნია ვ. თ-ის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის გამო და გადაედო საქმის განხილვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით კი, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაუბარებლობა სხდომის გადადების საფუძველი არ არის;

6. სასამართლომ იმგვარად დაადგინა აღსრულების შებრუნება, რომ არ გაურკვევია, ვის ეკუთვნოდა ქონება, რომელიც ხ. ს-ეს მიაკუთვნა, რომელსაც ამგვარი მოთხოვნა არ დაუყენებია და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუსაჩივრებია ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მ. ს-ის მოთხოვნა აღსრულების შებრუნების თაობაზე, მაგრამ ქონება ხ. ს-ეს მიაკუთვნა, ამასთან, სასამართლოს არ გაურკვევია, ვის სახელზე ირიცხებოდა ქონება დაბრუნების მომენტში და 2007 წლის დოკუმენტებით იხელმძღვანელა;

7. სააპელაციო პალატამ ხანდაზმულობის ვადა 1991 წლის 11 ოქტომბრიდან, მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, არასწორად ათვალა;

8. გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბაჟი ფიზიკურ პირ მ. ვ-ას დაეკისრა, მაშინ, როდესაც მხარე ფირმა «კ-აა.»

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს «კ-ას» დირექტორ მ. ვ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომელიც წინ უსწრებს სააპელაციო სასამართლოს არსებით გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არასწორად გააუქმა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმმრეელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე-241-ე მუხლების შესაბამისად უნდა მოხდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით კი, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ს-ის წარმომადგენელს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარში არც ერთ ამგავრ საფუძველზე არ მიუთითებია.

მ. ს-ის ადვოკატი მ. ღ-ი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძველით ითხოვდა, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო აპელანტის მისამართის ცვლილების შესახებ, მაგრამ ახალ მისამართზე სასამართლო უწყება არ გაუგზავნია, გარდა ამისა, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის იმ პერიოდისათვის წარმომადგენლის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარის აღნიშნული მოსაზრებები უსაფუძველოდ გაიზიარა.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, უწყება ორჯერ გაეგზავნა მ. ს-ეს სასამართლოსათვის ცნობილი მისამართზე და არ ჩაბარდა, რადგანაც მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობდა. საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მ. ს-ემ სასამართლოს მისამართის ცვლილების შესახებ შეატყობინა, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს სრული საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ უწყება მ. ს-ისათვის ჩაბარებულად მიეჩნია. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ფოსტიდან დაბრუნებულ გზავნილზე არსებული აღნიშვნის თანახმად, მ. ს-ე გადასული იყო ოზურგეთის რაიონის სოფელ ...-ში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს მისამართი არასრულია, გარდა ამისა, არ ირკვევა, ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობა, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი ითვალისწინებს თავად მხარის ვალდებულებას, რომ სასამართლოს ახალი მისამართი აცნობოს.

გარდა ამისა, სასამართლო სხდომის დრო და ადგილი ასევე ეცნობა მ. ს-ის წარმომადგენელ ვ. თ-ეს, რომელმაც სასამართლოს დეპეშით შეატყობინა, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდა, რის გამოც სააპელაციო ინსტანციაში მ. ს-ის ინტერესებს ვერ დაიცავდა და სასამართლო სხდომის გადადება მოითხოვა. აღნიშნული შეტყობინება სასამართლოს სხდომის ჩატარების შემდეგ ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადვოკატის ლიცენზიის არქონა სასამართლო სხდომის გადადების ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არის. განსახილველ შემთხვევაში, მხარისათვის გონივრული ვადით ადრე იყო ცნობილი სასამართლო სხდომის დრო და მას საშუალება ჰქონდა, ახალი წარმომადგენელი აეყვანა, თუნდაც იმ დროისათვის საზღვარგარეთ ყოფილიყო. საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ 2006 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2010 წლის 5 თებერვალს გასაჩივრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილება მიიღო, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, ასევე 2010 წლის 11 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და 2006 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

შპს «კ-ას» დირექტორ მ. ვ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2011 წლის 11 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების გაგზავნა სამუშაო ადგილის მიხედვით

განჩინება

1ას-1289-1309-2011 14 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში – მსხვილფეხა პირუტყვის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა ან მისი ღირებულების ანაზღაურება, შეგებულ სარჩელში – გარიგების გაუქმება, ნივთის ღირებულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის მიმართ 11 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბრუნების ან მისი საბაზრო ღირებულების – 8 000 ლარის გადახდის მოთხოვნით.

შპს «ი. ჭ-მა» და გ. თ-ემ სარჩელი არ ცნეს და შეგებულ სარჩელით მოითხოვეს თ. ს-სა და კ. დ-ს შორის 9 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თაობაზე გარიგების გაუქმება, პირუტყვის მესაკუთრისთვის დაბრუნება ან მისი ღირებულების – 5400 ლარის გ. თ-ისათვის გადახდა.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის შეგებულ სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა კ. დ-სა და თ. ს-ს შორის 9 სული მსხვილფეხა პირუტყვის თაობაზე დადებული ნასყიდობის გარიგება და მესაკუთრეს დაუბრუნდა 5400 ლარის ღირებულების 9 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ს-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2011 წლის 21 თებერვალს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების: შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა 8 000 ლარის ღირებულების თ. ს-ის კუთვნილი 11 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შპს «ი. ჭ-ის» და გ. თ-ის შეგებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს გაეგზავნათ სააპელაციო საჩივრის ასლი და წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღით. შპს «ი. ჭ-ი» და გ. თ-ე გაფრთხილებული იყვნენ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. შპს «ი. ჭ-ს» სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა 2011 წლის 2 თებერვალს, ხოლო გ. თ-ეს – 2011 წლის 3 თებერვალს, შესაბამისად, შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს შესაგებელი უნდა წარმოედგინათ 2011 წლის 14 თებერვლის ჩათვლით, რაც მათ არ განუხორციელებიათ.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 373-ე მუხლებით, 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-7 ნაწილით, 232¹ მუხლით და, მოწინააღმდეგე მხარეების მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად მიიჩნია, ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე, რაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა იყო.

სააპელაციო პალატის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს გ. თ-ემ და შპს «ი. ჭ-მა», მოითხოვეს გასაჩივრებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

გ. თ-ის განმარტებით, მისთვის უცნობი იყო საგარეჯოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ, მას არ ჩაბარებია სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მისთვის უცნობი იყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მოკლებული იყო შესაძლებლობას, წარედგინა შესაგებელი. 2011 წლის 31 იანვრის გზავნილის მიღებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ს. ი-ი, თარიღი – 2011 წლის 3 თებერვალი, ხოლო სტატუსად – მეუღლე. საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილსა და 74-ე მუხლზე და განმარტა, რომ ქ.თბილისში, ... ქ'43-ში ცხოვრობს მეუღლე მ. ბ-თან ერთად, ხოლო უწყების ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი ს. ი-ი გ. თ-ის მეუღლე არაა და არც მისი ოჯახის წევრი. გარდა ამისა, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ამართლებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

შპს «ი. ჭ-მა» საჩივარში ასევე აღნიშნა, რომ მას სააპელაციო საჩივარი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ ჩაბარებია, კერძოდ, 2011 წლის 31 იანვრის გზავნილის მიღებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ვ. ა-ი, თარიღად – 2011 წლის 2 თებერვალი, ხოლო თანამდებობად – მენეჯერი. საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილსა და 74-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვ. ა-შვილი არც შპს «ი. ჭ-ის» კანცელარიის თანამშრომელია და არც შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ის საწარმოში მუშაობდა «ეგერის» ანუ საქონლის ყარაულის თანამდებობაზე. გარდა ამისა, გზავნილზე ვ. ა-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ვ. ა-ს. ამასთანავე, საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას.

თ. ს-მა არ ცნო საჩივარი და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით შპს «ი. ჭ-ისა» და გ. თ-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარე გ. თ-ეს 2011 წლის 31 იანვრის გზავნილი 2011 წლის 3 თებერვალს ჩაბარდა, კერძოდ, ქ.თბილისში, ... ქ'43-ში სასამართლო შეტყობინების ჩაბარებას ხელი მოაწერა ს. ი-მა, ადრესატის მეუღლემ. შპს «ი. ჭ-ს» თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გზავნილი 2011 წლის 2 თებერვალს ჩაბარდა მისამართზე: საგარეჯოს რაიონი, ყორულის აღკვეთილ ტერიტორიაზე და გზავნილის ჩაბარებაზე ხელისმომწერ პირად მითითებულია ვ. ა-ი – მენეჯერი. მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ შესაგებლის წარმოდგენის 10-დღიანი ვადა და განემარტათ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის სასამართლებრივი შედეგები. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოწინააღმდეგე მხარეებს შესაგებელი არ წარუდგენიათ.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 74-ე მუხლით და მიუთითა საჩივრის ავტორ გ. თ-ის მიერ საჩივარზე დართულ მტკიცებულებებზე, რომლითაც დასტურდება, რომ მისი მეუღლე მ. ბ-ია. ამასთან, არ იქნა გაზიარებული ის გარემოება, რომ გ. თ-ე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს მხოლოდ მეუღლესთან ერთად და გზავნილის ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი ს. ი-ი მისი ოჯახის წევრი არაა. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: გ. თ-ისათვის განკუთვნილი 2011 წლის 6 აპრილის სხდომის თაობაზე სასამართლო უწყება ჩაბარდა ასევე ს. ი-ს 2011 წლის 18 მარტს და აღნიშნული გადაეცა ადრესატს, ამასთან, საჩივრის მოწინააღმდეგე მხარემ (აპელანტმა) მიუთითა, რომ ს. ი-ი გ. თ-ის შვილის – უმცროსი გ. თ-ის მეუღლეა, გ. თ-ის რძალი, რომელიც ასევე ცხოვრობს ქ.თბილისში, ... ქ'43-ში და საჩივრის ავტორის ოჯახის წევრია. აღნიშნული გარემოების საპირისპირო მტკიცებულება საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია, რაც საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. თ-ის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების ჩაბარების თაობაზე პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნებზე და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ვ. ა-თან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაადგინა, რომ ვ. ა-ი დაქირავებულია «ეგერის» თანამდებობაზე და მისი მოვალეობაა «გაუფრთხილდეს «დამსაქმებლის» ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა», რაც არ ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ იმ გარემოებას, რომ ვ. ა-ი წარმოადგენდა შპს «ი. ჭ-ის» (სამონადირეო მეურნეობა) საქონლის ყარაულს და არ იყო უფლებამოსილი, შპს «ი. ჭ-ის» სახელით კორესპონდენციის ჩაბარებაზე». სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზეც, რომ შპს «ი. ჭ-ის» სახელით სასამართლო უწყებებს იბარებდა ვ. ა-ი, რაც დასტურდება საქმის მასალებით. არ იქნა გაზიარებული შპს «ი. ჭ-ის» მტკიცება, გზავნილის ჩაბარებაზე ვ. ა-ის ხელმოწერის არარსებობის შესახებ, რადგანაც ამ გარემოებების დასადასტურებლად მხარეს მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა სა-

ჩივრების არგუმენტი, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ამართლებდა საჩივრის მოთხოვნას, ვინაიდან, საჩივრის ავტორების მიერ აღნიშნული მოსაზრება არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. თ-ემ და შპს «ი. ჭ-მა», მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის დაუსაბუთებელი მოსაზრების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გ. თ-ის საჩივართან მიმართებით არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი, რადგანაც ამ ნორმის სწორი განმარტება და საჩივარზე დართული მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა სასამართლოს მოსაზრების საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. დაუსაბუთებელია განჩინებაში მითითებული გარემოება, სადაც სასამართლო, ერთი მხრივ, დადგენილად მიიჩნევს, რომ ს. ი-ი გ. თ-ის მეუღლეა, ამასთანავე ადასტურებს იმისაც, რომ გ. თ-ის მეუღლე მ. ბ-ია. სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის ზეპირი განმარტება, რომ ს. ი-ი გ. თ-ის უმცროსი შვილის მეუღლეა და კასატორის ოჯახის წევრს წარმოადგენს, რისი საპირისპირო მტკიცებულებაც საჩივრის ავტორს არ წარუდგენია, რადგანაც ზემოაღნიშნული განცხადება მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გააკეთა, რის გამოც შეუძლებელი იყო ამ მოსაზრების საპირისპირო მტკიცებულების წარდგენა, ამასთან, გ. თ-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომელმაც სასამართლოს განუმარტა, რომ მისთვის საჩივრის ავტორის შვილის ოჯახური მდგომარეობა იყო უცნობი. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა თ. ს-ს, ამასთანავე საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ შეტყობინების მიმღები პირი ადრესატის ოჯახის წევრია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ ს. ი-ი გ. თ-ის რძალია, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო შეტყობინებაზე ხელის მოწერა შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, სასამართლო შეტყობინების ს. ი-ისათვის ჩაბარება არ გამომდინარეობს კანონის შესაბამისად მხარისათვის ჩაბარებიდან, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

შპს «ი. ჭ-თან» მიმართებით სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა კანონის მოთხოვნები და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რადგანაც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტი, რომ შეტყობინების მიმღები ვ. ა-ი დაქორწინებული იყო «ეგერის» თანამდებობაზე, რაც ნიშნავს სწორედ საქონლის ყარაულს, შესაბამისად, ვ. ა-ი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სუბიექტს არ წარმოადგენს და სასამართლოს მითითება შრომითი ხელშეკრულების ნორმაზე, რომლის თანახმადაც ვ. ა-ი ვალდებულია, ჯეროვნად დაიცვას დოკუმენტაცია, ნიშნავს ადმინისტრაციის მიერ მისთვის გადაცემული დოკუმენტების დაცვას და არა მესამე პირების, მათ შორის, სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპოდენციის მიღების შესაძლებლობას. არასწორია სასამართლოს მითითება გზავნილზე არსებული ხელმოწერის სისწორესთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ამ ხელმოწერის ვ. ა-ისათვის კუთვნილება, რადგანაც სასამართლოს წარდგინა ვ. ა-ის სანოტარო წესით დადასტურებული ხელმოწერის ნიმუში, რომელიც განსხვავდება საქმეში არსებულისაგან, ამასთანავე, ხელმოწერილი მტკიცებულება სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეს ერთვოდა, რის გამოც მხარე ექსპერტიზის ჩატარებას ვერ უზრუნველყოფდა, ხოლო ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლოს საკუთარი ინიციატივით უნდა დაენიშნა ექსპერტიზა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა საჩივრის მოწინააღმდეგე მხარის განმარტებაზე, რომელმაც დაადასტურა, რომ სადავო ხელმოწერა ვ. ა-ს არ ეკუთვნოდა, არამედ ვ. ა-ის თანხმობით, მას ხელი მოაწერა სხვა პირმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქონლის ყარაულის თანხმობის არსებობის ფაქტიც კი არ ნიშნავს შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებას, ამასთან, სასამართლოს მსჯელობა, რომ სასამართლო შეტყობინებები ბარდებოდა ვ. ა-ს, არ ადასტურებს კორესპოდენციის მიღებაზე მის უფლებამოსილებას, რადგანაც შპს «ი. ჭ-ი» ამ საპროცესო დარღვევებზე არ მიუთითებდა იმ საფუძველით, რომ საქმის წარმოება არ გაჭიანურებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა 10 დღით სააპელაციო პასუხზე წერილობითი შესაგებლის წარმოდგენისათვის და განემარტათ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგის თაობაზე.

საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარეებს: შპს «ი. ჭ-სა» და გ. თ-ეს, საქმეში მითითებულ მისამართებზე გაეგზავნათ თ. ს-ის სააპელაციო საჩივარი, განჩინება, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ, ასევე სასამართლო უწყება.

სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის ჩაბარების შეტყობინების ბარათებით დადასტურებულია, რომ სასამართლოს კორესპოდენცია საგარეჯოს რაიონში, «ყურულის» ალკვეთის ტერიტორიაზე შპს «ი. ჭ-ს» ჩაბარდა 2011 წლის 2 თებერვალს და სასამართლო შეტყობინების ჩაბარებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ვ. ა-ი, მენეჯერი, ხოლო ქ.თბილისში, ... ქ¹43-ში სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა გ. თ-ეს, შეტყობინების მიღებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია ს. ი-ი, მეუღლე.

საკასაციო სასამართლო მითითებული გარემოებების გათვალისწინებით იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარეებს 2011 წლის 14 თებერვლამდე სააპელაციო პასუხი არ წარუდგენიათ სასამართლოში.

საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილით განისაზღვრა აპელანტის გამოუცხადებლობის, ხოლო მე-2 ნაწილით – აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შედეგი, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესები სპეციალური ნორმებია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობასთან მიმართებით, ამასთან, კანონმდებელმა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, მათ შორისაა დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლით დადგენილია საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და კანონმდებელმა შეჯიბრებითი სამოქალაქო პროცესის ფარგლებში სავალდებულოდ დააწესა, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მოცემული საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე სადავოდ ხდის მხოლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები, ისე, რომ მას დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისა და დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების მხარის მოთხოვნასთან მიმართების თაობაზე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარუდგენია, რის გამოც, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს ზემოაღნიშნული, რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების საფუძვლებს, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა შესაგებლის შეუტანლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა ამავე კოდექსის 232¹ მუხლით, ხოლო ამ საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილება სასამართლოს არ შეუძლია გამოიტანოს თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (სსსკ 233.3).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებებს, რომ გასაჩივრებული განჩინებით გ. თ-ის მიმართ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლზე, რომლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული ნორმით პირდაპირაა გათვალისწინებული სასამართლო უწყების (შეტყობინების) უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის წინაპირობა და დადგენილია, რომ უწყების გადაცემის დროს მხარის არყოფნისას, ის უნდა ჩაბარდეს მისთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს უბრუნდება საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაბარებული უწყების (საფოსტო შეტყობინების) მე-2 ეგზემპლარი სხვა პირის ხელმოწერით, საქმის განმხილველი მოსამართლე, გონივრულობის ფარგლებში, ყოველთვის ვარაუდობს, რომ ხელის მომწერი პირი ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია. აღნიშნულ დასკვნას ასევე განამყარებს ზემოაღნიშნული კოდექსის 71-ე მუხლი, რომელიც მინიშნებს მხარის ვალდებულებაზე, სასამართლოს აცნობოს სწორი მისამართი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომის რისკი მხარეს ეკისრება.

ის ფაქტი, რომ სასამართლოში დაბრუნებული შეტყობინების ბარათით მხარის მიერ მითითებულ მისამართზე სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა პირს, რომელმაც ამ შეტყობინების ჩაბარებაზე უარი არ განაცხადა, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, გონივრულად ივარაუდოს, რომ შეტყობინების მიმღები პირი სათანადო პირია, შესაბამისად, მხარის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი ქორწინების მოწმობის თანახმად, გ. თ-ის მეუღლე ს. ი-ი არაა, ასევე ის, რომ სასამართლომ მთავარ სხდომაზე თ. ს-ის ზეპირი განმარტების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად, რომ შეტყობინების მიმღები პირი გზავნილის ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია, რაც არასწორია, ვერ იქნება გაზიარებული, რადგანაც დაუსაბუთებელია მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ მას საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას არ ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა მტკიცებულება მითითებული გარემოების საპირისპიროდ. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით საჩივრის წარდგენისას მხარის (გ. თ-ის) მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა არა მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურება, რომ შეტყობინების მიმღები ს. ი-ი არ არის მისი მეუღლე, არამედ იმისაც, რომ ს. ი-ი გ. თ-ის ოჯახის ქმედუნარიანი წევრი საერთოდ არაა. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი სხვა პირის მიერ შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობისათვის ადგენს, რომ შეტყობინების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს ადრესატის ოჯახის ნებისმიერი ქმედუნარიანი წევრი და არაა დაკონკრეტებული ადრესატთან ნათესაური ხაზით რა ურთიერთობაში იმყოფება შეტყობინების მიმღები.

შესაბამისად, უსაფუძვლოა მითითება, რომ შეტყობინებაზე ს. ი-ის ხელმოწერა ამ შეტყობინების კანონით დადგენილი წესით ჩაბარების ფაქტს არ ადასტურებს. ამასთან, სასამართლოს მიერ თ. ს-ის მოსაზრების გაზიარება წარმოადგენს არა ფაქტის დადგენას, არამედ წარმოადგენს საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებული გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის ერთ-ერთ არგუმენტს სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისას, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა, ვინაიდან, აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია.

რაც შეეხება შპს «ი. ჭ-ისათვის» სასამართლო შეტყობინების ჩაბარების საკითხს, საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნებს და განმარტავს, რომ მხარეს ამ მიმართებით დასაბუთებული პრეტენზია არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომლითაც მოწესრიგებულია ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესი და განსაზღვრულია, რომ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩააბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩააბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

დასახელებული ნორმის ანალიზით დასტურდება, რომ კანონმდებელი ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს, ნორმის ამ ნაწილით კანონმდებელი შეგნებულად არ აზუსტებს კონკრეტული პირის უფლებამოსილებას შეტყობინების ჩაბარებაზე და ალტერნატიულად ჩამოთვლის იმ პირთა ვინაობის ზოგად დასახელებას, რომელთაც უფლება აქვთ, შეტყო-

ბინება ჩააბარონ ორგანიზაციის სახელით. ამ პირთა წრეს განეკუთვნებიან: კანცელარია ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ანდა პირი, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც უწყებს ადრესატს გადასცემს. უფლებამოსილ პირად გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფორმით იმყოფება შრომით ურთიერთობაში ორგანიზაციასთან. თავის მხრივ, შრომითი ურთიერთობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის იმგვარი ურთიერთობაა, რაც დასაქმებული პირის ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად, ავალდებულებს მას კეთილსინდისიერად განახორციელოს ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების ჩაბარება. ნორმის ზემოაღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ განმარტება არ გამომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელსა და მე-3 ნაწილებზე, რომლითაც განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეთა შორის განაწილების საკითხი და დადგენილია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი შპს «ი. ჭ-ის» სახელით ვ. ა-ის მიერ შეტყობინების ჩაბარებას სადავოდ მიიჩნევს და განმარტავს, რომ სასამართლომ არასწორად გამოარკვია ვ. ა-ის თანამდებობა, არასწორად ჩათვალა, რომ «ეგერის» თანამდებობა არ იყო საქონლის ყარაულის თანამდებობა, რაც გამორიცხავდა მის უფლებას, საზოგადოების სახელით ჩაებარებინა შეტყობინება. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დანიშნა ხელმოწერის ნამდვილობისათვის ექსპერტიზა და შეფასება არ მისცა მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას ვ. ა-ის ნებართვით უწყების ჩაბარებაზე სხვა პირის მიერ ხელის მოწერის შესახებ.

აღნიშნული მოსაზრებების საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მიუხედავად გზავნილის მიმღები პირის თანამდებობისა, ის ფაქტი, რომ მხარე შრომით ურთიერთობაში იმყოფება შპს «ი. ჭ-თან» (რაც მას სადავოდ არ გაუხდია და დადასტურებულია საქმეში არსებული შრომითი ხელშეკრულებითაც), სწორედ რომ ვ. ა-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობა და სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე ამ პირის მიერ ხელის მოწერა, სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. აღნიშნული ფაქტი თავისთავად გამორიცხავს მხარის მტკიცების საფუძვლიანობას, რომ საქმეში არსებული სხვა სასამართლო შეტყობინებების ვ. ა-ის მიერ ჩაბარება ასევე კანონის დარღვევა იყო, თუმცა ამას სადავოდ შპს «ი. ჭ-ი» არ ხდიდა სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით.

რაც შეეხება მოცემული საკითხის გადაწყვეტისას მტკიცების სტანდარტს, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ ექსპერტიზის დანიშვნა მხარეს შეეძლო საკუთარი ინიციატივით, რადგანაც სასამართლოს საქმეში ჰქონდა მტკიცებულება, რომლის გაქარწყლებაც საჩივრის ავტორს ევალდებოდა. ის გარემოება, რომ საქმე სასამართლოს წარმოებაში იყო, არ გამორიცხავს მხარის შესაძლებლობას, ჩაატაროს პირველადი თუ განმეორებითი ექსპერტიზა (ექსპერტიზის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე კვლევის მასალების გადაცემის აკრძალვას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს). ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლოს არანაირი ვალდებულება ექსპერტიზის ჩატარებისა არ გააჩნდა, რის გამოც მტკიცებულებათა სრულყოფილი ანალიზის შედეგად სასამართლომ შეტყობინების ჩაბარება სწორად მიიჩნია კანონის სრულყოფილი დაცვით ადრესატისათვის ჩაბარებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარემ ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების წინაპირობა გახდებოდა, ამასთანავე, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც გამორიცხავს მოცემული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. თ-ისა და შპს «ი. ჭ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სარჩელის გამოხმობა

განჩინება

1ა-2649-შ-71-2010

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე პ. ქათამაძე

განხილვის საგანი: უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 1217/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის განჩინებით შპს საწარმო-კომერციულ ფირმა «რ-ს» დაევალა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოდგინა დამოწმებული ცნობა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით შპს საწარმო-კომერციულ ფირმა «რ-ს» მისივე განცხადების საფუძველზე გაუგრძელდა შუამდგომლობაზე ხარვეზის შევსების ვადა აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით ზემომითითებულ შუამდგომლობაზე ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა კიდევ 10 დღით გაგრძელდა. ამავე განჩინებით შუამდგომლობის ავტორს განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შევსებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩებოდა განუხილველად.

2011 წლის 3 იანვარს შპს საწარმო-კომერციულმა ფირმა «რ-მ» (წარმომადგენელი გ. ბ-შვილი) განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს. განმცხადებელმა იშუამდგომლა მის მიერ წარმოდგენილი განცხადების განუხილველად დატოვებისა და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უკან დაბრუნების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს საწარმო-კომერციული ფირმა «რ-ს» განცხადება განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დამკვიდრებულია პირის უფლება მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მიზნით, ხოლო ამავე კოდექსის მე-3 მუხლი განამტკიცებს დისპოზიციურობის პრინციპს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელი-სათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ნორმათა დანაწესი უნდა გავრცელდეს ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) მიმართაც.

მოცემულ შემთხვევაში, შპს საწარმო-კომერციული ფირმა «რ.» მოითხოვს განცხადების განუხილველად დატოვებას და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უკან დაბრუნებას, ე.ი. მან გამოიხმო თავისი განცხადება. შესაბამისად, შპს საწარმო-კომერციული ფირმა «რ-ს» შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 1217/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83', 284-ე მუხლებით, «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე, 68-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს საწარმო-კომერციული ფირმა «რ-ს» (წარმომადგენელი გ. ბ-შვილი) განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. შპს საწარმო-კომერციული ფირმა «რ-ს» შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო-კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე № 1217/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დატოვებულ იქნეს განუხილველად და განმცხადებელს დაუბრუნდეს განცხადება და თანდართული დოკუმენტები.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მხარეები სამოქალაქო პროცესში

არასათანადო მოსარჩელის შეცვლა

განჩინება

1ას-1079-1108-2011

24 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. შ-ისა და ნ. ნ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

1999 წლიდან ლ. დ-ეს საკუთრებაში გააჩნია სოფელ ...-ში, 13 ბრიგადის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ფარდული, რომელიც გასხვისებამდე ეკუთვნოდა გ-ს კოოპერაციულ მეურნეობას, ხოლო მეურნეობის 1999 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, მისი ღირებულების – 700 ლარის გადახდის საწინააღმდეგოდ, გადაეცა მოსარჩელეს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 თებერვლის 16234 საკუთრების მოწმობის საფუძველზე აღიარებულ იქნა მოსარჩელის საკუთრება აღნიშნულ ფარდულსა და მის ქვეშ დამაგრებულ 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც საჯარო რეესტრის ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში მოსარჩელის სახელობაზე აღირიცხა 2008 წლის 28 თებერვალს.

მითითებულ უძრავ ქონებაზე მოპასუხე ნ. ნ-ის მიერ პრეტენზიის გაცხადების გამო, საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაცემის თაობაზე და დადგინდა, რომ ნ. ნ-ეს 2007 წლის 26 დეკემბერს 13119 საკუთრების მოწმობის საფუძველზე სოფელ ... გადაეცა 0.228 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელსაც ფაქტობრივად ფლობს ეს უკანასკნელი. ნ. ნ-ის მიერ წარდგენილი ახალი ნახაზის საფუძველზე, 2008 წლის 15 იანვარს კვლავ გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა 1... და მოპასუხეს გადაეცა საკუთრებაში 0.238 ჰა მიწა, სადაც მოქცეულია ლ.დ-ისათვის

მიკუთვნებული 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთიც, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით კი მოსარჩელისა და მოპასუხის კუთვნილი ნაკვეთები გადაფარვაშია.

2008 წლის 21 მარტს ნ. ნ-ემ სადავო მიწა მოსარჩელის კუთვნილი 0.95 კვ.მ მიწის ჩათვლით მიჰყიდა მოპასუხე რ. შ-ეს. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გარიგება კანონშეუსაბამოა, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მიწის ნაკვეთს ედო ყადაღა და შეუძლებელი იყო როგორც მისი გასხვისება, ისე ამ გასხვისების საფუძველზე მოპოვებული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში აღრიცხვა.

აღნიშნული გარიგებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულების 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისების ნაწილში ბათილად ცნობა და ამ ნაწილში საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს უსაფუძვლობის გამო, ამასთან განმარტეს, რომ ნ. ნ-ისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ იყო ცნობილი ყადაღის თაობაზე, ამასთან, შემძენი რ. შ-ე კეთილსინდისიერი შემძენია, მოპასუხეებმა განმარტეს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მოსარჩელეს სადავო მიწაზე საკუთრების უფლება გაუქმა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ნ. ნ-ესა და რ. შ-ეს შორის 2008 წლის 21 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში რ. შ-ის სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი, რადგანაც სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება ჩათვალა მოჩვენებითად, შესაბამისად, დაადგინა, რომ შემძენი არ იყო კეთილსინდისიერი და მის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 187-ე მუხლებით გათვალისწინებული დაცვის გარანტიები არ ვრცელდებოდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით რ. შ-ისა და ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. დ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვდა მხოლოდ 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფარგლებში. სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებზე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 თებერვლის საკუთრების უფლების '6234 მოწმობაზე, რომლითაც ლ. დ-ის საკუთრებაში აღიარებულ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე 0.95 კვ.მ მიწა და ამ მიწაზე საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სასამართლომ ასევე მიუთითა 2011 წლის 5 მარტს აპელანტების მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 22 თებერვლის მომართვაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ლ. დ-ის სახელზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი (განხორციელებული საკუთრების უფლების მოწმობის '6234 საფუძველზე) გაუქმებულია იმავე კომისიის 2010 წლის 5 თებერვლის '15 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე და დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის მიერ გაცემული დოკუმენტით უდავოდ დასტურდება საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2010 წლის 5 თებერვლის '15 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე ლ. დ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმების ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან დავის საგანი 2008 წლის 21 მარტს რ. შ-ესა და ნ. ნ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაა იმ 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მესაკუთრეს არ წარმოადგენს ლ. დ-ე (უდავოდ დადგენილია, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მას 2010 წლის 5 თებერვალს '15 საოქმო გადაწყვეტილებით გაუქმდა მოპოვებული საკუთრების უფლება) მოსარჩელე არ არის ის უფლებამოსილი პირი, ვისაც ექნება უფლება, რ. შ-ესა და ნ. ნ-ეს შეედავოს ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერებაზე.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 102-ე მუხლით, 84-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და ჩათვალა, რომ ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმათა დარღვევით, რადგანაც ლ. დ-ე მოცემული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით არაუფლებამოსილი პირი ანუ არასათანადო მოსარჩელეა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ამ მხრივ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. დ-ემ. მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და იგი არასწორად იქნა მიჩნეული არასათანადო მოსარჩელედ. კასატორს აქვს კანონიერი ინტერესი, ბათილად გამოცხადდეს ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსარჩელის არასათანადოობის უტყუაუარდ დადგენის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს სათანადო მოსარჩელე უნდა ჩაება პროცესში. კასატორის განმარტებით, სადავო არაა ის გარიგება, რომ ლ. დ-ეს 1999 წლიდან დე-ფაქტოდ საკუთრებაში აქვს სოფელ ...-ში

¹³ ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე სავაჭრო ფარდული, რომელიც მის მიერ შესყიდულ იქნა გ-ს კოოპერაციული მეურნეობის გამგეობის სხდომის 1999 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით და ამავე სხდომის გადაწყვეტილებით გადაიხადა 700 ლარი, საქმის მასალებით დასტურდება და სადავო არ არის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე ძალაშია. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 21 თებერვლის ¹⁶²³⁴ საკუთრების მოწმობით აღიარებულ იქნა ლ.დ-ის საკუთრებად სადავო 0.95 კვ.მ მიწა, რაც 2008 წლის 22 თებერვალს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში. ნ. ნ-ემ საკუთრების უფლება სადავო 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოიპოვა გაყალბებული ნახაზის მეშვეობით: კომისიის მიერ ნ. ნ-ის სახელზე გაცემულ იქნა საკუთრების მოწმობა ^{1...} სოფელ ...-ში 0.238 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომლის საფუძველზეც ნ. ნ-ემ 2008 წლის 17 მარტს საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა 303 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ამ ნაკვეთის გასხვისებით, რ. შ-ის სახელზე გადავიდა სადავო 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთიც. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ 2008 წლის 21 მარტის მდგომარეობით, როდესაც გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ნ. ნ-ესა და რ. შ-ის შორის, სადავო მიწის ნაკვეთი დაყადაღებული იყო. ნ. ნ-ემ ნოტარიუსს არ წარუდგინა ცნობა ყადაღის შესახებ სადავო ქონებაზე რითაც შეცდომაში შეიყვანა ნოტარიუსი.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლზე, რომლის შესაბამისადაც მოპასუხეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებაა. ნ. ნ-ისათვის ცნობილი იყო სადავო 0.95 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ლ. დ-ის საკუთრების უფლების არსებობის ფაქტი, რომელიც გადაფარვაში იყო მის სახელზე უკანონოდ გაფორმებულ მიწის ნაკვეთთან, მაშინ, როცა მან ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მიმართა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილებულ იქნა და 2008 წლის 18 მარტის განჩინებით. ნ. ნ-ემ ლ. დ-ის მოსაჩვენებლად აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა რ. შ-ესთან, ამ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ნ. ნ-ემ სასამართლოში ლ. დ-ის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის საპირისპიროდ გაასხვისა სადავო მიწა. ამასთან, შემძენ რ. შ-ეს პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში უფლება აქვს მიმართოს ნ. ნ-ეს, როგორც გამყიდველს უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის გამო. ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ რ. შ-ეს არ გადაუხდია რაიმე თანხა, რასაც ადასტურებს 2008 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმში არსებული ნ. ნ-ის განმარტება, რომელიც ეწინააღმდეგება მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დებულებებს. ¹³⁻³⁹⁰ ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე გამოყოფილ სამოქალაქო საქმეზე არ არის გადაღებული თავის დროზე წარდგენილი ყველა დოკუმენტის ქსეროასლები, რაც, კასატორის აზრით, საჭიროებს შეფასებას.

კასატორის განმარტებით, სარჩელის დაკმაყოფილებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სადავო მიწის ნაკვეთზე გაუქმდება სარეგისტრაციო ჩანაწერი, ეს მიწა აღირიცხება სახელმწიფო საკუთრებად, რაც გახდის შესაძლებელს, ლ. დ-ემ განმეორებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრების აღიარების თხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა გადაწყდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და ლ. დ-ის საკასაციო პრეტენზიების შესწავლის შედეგად მიიჩნევა, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მოცემული საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებას, სასამართლოს მხრიდან როგორც მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევაზე, ასევე საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევაზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და არასწორად ჩათვალა იგი არასათანადო მოსარჩელედ. კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის არასათანადოობის უტყუაუარდ დადგენის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს სათანადო მოსარჩელე უნდა ჩაება პროცესში. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 5 თებერვლის ¹⁵ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა ლ. დ-ის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, ლ. დ-ე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით არაუფლებამოსილ პირად, ანუ არასათანადო მოსარჩელედ მიიჩნია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოს, მიუხედავად ლ. დ-ის არასათანადო მოსარჩელედ მიჩნევისა, არ განუსაზღვრავს ის საპროცესო სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა სარჩელზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია არასათანადო მოსარჩელის შეცვლის სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული სათანადო მოსარჩელის დადგენა ხდება მოსარჩელის მატერიალური მოთხოვნის – სარჩელის საფუძვლის გამორკვევით და მხარე სათანადოა იმ შემთხვევაში, თუ იგი სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია და ამ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე გააჩნია მოთხოვნის უფლება ან ეკისრება რაიმე ვალდებულება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სათანადო მოსარჩელის საკითხის გარკვევისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს არსებობს თუ არა ის ნიშნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მხარე. ასეთი ნიშნებია მაგალითად ის, რომ მხარე არის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე. ასევე იგი დაინტერესებულია საქმის განხილვის იურიდიული შედეგით. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სასამართლოს მიერ მხარის არასათანადოდ მიჩნევის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, საქმის განხილვა უნდა დაიწყოს თავიდან, რათა შეცვლილ მხარეს შეემლოს სრულად მოახდინოს მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, თუ საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე გამორკვევა მოსარჩელის არასათანადოობა, საქმე უნდა დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რათა მხარისათვის უზრუნველყოფილი იქნას საქმის განხილვის ინსტანციურობის პრინციპი. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მიიჩნია არასათანადო მხარედ, თვითონ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი უთხრა არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ლ. დ-ე, სათანადო საპროცესო სუბიექტის ლეგიტიმურობის დამტკიცებას ცდილობდა იმით, რომ ნასყიდობის საგნის ნაწილზე მას გააჩნდა უფლება, რომელიც უკანონოდ იქნა შელახული მოპასუხეთა მიერ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ მოსარჩელის ვალდებულებაა ამტკიცოს, რომ მას ეკუთვნის უფლება, ხოლო მოპასუხედ დასახელებული პირი ეცილება მას უფლებაში. ის გარემოება, რომ დავის განხილვის პერიოდში ლ. დ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა გაუქმდა, არ უკარგავს მას ინტერესს ამ დავისადმი. სხვა საკითხია, რამდენად დასაბუთებულია ეს ინტერესი და რამდენად აკმაყოფილებს მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს. ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას მისი არასათანადო მოსარჩელედ მიჩნევის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე, რაც მიანიშნებს კასატორის პრეტენზიის დასაბუთებულობასა და საფუძვლიანობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ლ. დ-ის სახელზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი (განხორციელებული საკუთრების უფლების 16234 მოწმობის საფუძველზე) გაუქმებულია იმავე კომისიის 2010 წლის 5 თებერვლის 15 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), კასატორს საკასაციო საჩივარში არც იმაზე მიუთითებია, რომ იგი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ შეედავა. კასატორის განმარტებით, მას აქვს კანონიერი ინტერესი, ბათილად გამოცხადდეს ნასყიდობის ხელშეკრულება ნაწილობრივ, ვინაიდან გ-ს კოოპერაციული მეურნეობის გამგეობის სხდომის 1999 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით მას მიეყიდა სადავო უძრავი ქონება. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სადავო მიწის ნაკვეთზე გაუქმდება სარეგისტრაციო ჩანაწერი, ეს მიწა აღირიცხება სახელმწიფო საკუთრებად, რაც გახდის შესაძლებელს, მოსარჩელემ კვლავ მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრების აღიარების თხოვნით. ამდენად კასატორის პოზიციიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად აღიარება ემსახურება სამომავლო უფლების დაცვას.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ის, რასაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მოიაზრებს. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებით მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას

უნდა იქნას შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების გზით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელის უფლებაწარმომშობი დოკუმენტის გაბათილება მის ნამდვილ იურიდიულ ინტერესს საფუძველს აცლის, მით უმეტეს ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი გადაწყვეტილება არ არის შედავებული. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მხარე სამომავლოდ მიმართავს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ან სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვს ადმინისტრაციული წესით საკუთრების უფლების მოპოვებას სადავო ქონებაზე, დამყარებულია მხოლოდ მოსარჩელის ვარაუდზე და არ ქმნის ამ ინტერესის სასამართლო წესით დაცვის წინაპირობას. ამდენად, კასატორის პრეტენზია მისი იურიდიული ინტერესის მართებულობასთან დაკავშირებით უსაფუძველოა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სამართლის ნორმები, ასევე გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

კასატორ ლ. დ-ეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.
3. ლ. დ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 9 ფურცლად.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არასათანადო მოპასუხის შეცვლა

განჩინება

1ას-168-162-2011

16 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს.ბ-ს, საქართველოს ... სამინისტროსა და ა. პ-იანის მიმართ ავტომანქანის ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: **2008 წლის 5 მაისს** მოსარჩელემ შეიძინა «მერსედეს-ბენც ML-320» მარკის ავტომანქანა. ა. თ-ოვმა ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად ავტომანქანა გააფორმა ა. პ-იანის სახელზე, რომელმაც გასცა მინდობილობა მოსარჩელის სახელზე.

2009 წლის 22 აგვისტოს ა. თ-ოვს ჩამოართვეს მისი კუთვნილი ავტომანქანა იმ მოტივით, რომ სასამართლო განაჩენით ა. პ-იანს დაეკისრა **100 000** ლარის გადახდა და დაყადაღდა მთელი მისი ქონება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო ნივთს ყადაღა კანონიერად დაედო.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს **2010 წლის 15 აპრილის** გადაწყვეტილებით ა. თ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა, ავტომანქანა «მერსედეს-ბენც ML-320», სახელმწიფო ნომრით ..., გათავისუფლდა ყადაღისაგან და იგი დაუბრუნდა ა. თ-ოვს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ... სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 9 დეკემბრის** განჩინებით საქართველოს ... სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2008 წლის 5 მაისიდან ავტომანქანა «მერსედეს-ბენც ML-320», სახელმწიფო ნომერი ..., ირიცხებოდა ქ. ახალქალაქში, ...¹⁴¹²-ში მცხოვრებ ა. პ-იანის სახელზე.

2008 წლის 5 მაისს ა. პ-იანმა ა. თ-ოვის სახელზე გასცა ავტომანქანის მინდობილობა განკარგვის უფლებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს **2008 წლის 30 დეკემბრის** განაჩენით ა. პ-იანს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა **100 000** ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. **2009 წლის 12 მარტს** გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ს. ბ-ს წარმოებაში იყო და მის საფუძველზე ყადაღა დაედო ა. პ-იანის სახელზე რეგისტრირებულ «მერსედეს-ბენც ML-320» მარკის ავტომანქანას, სახელმწიფო ნომრით

2009 წლის 22 აგვისტოს სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ პუნქტ «სადახლოს» გავლით, საქართველოსომხეთის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ა. თ-ოვს ჩამოართვეს მისი მართვის ქვეშ მყოფი ზემოხსენებული ავტომანქანა.

2008 წლის 5 მაისს მოსარჩელე ა. თ-ოვმა ქალაქ თბილისში, ჯ. ქ-იასაგან **14 000** აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა «მერსედეს-ბენც ML-320», სახელმწიფო ნომერი ... და, შესაბამისად, იგი იყო აღნიშნული ავტომანქანის მესაკუთრე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლი, რადგან აღნიშნული ნორმა მიღებულ იქნა **2009 წლის 17 ივლისის** **11544** საკანონმდებლო ცვლილებების სახით. საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ სადავო სამართალურთიერთობა წარმოიშვა გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ, **2008 წლის 5 მაისს**, როდესაც მოსარჩელე ა. თ-ოვმა ქალაქ თბილისში, ჯ. ქ-იასაგან **14 000** აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა «მერსედეს-ბენც ML-320», სახელმწიფო ნომერი იმავე დღესვე ხსენებული ავტომობილი აღირიცხა ქ. ახალქალაქში, ...¹⁴¹²-ში მცხოვრებ ა. პ-იანის სახელზე და ასევე, იმავე დღეს – **2008 წლის 5 მაისს**, ა. პ-იანმა ა. თ-ოვის სახელზე გასცა ავტომანქანის მინდობილობა განკარგვის უფლებით. ამრიგად, **2009 წლის 17 ივლისის** მიღებული სამართლის ნორმა არ უნდა გავრცელდეს **2008 წლის 5 მაისს** წარმოშობილ სამართალურთიერთობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს ... სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სამინისტრომ იშუამდგომლა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **85-ე** მუხლის შესაბამისად, არასათანადო მხარედ ცნობის თაობაზე, თუმცა პალატამ უფლებელყო «აღსრულების შესახებ» საქართველოს კანონის მე-18¹ მუხლის დანაწესი და აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღსრულება არ წარმოებდა საქართველოს ... სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე და არც სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორის მიმართვის საფუძველზე არ გამოუტანია.

სასამართლომ არ გამოიყენა «საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის **2007 წლის 31 იანვრის** **1150** ბრძანების მე-3 მუხლის მეექვსე, მე-12 ნაწილები და არ გაითვალისწინა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის შესაბამისად, ა. თ-ოვმა სადავო ნივთზე საკუთრების უფლება ვერ დაადასტურა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ... სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

«აღსრულების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, თუ გადაწყვეტილებაში კრედიტორად მითითებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი აღსრულებისას სახელმწიფოს წარმოადგენს ის სახელმწიფო ორგანო/პირი, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზედაც წარმოებს აღსრულება ან/და რომლის მიმართვის საფუძველზედაც გამოიტანა სასამართლომ აღსასრულებელი გადაწყვეტილება.

დასახელებული ნორმა არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დავაში კრედიტორ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო და განსაზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფო დაწესებულებით უნდა იქნეს წარმოდგენილი იგი აღსრულების პროცესში. ასეთია: 1. აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო ორგანო ან პირი; 2. სასამართლოსათვის აღსასრულებელი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის ავტორი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ა. თ-ოვის სასარჩელო მოთხოვნა ეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენის აღსრულების – ა. პ-იანისათვის 100 000 ლარის ოდენობის ჯარიმის დაკისრების მიზნით ა. პ-იანის სახელზე რიცხული ალ. თ-ოვის კუთვნილ ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნას.

ამდენად, აღსრულებას ექვემდებარება არა საქართველოს ... სამინისტროს, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) და აღნიშნული სასამართლო განაჩენი მიღებულია პროკურატურის ორგანოთა მიმართვის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კანონის მითითებული დანაწესი ავალეებს სასამართლოს, გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი, რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს. აღნიშნული ნორმის მიზანია, დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, მოცემული განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული სამართლოს ნორმების გათვალისწინებით, უნდა იმსჯელოს, წარმოადგენს თუ არა საქართველოს ... სამინისტრო სათანადო მოპასუხეს დავაში, სადაც კრედიტორია სახელმწიფო, თუმცა აღსასრულებელი გადაწყვეტილება მიღებულია არა მოპასუხის, არამედ სასამართლოს მიერ პროკურატურის ორგანოთა მიმართვის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ... სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

განჩინება

1ას-285-269-2011

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ნ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. ა-ის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 301-ე, 361-ე, მე-400 და 623-ე მუხლების საფუძველზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მიღებული ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის, ამ თანხის დაბრუნების ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის ძირითადი თანხის 0.1%-ის, ასევე სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, 5000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ო. ა-ს ა. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის გადახდა, ო. ა-ს ა. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2007 წლის 30 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის 0,1%, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგინდა მისი ანაზღაურება ქ.ქუთაისში, ...ის ქ'15-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ა-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის განჩინებით ო. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ა-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად ან საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სააპელაციო მოთხოვნა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მ. ყ-მა და მოითხოვა მოცემულ დავაში მხარედ ჩაბმა შემდეგი საფუძვლებით:

განმცხადებლის განმარტებით, 2010 წლის 20 დეკემბერს მან შეიძინა ო. ა-ის კუთვნილი სახლი, რომელიც იპოთეკითაა დატვირთული ა. ნ-ის სასარგებლოდ, მისთვის ცნობილი იყო იპოთეკის თაობაზე და თანახმაა, ა. ნ-ეს გადაუხადოს ხელშეკრულებაში მითითებული თანხა, რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობას და ამ ნაწილში განმცხადებლის მიერ შეძენილი, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციას, მისთვის აღნიშნული უცნობი იყო, შესაბამისად, საქმის განხილვაში მას მონაწილეობა არ მიუღია, რადგანაც ის სასამართლომ არ მიიწვია. დასახელებული გარემოებით კი ირღვევა მისი, როგორც მესაკუთრის, უფლებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ყ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IX კარზე, რომლითაც განსაზღვრულია საქმის წარმოების წესები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. დასახელებული კარის დებულებათა ანალიზით ირკვევა როგორც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის სუბიექტური ფარგლები, ისე ამ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილე სუბიექტები: მხარეები და მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით (სსსკ 391-ე მუხლის 1-ელი ნაწილი).

კანონმდებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVIII თავის არც ერთი ნორმით ახალი მხარისა თუ სუბიექტის ჩაბმას ამ ინსტანციის წესით საქმის განხილვისას არ ითვალისწინებს, რაც განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უტყუარი საფუძველია.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი

მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ამ ინსტანციის სასამართლოში მხარის ჩაბმა ამ კუთხითაც გაუმართლებელია, ვინაიდან სასამართლო ამ მხარის (ახალი სუბიექტის) მოთხოვნის მართებულობას ვერ გამოიკვლევს.

საკასაციო პალატა განცხადების შინაარსის შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ მ. ყ-ი აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, ასეთ შემთხვევაში, ერთადერთი ალტერნატივა მხარის საქმეში ჩაბმისა, გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავით, სადაც კანონმდებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოთხოვნის მქონე მესამე პირებსა და მოთხოვნის არმქონე მესამე პირებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია, აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზე არაა მესამე პირის ჩაბმის სამართლებრივი წინაპირობები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ აღნიშნულით მ. ყ-ის სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესდება, რადგანაც მას დავის საგანზე უფლება აქვს, განაცხადოს დამოუკიდებელი მოთხოვნა საერთო წესით, სარჩელის სასამართლოში შეტანის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მ. ყ-ს უარი უნდა ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლის 104-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. ყ-ი მოცემული დავის სუბიექტი არაა, სასამართლო ვერ განიხილავს მის მიერ წარმოდგენილ მასალებს, შესაბამისად, მ. ყ-ს უნდა დაუბრუნდეს 'ვ-291-11 განცხადებაზე დართული მასალები 13 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ყ-ის განცხადება დავაში მხარედ ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. მ. ყ-ს დაუბრუნდეს 'ვ-291-11 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 13 ფურცლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სასამართლო მტკიცებულებები

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-1264-1111-10

23 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ს. რ-ამ» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «თ-ის» მიმართ უსაფუძვლოდ გადახდილი 230 099,44 ლარისა და პროცენტის – 179 017,36 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველით: შპს «ს. რ-ის» საკუთრებაში არსებულ 115 სატრანსფორმატორო ქვესადგურს 2000 წლის 26 ნოემბრიდან ელექტროენერგია მიეწოდება «... 220-ის» 6 კვ-ის 11 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან შპს «ს. რ-ის» საკუთრებაში არსებული 6 კვ.მ გადამცემი ხაზის მეშვეობით. «...-220» და იქ არსებული 6 კვ.მ. 11 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენს შპს «ს. ე-ს» საკუთრებას. აღნიშნულის თაობაზე სათანადო მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ შპს «ს. რ-ამ» 2004 წლის 26

ავგისტოს წერილით მიმართა სს «თ-ს» და მოითხოვა, რომ შპს «ს. რ-ის»¹¹⁵ სატრანსფორმატორო ქვესადგურში, «... 22»-ის 6 კვ.მ¹¹ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის¹⁸ უჯრედიდან მიღებულ ელექტროენერგიაზე ტრანზიტის საფასურის დარიცხვის შეწყვეტა და ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ვადისა და პირობების განსაზღვრა.

სს «თ-მა» 2005 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტა¹⁸ ფიდერზე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დარიცხვა და 2006 წლის 22 მარტის წერილით შპს «ს. რ-ას» გაუგზავნა 2002, 2003, 2004 წლებში კორექტირების ანაგარიშფაქტურები, შესაბამისი საფასურის კორექტირებისათვის. ამდენად, მოპასუხე დათანხმდა ურთიერთვალდებულებათა გაქვითვაზე, მაგრამ 2002 წლის 1 იანვრამდე გადახდილი ტრანზიტის საფასურის დაბრუნების მოთხოვნაზე უარი განაცხადა ხანდაზმულობის მოტივით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლოდ და ხანდაზმულობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «თ-ს» დაეკისრა შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ 73 742.66 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში კი ამავე გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა სს «თ-მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სს «თ-ის» შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს «თ-ს» დაეკისრა შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ ძირითადი თანხის – 55 612,5 ლარისა და პროცენტის – 13 655,44 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2000 წლის 26 ნოემბრიდან შპს «ს. რ-ის» საკუთრებაში არსებულ¹¹⁵ სატრანსფორმატორო ქვესადგურს ელექტროენერგია მიეწოდებოდა «...-220»-ის 6 კვ-ის¹¹ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან 6 კვ. გადამცემი ხაზის მეშვეობით.

ტრანზიტის თანხას მოსარჩელე შპს «ს. რ-ა» 2005 წლის 1 ავგისტომდე უხდიდა სს «თ-ს», ვინაიდან თვლიდა, რომ «...-220» და იქ არსებული 6 კვ.¹¹ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა სს «თ-ის» საკუთრებას. სს «თ-ისათვის» ტრანზიტის თანხის გადახდის ფაქტი დადგენილია საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით, შედარების აქტით, კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურებით.

შპს «ს. რ-ისათვის» ცნობილი გახდა, რომ «...-220»-ის 6 კვ-ის¹¹ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედი წარმოადგენდა შპს «ს. რ-ს» საკუთრებას. სს «თ-ს» სადავოდ არ გაუხდია «...-220» და იქ არსებული 6 კვ.¹¹ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედის შპს «ს. რ-ი» კუთვნილების ფაქტი.

შპს «ს. რ-ამ» აღნიშნული ფაქტის შესახებ შეიტყო 2004 წლის 21 ივლისს შპს «ს. რ-ს» 2004 წლის 16 ივლისის 107/03-1685 წერილიდან.

სს «თ-ის» გენერალურმა დირექტორმა 2004 წლის 15 დეკემბრის 11-05/1788 წერილით აღიარა დარიცხვის უსწორობა და შპს «ს. რ-ას» თანხების კორექტირების მიზნით შესთავაზა ერთობლივი მუშაობა.

2006 წლის მარტში 2002-2004 წლებში დარიცხული 10 251 280 კვტ. სთ. ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასური განისაზღვრა 318 574,07 ლარით. აღნიშნული გარემოება დადგენილია 2006 წლის 6 მარტის შედარებისა და ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის აქტითა და კორექტირებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით.

2006 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, მოპასუხე სს «თ-ის» კომერციულმა დირექტორმა დაადასტურა თანხმობა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ, რაც სასამართლოს მოსაზრებით, ნიშნავს მოპასუხე სს «თ-ის» მხრიდან ტრანზიტზე გადახდილი თანხის უსაფუძვლოდ მიღების აღიარებას. ამავე წერილით, სს «თ-ის» კომერციული დირექტორი აფიქსირებს თ-ის პოზიციას, რომ 2002 წლის 1 იანვრამდე უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის დაბრუნების მოთხოვნა ხანდაზმულია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე დასაბრუნებელი თანხების ოდენობა, კერძოდ, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაასტურებდა ამ პერიოდში «...-220»-ის 6 კვ-ის¹¹ დახურულ გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ტრანზიტზე რა თანხა გადაიხადა შპს «ს. რ-ამ».

2001 წლის 30 ივნისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ტრანზიტზე შპს «ს. რ-ის» მიერ სს «თ-ისათვის» გადახდილი თანხის ოდენობა შეადგენს 55 612,5 ლარს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით.

პალატამ არ გაიზიარა შპს «ს. რ-ის» მითითება მის მიერ სასამართლოსათვის შეთავაზებული მეთოდით გატარებული ელექტროენერგიის (ტრანზიტის) გამოთვლის თაობაზე, რაც გულისხმობს მიწოდებული კილოვატსაათების შესაბამისად მიღებული საშუალო მაჩვენებლის თვეების რაოდენობაზე (სადავო პერიოდ-

ში) გადაანგარიშებას. საქმეში წარმოდგენილი აბონენტის ბრუნვის ისტორიით დასტურდება შპს «ს. რ-ის» მიერ ტრანზიტის თანხის გადახდა 2001 წლის ივნისიდან 2004 წლის დეკემბრამდე პერიოდში. საქმეში არ მოიპოვება 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე პერიოდში «...-220»-ის 6 კვ-ის 11 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ტრანზიტზე გატარების ფაქტისა და ტრანზიტის მომსახურებისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასეთი მტკიცებულების არსებობაზე არც შპს «ს. რ-ა» უთითებს.

სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა 2002 წლიდან 2004 წლის ჩათვლით პერიოდში სს «თ-ისათვის» თანხის დაკისრების შესახებ, რადგან სს «თ-ის» გენერალური დირექტორისა და შპს «ს. რ-ის» გენერალური დირექტორის მიერ 2006 წლის 6 მარტს შედგენილი შედარებისა და ურთიერთვალდებულებათა გაქვითვის აქტით დასტურდება, რომ მხარეების მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, აღნიშნულ პერიოდში, შპს «ს. რ-ას» დაერიცხა 10251280 კვტ.სთ ელექტროენერგია. აღნიშნულს ტრანზიტის სახით დაერიცხა 318574,07 ლარი, რაც გაიქვითა სს «თ-ის» მიმართ შპს «ს. რ-ის» დავალიანებაში და დარჩენილი 71071,31 ლარი, როგორც სს «თ-ის» დავალიანება, აისახა შპს «ს. რ-ასთან» ელექტროენერგიის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ბარათზე. ამდენად, ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასური 2002-2004 წლებში, კორექტირდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის პრეტენზია 2004 წლის პროცენტის დაანგარიშებისა და მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში, გადაწყვეტილების უსწორობის შესახებ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სს «თ-ის» მიერ უსაფუძვლოდ მიღებულ 55 612,5 ლარზე პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობისა და შესაბამისად, მისი ათვლის თარიღად, სასამართლომ მიიჩნია 2004 წლის 15 დეკემბერი. მიუხედავად აღნიშნულისა, პროცენტის დარიცხვა მთელ 2004 წელზე გაავრცელა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2004 წლის პროცენტის სახით სს «თ-ს» შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 4782,7 ლარის გადახდა.

საქმეში წარმოდგენილია ეროვნული ბანკის ბანკთაშორისო საკრედიტო რესურსების აუქციონზე ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც 2004 წლისათვის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 12,33%-ის შეადგენს, რაც დღეში 0,037%-ის ტოლია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დარიცხული პროცენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს უსაფუძვლოდ გადახდილი 55 612,5-ის 0,037%-ით, ანუ 20,576 ლარით, რაც 2004 წლის 15 დეკემბრიდან 2005 წლის იანვრამდე პერიოდში, (15 დღის განმავლობაში) 308,64 ლარს შეადგენს.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 385-ე, 427-ე, 976-ე მუხლების საფუძველზე დასაბუთებას და ჩათვალა, რომ შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან გადაწყვეტილების გაუქმების პროცესულურ, თუ მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სს «თ-ის» შეგებებული სააპელაციო საჩივრის პრეტენზია 2004 წლის პერიოდში დარიცხული პროცენტის გაანგარიშების უსწორობის თაობაზე საფუძველიანია, რადგან გადაწყვეტილების დასაბუთება ამ ნაწილში წინააღმდეგობრივია, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს «თ-ის» მიერ უსაფუძვლოდ მიღებულ თანხაზე 55 612,5 ლარზე პროცენტის დარიცხვა უნდა მოხდეს 2004 წლის 15 დეკემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე პერიოდში, თუმცა პროცენტის ოდენობა სულ 18 129,5 ლარით განსაზღვრა, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს 2004 წლის სრული წლის პროცენტს – 4782,7 ლარს, ნაცვლად 15 დღის, 308,64 ლარისა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ს. რ-ამ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია სს „თ-ის» 2006 წლის 30 იანვრის 11-02/2436 წერილი, რომლითაც სს „თ-ი» სადავოდ არ ხდის 2002 წლის 1 იანვრამდე შპს „ს. რ-ის» მიერ მისთვის ტრანზიტის საფასურის გადახდას, მით უფრო ელექტროენერგიის გატარების ფაქტს და თანხის დაკორექტირებაზე უარს მხოლოდ მოთხოვნის ხანდაზმულობის მოტივით აცხადებს.

აღნიშნული მტკიცებულების გარდა, საქმეში მოიპოვება შპს „ს. რ-ის» გენერალური დირექტორისა და „ე-ის» გენერალური მენეჯერის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი, რომელიც ასახავს მხარეებს შორის 1999-2002 წლებში კასატორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებულ ელექტროენერგიის ტრანზიტთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებს.

მოცემული შედარების აქტით ირკვევა, რომ 2002 წლის 2 ოქტომბრისათვის შპს „ს. რ-ას» სს „თ-ის» წინაშე არანაირი დავალიანება არ ერიცხებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა აღნიშნული მტკიცებულებები და მათი გამოკვლევის გარეშე მიუთითა, რომ შპს „ს. რ-ამ» ვერ დაადასტურა 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე ელექტროენერგიის ტრანზიტისა და შესაბამისი მომსახურების გადახდის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სადავო პერიოდთან (1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე) მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით კანონიერად არ იქნა გაზიარებული სს „თ-ის“ მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რასაც ასევე დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარეც. აღნიშნული იმაში გამოიხატა, რომ სს „თ-ს“ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია. ამდენად, კასატორის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გამოტანისა და შპს „ს. რ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე დასაბუთებულია.

ამჟამად შპს „ს. რ-ა“ დავობს მხოლოდ 1999 წლის ივლისიდან 2001 წლის 30 ივნისამდე გადახდილი ტრანზიტის საფასურის დაბრუნებაზე. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეულ 2002 წლიდან 2004 წლის ჩათვლით პერიოდს, შპს „ს. რ-ა“ მასზე არ დავობს. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ 2002-2004 წლები სადავო პერიოდად.

სასამართლოს არ შეუფასებია, რომ სს „თ-ის“ მიმართ 121 440,11 ლარის გადახდის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. ამასთან, აღნიშნული თანხიდან სს „თ-ს“ დაეკისრა 55 512, ლარის გადახდა, შესაბამისად, მოცემული პერიოდისათვის სადავოა 65 827,61 ლარი.

სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლიც. აღსანიშნავია, რომ სს „თ-ს“ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და პროცენტის დარიცხვის საფუძველიანობა სრულად გაიზიარა. შესაბამისად, შპს „ს. რ-ა“ პროცენტის სახით ითხოვს 165 361,92 ლარის დაკისრება.

სს „თ-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას სააპელაციო პალატა დაეყრდნო 2004 წლის 15 დეკემბრის წერილს, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარემ აღიარა ტრანზიტის თანხის დარიცხვის უსწორობა. აღნიშნული წერილი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა დარიცხვის უსწორობის შესახებ მხოლოდ ამ პერიოდში შეიტყო. აღნიშნულის თაობაზე მას ადრეც ეცოდინებოდა, ხოლო 2004 წლის 14 დეკემბრის წერილით მან მხოლოდ შპს „ს. რ-ის“ ერთ-ერთი წერილს უპასუხა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას იხილავს შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში და აღნიშნავს, რომ კასატორი სადავოდ ხდის გადაწყვეტილებას სს «თ-ისათვის» მხოლოდ 1999 წლის ივლისიდან 2002 წლის იანვრამდე პერიოდში უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. რაც შეეხება 2002-2004 წლებს, ამ პერიოდში სადავო თანხების ანაზღაურების მართლზომიერებაზე კასატორი არ დავობს. შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მითითებული კანონის დანაწესი შესაძლებლობას აძლევს საკასაციო სასამართლოს, არ გაიზიაროს სააპელაციო პალატის მიერ განსახილველ დავაზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი, როდესაც კასატორი სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ მათი დადგენისას სასამართლომ სრულყოფილად არ შეისწავლა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია შპს „ს. რ-ის“ მიერ სს «თ-ისათვის» 1999-2002 წლებში ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის უსაფუძვლოდ გადახდის საკითხი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 1999 წლიდან 2001 წლის ივნისამდე «...-220»-ის 6 კვ-ის 11 დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მე-8 უჯრედიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ტრანზიტზე დასაბრუნებელი თანხის მის მიერ გადახდის ფაქტი, ოდენობა და აღნიშნულის ამსახველ მტკიცებულებაზე ვერ მიუთითა.

შპს „ს. რ-ა“ იმთავითვე თავის სასარჩელო მოთხოვნას 1999 წლის ივლისიდან 2000 წლის ნოემბრამდე ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების შესახებ აფუძნებდა სასარჩელო განცხადებაზე დართულ მხარეთა შორის მიმოწერას. მითითებულ კორესპოდენციებს შორის წარმოდგენილია 2006 წლის 19 სექტემბრის შპს „ს. რ-ის“ 1დგ/6870 მიმართვა სს «თ-ისადმი», სადაც მოსარჩელე მოითხოვს 1999 წლიდან 2002 წლამდე სადავო ტრანზიტის სახით დარიცხული თანხის დაანგარიშებასა და დაბრუნებას. ამავე საკითხს ეხება შპს „ს. რ-ს“ ელექტრომომარაგების დეპარტამენტის უფროს გ.ფ-შვილის სამსახურებრივი ბარათიც.

საქმეში ასევე წარმოდგენილია სს «თ-ის» კომერციულ დირექტორ ა. ი-ნის 2006 წლის 30 იანვრის '1-05/2436' წერილი, რომლითაც მოპასუხე მზადყოფნას გამოთქვამს, შეათანხმოს მოსარჩელესთან 2002-2004 წლებში გადახდილი თანხის დაბრუნების პირობები, ხოლო მანამდე გადახდილ თანხასთან დაკავშირებით შპს «ს. რ-ის» მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევს.

ზემოხსენებული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

ამდენად, მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული კორესპოდენციები და დაადგინოს, მათ საფუძველზე დასტურდება თუ არა შპს «ს. რ-ის» მიერ 1999 წლიდან სს «თ-ისათვის» ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის გადახდა და მხარეთა შორის ელექტროენერგიის ტრანზიტთან დაკავშირებული ურთიერთობის არსებობა, კერძოდ, სს «თ-ის» კომერციულ დირექტორ ა. ი-ნის 2006 წლის 30 იანვრის '1-05/2436' წერილში გამოთქმული მოსაზრება, 2002 წლამდე გადახდილი ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესახებ წარმოდგენს თუ არა სადავო პერიოდში მხარეთა შორის სადავო ურთიერთობის არსებობის დადასტურებას და შპს «ს. რ-ის» წერილებში დაფიქსირებული თარიღი – 1999 წელი უნდა მიიჩნეს თუ არა ამ ურთიერთობის დაწყების მომენტად.

მითითებულ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ 2000 წლის ნოემბრიდან ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის მოპასუხისათვის გადახდის ფაქტი უდავოდ დაადასტურა. ამდენად საგულისხმოა, სადავო გარემოების (1999 წლიდან შპს «ს. რ-ის» მიერ სს «თ-ისათვის» ელექტროენერგიის ტრანზიტის ღირებულების გადახდა-არგადახდის) მტკიცები ტვირთი სს «თ-ს» ხომ არ უნდა დაეკისროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელის მიერ თანხის უსაფუძვლოდ გადახდის დადგენის შემთხვევაში სააპელაციო პალატამ უნდა განსაზღვროს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა და სხვა მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში შეაფასოს შპს «ს. რ-ის» მიერ შეთავაზებული საშუალო თვიური ხარჯის გამოყვანის მეთოდის მართლზომიერება. მხოლოდ აღნიშნულ გარემოებათა გამორკვევის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილი იქნება, იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნაზე გადასახდელი თანხის პროცენტის ანაზღაურების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ (1999-2002 წლებში შპს «ს. რ-ის» მიერ სს «თ-ისათვის» გადახდილი ელექტროენერგიის ტრანზიტის ღირებულებისა და მასზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურების ნაწილში) გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-404-384-2011

15 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სუხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალაფიძე,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, თანხის დაკისრება, ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. თ-ოვმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ., ო., ზ., ნ., მ. მ-ძეების, შ. ყ-იას, ო., ლ., ი., ე. და მ. ვ-შვილების მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებთან დადებული უძრავი ნივთის თხოვების ხელშეკრულების ბათილად

ცნობა და ქ.თბილისში, ... ქ¹2-ში მდებარე სადავო უძრავი ნივთის მოპასუხეთა მფლობელობიდან გამოთხოვა, ასევე მოპასუხეთათვის თანხის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს ვ. თ-ოვის მომართ და მოითხოვეს სადავო საცხოვრებელი სახლის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. თ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.თბილისში, ... ქუჩა 12-ში მდებარე უძრავი ნივთი გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებული დაუბრუნდა ვ. თ-ოვს, მოპასუხეებს: თ. მ-ძეს, ო. მ-ძეს, ზ. მ-ძეს, ნ. მ-ძეს, შ. ყ-იას, მ. მ-ძეს, ვ. თ-ოვის სასარგებლოდ 2004 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ ყოველთვიურად 300 ლარი, ხოლო ო. ვ-შვილს, ლ. ვ-შვილს, ი. ვ-შვილს, ე. ვ-შვილს, მ. ვ-შვილს ვ. თ-ოვის სასარგებლოდ 2004 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე – ყოველთვიურად 200 ლარის გადახდა, დაკმაყოფილდა თ. მ-ძის, ო. მ-ძის, ო. ვ-შვილის შეგებებული სარჩელი და ვ. თ-ოვს თ. მ-ძის, ო. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 79631 ლარის გადახდა, ხოლო ო. ვ-შვილის სასარგებლოდ – 79167.5 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება ვ. თ-ოვის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ვ. თ-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ო. მ-ძის უფლებამონაცვლეებად ცნობილ იქნენ ნ., ზ. და თ. მ-ძეები, ხოლო ამავე პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინებით ვ. თ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: მხარეები არიან ერთმანეთის ბიძაშვილები. ქ. თბილისში, ... ქ¹2-ში მდებარე სადავო სახლთმფლობელობა საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მათი პაპის – ვ. თ-ოვის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1926 წელს. მას დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე (შვილები) – ნ. ი (მოპასუხე თ. მ-ძის მამა), ი. ი (მოპასუხე ო. ვ-შვილის მამა), მ. და დ. (მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამა).

მამის გარდაცვალების დროისთვის ყველა მემკვიდრე ცხოვრობდა მითითებულ სახლში, თუმცა 1935 წელს მთლიან სახლზე სამკვიდრო მოწმობა მიიღო მოსარჩელე ვ. თ-ოვის მამამ დ. თ-ოვმა, რის საფუძველზეც სახლი აღირიცხა მის სახელზე. ამ გარემოების მიუხედავად მოპასუხეთა მშობლები და მათი ოჯახის წევრები განაგრძობდნენ სადავო სახლში ცხოვრებას, თითოეულ მათგანს ურთიერთშეთანხმებით რეალურად ჰქონდა გამოყოფილი თავისი ფართობი, ხოლო მოგვიანებით გაყვეს ეზოც.

ნ. თ-ოვი გარდაიცვალა 1981 წელს, ი. თ-ოვი – 1983 წელს, ხოლო დ. თ-ოვი – 1984 წელს. მათი გარდაცვალების შემდეგ, სადავო სახლში მათ მიერ დაკავებულ წილში ცხოვრება განაგრძეს მათმა შვილებმა ოჯახის წევრებთან ერთად.

2003 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისში, ... ქ¹2-ში მდებარე მთელი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ვ. თ-ოვის სახელზე.

ქ.თბილისში ... ქ¹2-ში მდებარე უძრავი ქონება ათწლეულების განმავლობაში გამიჯნული იყო ვ. თ-ოვის, ო. ვ-შვილისა და თ. მ-ძის ოჯახებს შორის. შესაბამისად, ო. ვ-შვილისა და თ. მ-ძის ოჯახებს ჰქონდათ ცალკე ეზო და შესასვლელი ჭიშკარი. ო. ვ-შვილის და თ. მ-ძის ოჯახები ინდივიდუალურად, თ-ოვების ოჯახისგან დამოუკიდებლად ახორციელებდნენ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს მათსავე დაკავებულ ფართებში. მ-ძეების და ვ-შვილების მიერ მათსავე დაკავებულ ფართებში ბოლო 7-10 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: ოთახების მიშენება, რემონტი, პარკეტის დაგება, კედლების შეღებვა, სათავსოების მოწყობა და სხვა.

აღნიშნული დასტურდება მოწმეების ც. მ-ძის, გ. დ-ულის, ა. ტ-შვილის, თ. მ-ძის და რ. ი-შვილის ჩვენებებით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ საქმეზე დაკითხული მოწმეები წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს და მათ ჩვენებებს არ უნდა მიენიჭოთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რადგან ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. ამასთან, მოწმის სახით დაკითხული პირები დაკითხვის წინ ხელწერილით გაფრთხილებულ იქნენ ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ ვ. თ-ოვის მიერ 1991 წელს შესრულებულ ხელწერილს, რომლითაც ვ. (ვ.) თ-ოვი თავის ბიძოლას – ნ. თ-ოვს აძლევს ნებართვას, მიაშენოს 12 კვ.მ ოთახი თავის სახლს, საქმესთან კავშირი არ აქვს, რადგან ვერ დგინდება ნ. თ-ოვის ნათესაური კავშირი მოწინააღმდეგე მხარესთან. ამდენად, საქმეში არსებული თ. მ-ძის (თ-ოვა) დაბადების მოწმობით დასტურდება, რომ ნ. თ-ოვა არის მისი დედა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ 1991 წელს ვ. თ-ოვი არ იყო ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე და არ გააჩნდა უფლებამოსილება, გაეცა საცხოვრებელ სახლზე ოთახის მიშენების ნებართვა, ამდენად, 1984 წელს დ. თ-ოვის გარდაცვალების შემდეგ, მის დანაშთს სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივად დაეუფლა მისი შვილი – ვ. თ-ოვი.

სასამართლომ გამოიკვლია საქმეში არსებული, ვ. თ-ოვის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები – ქ. თბილისის ლენინის რაიონის კომუნალური განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის წყალკანალის სამსახურის უფროსის წერილი, უკანონო მიშენებების დაკანონებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების მასალები და მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებებით არ დასტურდება დ. და ვ. თ-ოვების მიერ მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაკავებულ ფართში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოების ფაქტი.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის კომუნალური განყოფილების მიერ 1949 წლის 23 იანვარს გაცემული ცნობით, დ. თ-ოვს მიეცა ნებართვა, ქუჩის ღობე გაესწორებინა აგურით და გაეღეს ცემენტის ხსნარით, შიგნით კი აღედგინა ძველი უვარგისი სარდაფი და გადაეხურა თუნუქით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხსენებული ცნობით არ დგინდება, განხორციელდა თუ არა რეალურად ზემოაღნიშნული სამუშაოები, ვინ განახორციელა ისინი და კონკრეტულად რომელი ოჯახის მიერ დაკავებულ ფართს ეხება აღნიშნული ნებართვა.

ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის წყალკანალის სამსახურის უფროსის წერილის თანახმად, ნაძალადევის რაიონის თბილწყალკანალის სააბონენტო განყოფილებაში მისამართზე – ქ.თბილისი, ... ქ.12 აბონენტად აყვანილია მუდმივი გადამხდელი დ. თ-ოვი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული წერილით ვერ დადასტურდება ის ფაქტი, რომ ქ. თბილისში, ... ქ. 12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წყალ-კანალიზაციის გაყვანის სამუშაოები მოწინააღმდეგე მხარეს არ უწარმოებია, შესაბამისად, არ ირკვევა არც ის, დ. თ-ოვი 1935 წლიდან ირიცხებოდა თუ არა სადავო საცხოვრებელი სახლის ერთადერთ მესაკუთრედ. ბუნებრივია, იგი იყო აღრიცხული ნაძალადევის რაიონის თბილწყალკანალის სააბონენტო განყოფილებაში აბონენტად.

ადმინისტრაციული წარმოების მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2003 წლის 30 მაისის '61 დადგენილებით ვ. თ-ოვს დაუკანონდა ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე მის საცხოვრებელ სახლზე უკანონო მიშენებები. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. დ. თ-ოვის გარდაცვალების შემდეგ სადავო საცხოვრებელი სახლი გადავიდა მისი შვილის – ვ. თ-ოვის საკუთრებაში.

საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის მიერ, მის საკუთრებაში არსებულ სახლზე უკანონო მიშენებების დაკანონებას სააპელაციო პალატა ვერ მიიჩნევს იმის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ აღნიშნული მიშენებები აუცილებლად განახორციელა მესაკუთრემ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაკავებულ ფართში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დ. და ვ. თ-ოვების მიერ ჩატარების ფაქტი.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 9 ნოემბრის დასკვნით დადგენილია და საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი, რომ ქ.თბილისში ... ქ.12-ში, ო. ვ-შვილისა და მისი ოჯახის წევრების მიერ მათსავე დაკავებულ ფართზე ჩატარებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება (დარიცხვების გათვალისწინებით) შეადგენს 79167.50 ლარს. ამავე მისამართზე თ. მ-ძისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ ფართზე ჩატარებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ღირებულება (დარიცხვების გათვალისწინებით) შეადგენს 79631 ლარს.

სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის, 987-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სხვა პირის ქონებაზე შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეები მათ მიერ დაკავებულ ფართს მიიჩნევდნენ საკუთარ ქონებად და ახორციელებდნენ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს. ამდენად, უდავოა, რომ მათ ეს ხარჯები შეცდომით გაწიეს მეორე პირის – ვ. თ-ოვის ქონებაზე. ამასთან, ამ ქონების დაბრუნება იწვევს ვ. თ-ოვის გამდიდრებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. თ-ოვმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, 987-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

პალატამ დადგენილად ჩათვალა ფაქტობრივი გარემოება კასატორის კუთვნილ სახლთმფლობელობაზე გაუმჯობესებათა, ანუ ხარჯების გაწევის შესახებ, მაგრამ აღნიშნულზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

102-ე, 103-ე მუხლების შესაბამისად, მოპოვებული და წარდგენილი მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა არასწორად, საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლების გამოყენების გარეშე.

სააპელაციო პალატამ აღიარების მნიშვნელობის მინიჭების მიზნით, დამახინჯებით გადმოსცა კასატორის წარმომადგენლის განცხადებაში ასახული მოსაზრება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის იგნორირებით, არასწორად შეაფასა დანახარჯების გაწევის გასაბათილებლად სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ აღიარებითი მნიშვნელობა არასწორად მიანიჭა ვ. თ-ოვის წარმომადგენლის დამატებით განმარტებებში სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების საწინააღმდეგოდ დასმულ კითხვას, რომ «თუ მათ (შეგებებული სარჩელის ავტორებმა) საკუთარი საბინაო პირობები გაიუმჯობესეს, რითაც თვითონვე სარგებლობდნენ, ამაზე მატერიალური პასუხისმგებლობის ვ. თ-ოვზე დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. მათ შეუძლიათ პირადი ნივთები მოაშორონ ვ. თ-ოვის სახლთმფლობელობას ისე, რომ მესაკუთრის უძრავი ქონება არ იქნეს დაზიანებული».

სააპელაციო სასამართლომ აღიარებად არასწორად ჩათვალა ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მოწინააღმდეგე მხარეთა შუამდგომლობაზე კასატორის წარმომადგენლის განცხადებული თანხმობა. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნება არარსებულ აღიარებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე, 132-ე მუხლების შინაარსის არასწორ განმარტას.

სასამართლომ შეგებებული სარჩელის ავტორთა მიერ სახლთმფლობელობაზე დანახარჯების გაწევის დამადასტურებელ მტკიცებულებად გამოიყენა ექსპერტიზის დასკვნა და მას მიანიჭა მტკიცებულების მნიშვნელობა, როცა ამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცებულების ტვირთი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეთა წარდგენილ შეგებებულ სარჩელში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად მტკიცების ტვირთი კასატორს დააკისრა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. თ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ 2003 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე მთელი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ვ. თ-ოვის სახელზე. აღნიშნული უძრავი ქონება ათწლეულების განმავლობაში გამიჯნული იყო ვ. თ-ოვის, ო. ვ-შვილისა და თ. მ-ძის ოჯახებს შორის. შესაბამისად, ო. ვ-შვილისა და თ. მ-ძის ოჯახებს ჰქონდათ ცალკე ეზო და შესასვლელი ჭიშკარი. ო. ვ-შვილისა და თ. მ-ძის ოჯახები ინდივიდუალურად, თ-ოვების ოჯახისგან დამოუკიდებლად ახორციელებდნენ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს მათსავე დაკავებულ ფართებში. მ-ძეებისა და ვ-შვილების მიერ მათსავე დაკავებულ ფართებში ბოლო 7-10 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: ოთახების მიშენება, რემონტი, პარკეტის დაგება, კედლების შეღებვა, სათავსების მოწყობა და სხვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მითითებული ნორმა ადგენს მხარის ვალდებულებას, საჭირო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც მისი მოთხოვნები ეფუძნება. კანონის აღნიშნული დანაწესი უთითებს იმ მტკიცებულებათა რიგს, რომლებიც მხარემ თავისი მოთხოვნის საფუძველიანობის დასამტკიცებლად შეიძლება წარმოადგინოს, თუმცა გარკვეული ფაქტების დადასტურება შესაძლებელია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ კონკრეტული, სათანადო მტკიცებულებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სასამართლო-სათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლოს მიზანია, მხარეთა მიერ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით დაადგინოს სადავო გარემოების არსებობა-არარსებობის ფაქტი, რა დროსაც ყოველი მტკიცებულების სათანადოობა მოწმდება სასამართლოს მიერ.

ვ. თ-ოვის სახელზე რიცხულ სახლთმფლობელობაში მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარების ფაქტი სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მოწმეთა ჩვენებების, 1991 წელს ვ. თ-ოვის მიერ ნ. თ-ოვას სახელზე გაცემული ხელწერილისა და «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2007 წლის 9 ნოემბრის დასკვნის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა მოცემულ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები შეგებებული სარჩელის ავტორთა მხრიდან სადავო გაუმჯობესების შესრულებასთან დაკავშირებით. მოწმეთა უმრავლესობის განმარტებით, საცხოვრებელი სახლზე წარმოებული გაუმჯობესებები განხორციელებულია ბოლო 7-8 წლის განმავლობაში. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 10-12 წელია, რაც მხარეთა შორის მიმდინარეობს დავა. სარჩელით სადავოდ იყო გამხდარი სწორედ აღნიშნული სახლის საკუთრების უფლება. ძნელად დასაჯერებელია, რომ ასეთი მოცულობის სამუშაოები შეასრულოს ადამიანმა ქონებაზე, რომელიც არ ირიცხება მის საკუთრებად. ხოლო თუ ასეთი სამუშაო მაინც შესრულდება, სასამართლომ უნდა გამორიცხოს, რომ ადგილი არ ჰქონია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია მთელი რიგი სამუშაოები, რომელთა შორის მხოლოდ გარკვეული სამუშაოების შესრულება დაადასტურეს მხარეებმა. ასევე მშენებლობაში გამოყენებულ მთელ რიგ სამშენებლო მასალებს ესაჭიროება სპეციალური ნებართვები, რაც ასევე არ არის წარმოდგენილი საქმის მასალებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპერტის დასკვნაში მითითებული მთელი სამუშაოების ღირებულების მხარისათვის დაკისრება. პალატა მიიჩნევს, რომ დასკვნაში მითითებული თითოეული სამუშაოს შესრულება უნდა დასტურდებოდეს მტკიცებულებით, რომელიც დაადასტურებს ამ სამუშაოთა შესრულების ფაქტს იმ პირის მიერ, ვინც ამ თანხის ანაზღაურებას ითხოვს. ასეთი კი მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სრულად და ყოველმხრივ გამოკვლევას საჭიროებს 1991 წელს შედგენილი ხელწერილიც. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ იგი შედგენილ იქნა თ. მ-ძის დედის – ნ. თ-ოვას მიერ და მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ ნ. თ-ოვამ ვ. (ვ.) თ-ოვს სთხოვა 12 კვ.მ ოთახის მიშენების ნებართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვ. თ-ოვი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა მოგვიანებით. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდის იმასაც, რომ 1991 წლისათვის ქ.თბილისში, ... ქ.12-ში მდებარე სახლთმფლობელობა უკვე შეიცავდა იმ ოთახს, რომლის აშენების ნებართვასაც მოწინააღმდეგე მხარე მოიპოვებს. ასევე, რომც ჩაითვალოს აღნიშნული მტკიცებულება ვ. თ-ოვის ნებართვად, მაშინ შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთებაც, რომ მხოლოდ ერთ ოთახია აშენებული მესაკუთრის თანხმობით, რაც გამორიცხავს დანარჩენი სადავო ოთახების მესაკუთრის ნებართვით აშენებისა და გაუმჯობესების ფაქტს.

ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება, რომ აღნიშნულ დოკუმენტს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია სადავო ფაქტობრივი გარემოებების (შეგებებული სარჩელის ავტორთა მიერ სადავო ფართში სამშენებლო-სარემონტი სამუშაოების ჩატარების ფაქტის) დასადგენად, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავო ფაქტის არსებობა-არარსებობის გამოსაკვლევად სასამართლო აფასებს საქმეში წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას ერთობლიობაში.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ასევე ეფუძნება ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც შეგებებულ სარჩელში მითითებული მიშენებებისა და გაუმჯობესების ღირებულება 2007 წლისათვის შეადგენს ო. ვ-შვილის ოჯახის მიერ დაკავებულ ფართზე – 79167,50 ლარს, ხოლო თ. მ-ძის ოჯახის მიერ დაკავებულ ფართზე – 79631 ლარს. ექსპერტის მითითებით, მისთვის სადავო სამუშაოების შესრულების დრო ცნობილი არ არის, რის გამოც ზემოხსენებული საბაზრო ღირებულება განისაზღვრა ექსპერტიზის ჩატარების მომენტი-სათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააპელაციო პალატამ უპირობოდ გაიზიარა აღნიშნული ოდენობა იმ მოტივით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მითითებულის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოდგენია. აღნიშნულ მოსაზრებას სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან ამ სამუშაოთა შესრულების მტკიცების ტვირთი წარმოადგენს იმ მხარის ვალდებულებას, რომელიც ითხოვს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა შესრულებული ექსპერტის დასკვნაში მითითებული სამუშაოები შეგებებული სარჩელის ავტორთა მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

ვ. თ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

¹ას-249-234-2011 21 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ... სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ლ-ოს» მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2006 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის – 103900 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხემ შესაგებლად სარჩელი არ ცნო, ხოლო სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას 81483,30 ლარის ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ... სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ლ-ოს» სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 81483,30 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ... სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ... სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

«სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» 2004 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებით, შპს «ლ-ომ» (მიმწოდებელი) საქართველოს ... სამინისტროს (შემსყიდველი) წინაშე იკისრა ქ. თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციისა და გამრიცხველიანების სამუშაოების ჩატარების ვალდებულება 3 500 000 ლარის ფარგლებში. მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დაასრულა 2004 წლის 30 დეკემბერს.

საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 7 ნოემბრის წერილით დადგენილია, რომ შპს «ლ-ომ» სამუშაოთა დასრულების შემდეგ, სს «თ-ს» ჩააბარა 103900 ლარის ღირებულების მორჩენილი პოლიეთილენის მილები, ფიტინგები და გაზის მრიცხველები.

2006 წლის 18 დეკემბერს საქართველოს ... სამინისტროს, სს «თ-სა» და შპს «ლ-ოს» შორის დაიდო შეთანხმება ამავე მხარეებს შორის 2004 წლის 30 სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა თაობაზე. კერძოდ, 2006 წლის 18 დეკემბრის შეთანხმებით დადგინდა, რომ სს «თ-ს» ძირითადი საშუალებებიდან უნდა ამოეღო 103 926 ლარის ღირებულების ზემოთ აღნიშნული საქონელი და გადაეცა შპს «ლ-ოსათვის», ხოლო შპს «ლ-ომ» ... სამინისტროს წინაშე იკისრა ვალდებულება, 2006 წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაებრუნებინა 103,9 ათასი ლარი და უფლება ჰქონდა, შპს «ყ. თ-ის» საწყობში არსებული ამ ღირებულების ქონება განეკარგა საკუთარი შეხედულებისამებრ.

საქართველოს ... სამინისტრომ 2007 წლის 25 იანვრის წერილით შპს «ლ-ოს» მოითხოვა 2006 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 103 900 ლარის გადახდა. მოპასუხემ 103 900 ლარიდან სარჩელი ცნო 81 483,30 ლარის გადახდის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება მოპასუხის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ, კერძოდ, **22 416,7** ლარის შესრულების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული გარემოება დაადასტურა მოსარჩელის წარმომადგენელმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **15** სექტემბრის სასამართლო სხდომაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **131-ე, 132-ე** მუხლებსა და სამოქალაქო კოდექსის **427-ე** მუხლზე მითითებით კანონიერად უთხრა უარი მოსარჩელეს **22 416,7** ლარის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს ... სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს უარი ეთქვა **22416,7** ლარის ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის **2006** წლის **18** დეკემბრის ხელშეკრულება ცალსახად აკისრებს შპს «ლ-ოს» **103900** ლარის გადახდის ვალდებულებას და არა რაიმე გადასახადის გადახდას. მოპასუხეს ვალდებულება ნაწილობრივაც კი არ შეუსრულებია და შპს «ლ-ოს» მიერ გადასახადების გადახდა ასეთად ვერ ჩაითვლება.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ კასატორის წარმომადგენელმა საქმის განხილვისას დაადასტურა სადავო თანხის ნაწილში შპს «ლ-ოს» მიერ ვალდებულების შესრულება, ვინაიდან კასატორმა სასამართლო სხდომაზე საწინაარმდეგო დააფიქსირა და განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს **103900** ლარის გადახდა სრულად უნდა დაეკისროს. ის გარემოება კი, რომ სამინისტროს წარმომადგენელმა იმსჯელა შპს «ლ-ოს» მიერ დღგ-ს გადახდის ფაქტზე საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, არ ნიშნავს სარჩელის ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგენილია, რომ **2004** წლის **30** სექტემბრის ხელშეკრულებით, შპს „ლ-ომ“ (მიმწოდებელი) საქართველოს ... სამინისტროს (შემსყიდველი) წინაშე იკისრა ქ.თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციისა და დგამრიცხველიანების სამუშაოების ჩატარების ვალდებულება, ჯამური თანხით **3 500 000** ლარი; მოპასუხემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დაასრულა **2004** წლის **30** დეკემბერს;

საქართველოს კონტროლის პალატის **2006** წლის **7** ნოემბრის წერილით დადგენილია, რომ შპს „ლ-ომ“ სამუშაოთა დასრულების შემდეგ, სს „თ-ს“ ჩაბარა **103 900** ლარის ღირებულების მორჩენილი პოლიეთილენის მილები, ფიტინგები და გაზის მრიცხველები.

2006 წლის **18** დეკემბერს საქართველოს ... სამინისტროს, სს „თ-სა“ და შპს „ლ-ოს“ შორის დაიდო შეთანხმება ამავე მხარეებს შორის **2004** წლის **30** სექტემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა თაობაზე. კერძოდ, **2006** წლის **18** დეკემბრის შეთანხმებით დადგინდა, რომ სს „თ-ს“ ძირითადი საშუალებებიდან უნდა ამოეღო **103 926** ლარის ღირებულების ზემოთ აღნიშნული საქონელი და გადაეცა შპს „ლ-ოსათვის“, შპს „ლ-ომ“ კი ... სამინისტროს წინაშე აიღო ვალდებულება **2006** წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაებრუნებინა **103,9** ათას ლარი. ამასთან მას უფლება ჰქონდა შპს „ყ. თ-ის“ საწყობში არსებული ამ ღირებულების ქონება განეკარგა საკუთარი შეხედულებისამებრ.

საქართველოს ... სამინისტრომ **2007** წლის **25** იანვრის წერილით შპს „ლ-ოს“ მოსთხოვა **2006** წლის **18** დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ **103 900** ლარის გადახდა.

მოპასუხემ **103 900** ლარიდან სარჩელი ცნო **81 483,30** ლარის გადახდის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება მოპასუხის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ, კერძოდ **22 416,7** ლარის შესრულების შესახებ. აღნიშნული გარემოება დაადასტურა მოსარჩელის წარმომადგენელმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის სასამართლო სხდომაზე, სადაც მან დაადასტურა მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ **22 416,70** ლარის გადახდის ფაქტი და მიუთითა, რომ ეს თანხა შედიოდა სარჩელის მოთხოვნილ **103 900** ლარში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **407-ე** მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ... სამინისტროს გააჩნია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომ შპს „ლ-ოს“ **22 416,7** ლარის ვალდებულება შესრულებული აქვს ბიუჯეტის სასარგებლოდ აღნიშნული თანხის გადახდის გზით.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას სასამართლო დაეყრდნო მხარის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას, რომელმაც სასამართლო სხდომაზე დაადასტურა მო-

პასუხის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდის ფაქტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთი ფაქტობრივი გარემოების დადგენა შეუძლებელია მოხდეს ახსნა-განმარტების მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. იურიდიული პირის მიერ დამატებითი ღირებულების გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში ხდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. გადახდის დროს დგება ამავე კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რაც წარმოადგენს მტკიცებულებას მოცემული დავის გადაწყვეტისათვის. ასეთი სახის მტკიცებულებები საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის. სასამართლოს ამ ინფორმაციის მიწოდების წყაროც კი არ გაურკვევია, ისე მიიჩნია დადგენილად შპს «ლ-ოს» მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, მოპასუხის მიერ 22 416,70 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის ფაქტი დაადგინოს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულების და არა მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში საპროცესო ნორმების დარღვევითაა გამოტანილი, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ. საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დადგინდეს შპს «ლ-ოს» მიერ საქართველოს ... სამინისტროსათვის შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ... სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს ... სამინისტროს უარი ეთქვა 22416,7 ლარის ანაზღაურებაზე და საქმე ამ ნაწილში დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-587-555-2011

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ს. რ-ამ» სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდ.მეწარმე ი. შ-ას მიმართ ზიანის – 13083,81 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს «ს. რ-ის» ფილიალ «თ. ს-ოს» 15 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციასა და ინდ.მეწარმე ი. შ-ას შორის 2002 წლის 2 დეკემბერს 5 წლის ვადით დაიდო იჯარის ხელშეკრულება. ინდ.მეწარმე ი. შ-ას იჯარით გადაეცა მოსკოვის გამზირის 12-ში მდებარე 125 კვ.მ ფართი.

საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა წელიწადში 1 კვ. მეტრზე 12 ლარით. 2006 წლის პირველი ნოემბრიდან შპს «ს. რ-ამ» ინდ.მეწარმე ი. შ-ას გაუზარდა ქირა და მოსთხოვა 1 კვ. მეტრზე თვეში 4 ლარი დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა. 2007 წლის 2 დეკემბრიდან 2008 წლის 9 ოქტომბრამდე ინდ.მეწარმე ი. შ-ა უსასყიდლოდ აგრძელებდა ფართის უკანონო, არამართლობითი სარგებლობას. შედეგად შპს «ს. რ-ას» მიადგა ზიანი 13083,81 ლარის ოდენობით, რომელიც გადასახდელად უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

მოპასუხე ინდ.მეწარმე ი. შ-ამ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხის განმარტებით, **2005 წლის 2 ნოემბერს** შპს «ს. რ-ამ» შეუწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება, რის გამოც ინდ.მეწარმე ი. შ-ამ დაუყონებლივ დატოვა ფართი და იჯარის საგნით აღარ უსარგებლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 27 ნოემბრის** გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-ამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011 წლის 16 თებერვლის** განჩინებით შპს «ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 27 ნოემბრის** გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ინდ.მეწარმე ი. შ-ამ **2005 წლის ნოემბრიდან** გაათავისუფლა იჯარით აღებული ფართი და დაუბრუნა შპს «ს. რ-ას». პალატის მითითებით, მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების **13.5 პუნქტის** თანახმად, «მეიჯარეს» უფლება აქვს, შესაბამისი გაფრთხილებიდან ერთი კვირის შემდეგ, ვადაზე ადრე ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, თუ «მოიჯარე» უარს ამბობს გადაიხადოს «მეიჯარის» მიერ შემოთავაზებული გაზრდილი საიჯარო ქირა, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შპს «ს. რ-ის» ფილიალ თ. ს-ო **15-ის** სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციის **2005 წლის 2 ნოემბრის** წერილით დასტურდება ის გარემოება, რომ შპს «ს. რ-ამ», მხარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების **13.5 მუხლის** საფუძველზე, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე მუხლზე** და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს «ს. რ-ას» სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოს დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, კერძოდ, მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მის მიერ გამოვლენილი და მოპასუხის მიერ მიღებული ნებისა, მათ შორის, როგორც ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადამდე (**2007 წლის 2 დეკემბერი**), ისე ამის შემდეგ **2008 წლის 9 ოქტომბრამდე** (სწორედ ამ დრომდე ითხოვდა მოსარჩელე ზიანის სახით საიჯარო ქირის ანაზღაურებას), მოპასუხე ფაქტობრივად აგრძელებდა საიჯარო ფართის ფლობას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ იჯარის ხელშეკრულების მე-17 მუხლის თანახმად, «საიჯარო ქონების» დაბრუნებისას უნდა შემდგარიყო მიღება-ჩაბარების აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. იჯარის ხელშეკრულების მე-17 პუნქტის თანახმად, «მოიჯარესათვის», «საიჯარო ქონებასთან» ერთად, ინვენტარისა და მოწყობილობების იჯარით გაცემისას, მხარეთა შორის ფორმდება ცალკე საიჯარო ხელშეკრულება და დგება მიღება-ჩაბარების აქტი. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პუნქტი არ ითვალისწინებს საიჯარო ქონების დაბრუნებისას მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის აუცილებლობას და აპელანტის მხრიდან ხდება ამ პუნქტის შინაარსის არასწორი ინტერპრეტაცია. სააპელაციო პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსაზრებებს სარჩელზე დართული **2008 წლის 9 ოქტომბრის** კომისიური დალუქვის ოქმთან დაკავშირებითაც, რომლის საფუძველზეც შპს «ს. რ-ა» ცდილობდა იმ გარემოების დადასტურებას, რომ ინდივიდუალური მეწარმე «ი. შ-ა» **2008 წლის 9 ოქტომბრამდე** ფლობდა იჯარით აღებულ ფართს. სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **105-ე მუხლის** დანაწესის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ მიიჩნია ეს ოქმი სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, მისი ცალმხრივი ხასიათის გათვალისწინებით. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ დალუქვის ოქმშიც პირდაპირ არის მითითებული ფართის დაცლილ მდგომარეობაში ყოფნის თაობაზე. ამასთან, ოქმზე არ არის აღნიშნული, რომ მოპასუხე ინდ.მეწარმე ი. შ-ამ უარი განაცხადა მის ხელმოწერაზე. პალატის განმარტებით, ვერც სააპელაციო ინსტანციაში დამატებით მიღებული მტკიცებულებებით იქნა დადასტურებული სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სს «თ-ის» მიერ სასამართლოს მოთხოვნით გაცემულ წერილში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საიჯარო ობიექტზე **2004 წლის დეკემბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე** აბონენტად აღრიცხული იყო ინდ.მეწარმე ი. შ-ა, ვერ გამოდგება იმის უტყუარ მტკიცებულებად, რომ ამ ფართს მოპასუხე ფლობდა **2008 წლის 9 ოქტომბრამდე**. ამ მიმართებით, ყურადსაღებია თვით მოპასუხის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადების ბრუნვის ისტორიები (ასევე კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც მოპასუხემ შეწყვიტა საიჯარო ფართის ფლობა (რომელშიც ფუნქციონირებდა პურ-ფუნთუშეულის საამქრო), როგორც ელექტროენერგიის, ისე წყლის მოხმარებამ მნიშვნელოვნად იკლო, ხოლო ზოგიერთ თვეში საერთოდ ნულს გაუტოლდა. პალატის მითითებით, საქმეში ასევე არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ **2006-2008 წლებში** სადავო ობიექტზე მოხმარებული დენისა და წყლის საფასურს იხდიდა მოპასუხე ინდ.მეწარმე ი. შ-ა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია რომ, სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. რ-ამ», მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ინდ.მეწარმე ი. შ-ამ 2005 წლის ნოემბრიდან გაათავისუფლა იჯარით აღებული ფართი და დაუბრუნა შპს «ს. რ-ას», რადგანაც საქმის მასალებში არ არსებობს მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მე-18 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი, სასამართლომ ასევე არასწორად არ გაიზიარა შპს «ს. რ-ის» მტკიცება, რომ 2008 წლის 9 ოქტომბრამდე მოწინააღმდეგე მხარე ფლობდა სადავო ფართს, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 9 ოქტომბრის კომისიურად დალუქვის ოქმის თანახმად, შპს «ს. რ-ის» თანამშრომლების მიერ მოხდა სადავო ფართის დალუქვა და ინდ.მეწარმე ი. შ-ას ფართიდან გამოსახლება, ხოლო ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ოქმზე ხელის მოწერაზე.

შპს «ს. რ-ის» მიერ საქმეში წარმოდგენილი დავალიანების გადაანგარიშების ცხრილის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს ჯერ კიდევ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ერიცხებოდა დავალიანება 522.52 ლარი, ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას კი, 2007 წლის 2 დეკემბრამდე საიჯარო ქირის დავალიანება 13083.81 ლარიდან შეადგენდა 7602.52 ლარს, რის გამოც დავის საგანი არა მარტო საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებით გამოწვეული ქირის დაკისრებაა, არამედ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 2007 წლის 2 დეკემბრამდე არსებული ქირის დავალიანების დაკისრებაც.

სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საიჯარო ქირის დავალიანების დაანგარიშების ცხრილი, ამასთან არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლით, 581-ე მუხლის 1-ელი და 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილებით.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2005 წლის ნოემბრიდან ინდ.მეწარმე ი. შ-ამ გაათავისუფლა იჯარით აღებული ფართი და გადასცა კასატორს, ამასთან, არასწორად არ გაიზიარა შპს «ს. რ-ის» მითითება 2008 წლის 9 ოქტომბრამდე საიჯარო ფართის მოწინააღმდეგე მხარის მიერ ფლობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინებით შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დაუსწრებლად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და შპს «ს. რ-ის» საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა შეიძლება მდგომარეობდეს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაში, რასაც საქმის გარემოებების არასწორი დადგენა მოჰყვება, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია საქმის შედეგზე. სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ხოლო ამ გარემოებების ხელახლა გადამოწმების საფუძველს ქმნის კასატორის მიერ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) წარმოდგენა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «ს. რ-ის» ფილიალ თ. ს-ოს 15 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციას და ი/მ «ი. შ-ას» შორის 2002 წლის 2 დეკემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს გადაეცა ქ.თბილისში, მოსკოვის გამზირი 12-ში განთავსებული 125 კვ.მ ნაგებობა. შპს «ს. რ-ამ», მხარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების 13.5 მუხლის საფუძველზე, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. ინდ.მეწარმე ი. შ-ამ 2005 წლის ნოემბრიდან გაათავისუფლა იჯარით აღებული ფართი და დაუბრუნა შპს «ს. რ-ას». სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს «ს. რ-ას» სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სარჩელში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, კერძოდ, ის მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხის მიერ 2008 წლის 9 ოქტომბრამდე საიჯარო ფართის ფლობის ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული მხარე იღებს თავის თავზე როგორც ფაქტების

გადმოცემის, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთებულების ტვირთს. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, კერძოდ, 102-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

შპს «ს. რ-ის» კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ინდ.მეწარმე ი. შ-ამ 2005 წლის ნოემბრიდან გაათავისუფლა იჯარით აღებული ფართი და დაუბრუნა შპს «ს. რ-ას». საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლზე, რომლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულებით მიიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მიიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს დამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. მითითებული ნორმების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მიიჯარე ვალდებული ამტკიცოს მოიჯარისთვის ქონების გადაცემა, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ვადამდე მოიშალა ხელშეკრულება თუ ვადის გასვლით შეწყდა, ქონების დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოიჯარეს. ამდენად მოცემულ შემთხვევაში, შპს «ს. რ-ა» არ არის ვალდებული, ამტკიცოს მოპასუხის მიერ ქონების დაუბრუნებლობა.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ, რომ საიჯარო ქონება გადაეცა მოიჯარეს და მოიჯარე განსაზღვრული ვადით სარგებლობდა ამ ქონებით. სადავოა ის გარემოება, იჯარის ხელშეკრულების მოშლის შემდეგ მოიჯარემ დაუბრუნა თუ არა მიიჯარეს საიჯარო ქონება. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით შპს «ს. რ-ამ» ვერ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ი.შ-ას არ დაუბრუნებია საიჯარო ქონება მოსარჩელისთვის. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე კასატორის პრეტენზია მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების თაობაზე დასაშვები და დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასებისას არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, «საიჯარო ქონების» დაბრუნებისას უნდა შემდგარიყო მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ დააფუძნა ხელშეკრულების მე-17 პუნქტის დებულებებს, თუმცა, საკასაციო პალატა მიუთითებს ხელშეკრულების სხვა პუნქტზე, კერძოდ, მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საიჯარო ქონების მიიჯარისთვის გადაცემა, ასევე ამ ქონების უკან დაბრუნება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით. სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში ასევე არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ 2006-2008 წლებში სადავო ობიექტზე მოხმარებული დენისა და წყლის საფასურს იხდიდა მოპასუხე ინდ.მეწარმე ი. შ-ა. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ 2006 წლის 6 იანვრის ელექტროენერჯის გადახდის ქვითარზე, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ გადახდილია თანხა 989.57 ლარი, აბონენტი ი.მ «ი. შ-ა». საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მტკიცებულებას სასამართლომ არ მისცა სათანადო შეფასება. შეფასების გარეშე ასევე დარჩენილი მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტება, სადაც ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ სადავო ფართის გასაღები გადასცა სხვას ადმინისტრაციაზე გადასაცემად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება ნიშნავს მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მოიცავს მსჯელობას როგორც მტკიცებულებათა გაზიარების, ასევე მათი უარყოფის შესახებ. როგორც ზემოთ ვახსენეთ, სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილი მტკიცებულებებისა არ იქნა შეფასებული ყოველმხრივ და სრულად, ხოლო ზოგიერთს არ მიეცა სათანადო შეფასება. აქედან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევაში საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასა-

მართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა. კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას მტკიცების ტვირთის სამართლიანად განაწილების პირობებში უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ხოლო ამ გარემოებათა დადგენას საფუძვლად უნდა დაუდოს მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-შემოწმება, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დავა უნდა გადაწყვიტოს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, ვინაიდან დავის საგანია არა მარტო საიჯარო ქონების დაბრუნების დაყოვნებით გამოწვეული ქირის დაკისრება, არამედ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებული ქირის დავალიანების დაკისრებაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღმერიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლო ხარჯები, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, უნდა განაწილდეს გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-936-974-2011

15 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. სილაგაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულების აღიარება; ვალდებულებით- სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. და შ. შ-ეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობების «ი. 2-სა» და ი. 91-ის» მიმართ და მოითხოვეს სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება, საცხოვრებელი ფართისა და ავტოფარეხის გადაცემა შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 16 ნოემბრის 11290 განკარგულებით მოსარჩელები გაწევრიანდნენ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ი. 91-ში», რომელიც ჩამოყალიბდა რაიონული აღმასკომის 1991 წლის 17 ივნისის 1... გადაწყვეტილებით აკადემქალაქისა და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის, ქ-ის ქუჩასა და ფ-ს გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მუზეუმის დასავლეთით გამოყოფილ ტერიტორიაზე. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ი. 91-ის» 1991 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს – დ. და შ. შ-ეებს გადაეცათ საკუთრების უფლება 141 კვ.მ ოთხოთახიან და 122 კვ.მ სამოთახიან ბინასა და ორ გარაჟზე. ხელშეკრულების დადების დროს ორივე ბინა 120 000 რუსული მანეთი ღირდა. მოსარჩელების განმარტებით, მათ ბინის ღირებულება სრულად დაფარეს. 1991 წელს, ინფლაციის გამო, მოპასუხემ დამატებით გადაახდევინა 40 000 რუსული რუბლი. 1991 წელს მშენებლობა შე-

ჩერდა. მოსარჩელების განმარტებით, 1992 წლის ივნისში მოწინააღმდეგე მხარემ დამატებით გადაახდევინა 150000 რუსული რუბლი, მაგრამ მშენებლობა არ განახლებულა და 9 წლის განმავლობაში შეჩერებული იყო. 1999 წელს მოსარჩელე დ. შ-ე საზღვარგარეთ წავიდა. 2004 წლის ივნისში მისთვის გახდა ცნობილი, რომ 2002 წლის 10 მაისს შედგა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. 91-ის“ წევრთა კრება, სადაც გაწევრიანებული მენაშენები სამ კატეგორიად დაიყვნენ. პირველ კატეგორიას მიეკუთვნა მენაშენთა ის წევრები, ვინც თანხა მთლიანად გადაიხადა და დროულად დაფარა. მშენებლობის განახლების მომენტში მათ ბინა უშენდებოდათ ყოველგვარი თანხის დამატების გარეშე. პირველ კატეგორიაში დასახელდა ცხრა მენაშენე. აღნიშნულ სიაში მოსარჩელები ვერ მოხვდნენ. მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა 2003 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულების შესახებ, რომლითაც დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. 2«. ხელშეკრულების მე-6 პუნქტის თანახმად, ამხანაგობა „ი. 91-ის“ მიერ ამხანაგობაში შეტანილი 3138 კვ.მ ფართობის მიწის საკომპენსაციოდ ქ.თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ფ-ს გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით აშენებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა აღნიშნული პროექტით დამტკიცებული მრავალსართულიანი სახლის საცხოვრებელი ფართი მე-2 და მე-3 სართულებზე მდებარე 1970 კვ.მ მეტრი, ასევე 170 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ავტოფარეხები, 200 კვ.მ სარდაფი მესაკუთრის ყველა კანონიერი უფლებით.

მოპასუხე ამხანაგობა „ი. 91-მა“ სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელებს დ. და შ. შ-ეებს ამხანაგობა „ი. 91-თან“ არ დაუდიათ ხელშეკრულება. ამდენად, ამხანაგობას არ უკისრია მოსარჩელებისათვის ბინების საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება. მოპასუხის წარმომადგენელმა დაადასტურა მოსარჩელების მიერ 110 000 რუსული რუბლის გადახდის ფაქტი, ხოლო, რაც შეეხება 150 000 მანეთს, აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ.

სარჩელი არ ცნო მოპასუხე „ი. 2-ის“ წარმომადგენელმა და განმარტა, რომ პრეფექტურის გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულებად, გარიგება მხარეებს შორის არ შემდგარა და მოსარჩელებს ბინის ღირებულება დროულად არ დაუფარავთ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა დ. და შ. შ-ეების სასარჩელო მოთხოვნა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს დ. და შ. შ-ეებმა. უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

2010 წლის 7 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სარჩელის საგანია, მოსარჩელების: დ. და შ. შ-ეების, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 91-ისა» და ამხანაგობა «ი. 2-ის» წევრების მიერ ვალდებულების შესრულების – 122 კვ.მ სამოთახიანი ბინის და 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინის აღიარება და ორი ავტოფარეხის ღირებულების ანაზღაურება; მოპასუხეებს დაევალოთ ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩასა და ფ-ს გამზირს შორის ამიერკავკასიის სამხედრო მუზეუმის დასავლეთით საცხოვრებელი სახლის აშენებისას 122 კვ.მ სამოთახიანი ბინის, 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინისა და 2 ავტოფარეხის გადაცემა პირველი კატეგორიის მენაშენთათვის განთავსებულ ფართში.

თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 6 ნოემბრის განკარგულებების თანახმად დადგენილია, რომ მოსარჩელების ამხანაგობა «ი. 91-ში» გაწევრიანების ფაქტი დ. შ-ის ოთხოთახიანი ბინის, ხოლო შ. შ-ის სამოთახიანი ბინის აშენების უფლებით. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განკარგულებები გაუქმებული არ არის, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი დ. და შ. შ-ეებისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, მოსარჩელები არიან ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრები. საქმეში წარმოდგენილია ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა «ი. 91-ის» გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც დ. შ-ეს უნდა გადასცემოდა ოთხოთახიანი, ხოლო შ. შ-ეს – სამოთახიანი ბინები. მოსარჩელეთა განმარტებით, შეთანხმება ზეპირად არსებობდა 122 კვ.მ სამოთახიანი ბინის, 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინისა და ორი ავტოფარეხის აშენების თაობაზე, თუმცა ასეთი შინაარსის კონკრეტული მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელეთა და ამხანაგობა «ი. 91-ის» შეთანხმებას, კონკრეტულად რა თანხას შეადგენდა 1 კვ.მ-ის აშენების ღირებულება. 1 კვ.მ-ის ღირებულება უნდა დაზუსტებულიყო მშენებლობის პროცესში. ამხანაგობის განმარტებით, აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სამშენებლო მასალების ღირებულება იყო ცვალებადი, იყო ინფლაცია და ამხანაგობის წევრებს უწევდათ პერიოდულად სხვადასხვა ხარჯის გაწევა. უდავოა ისიც, რომ მშენებლობის პროცესში პროექტი რამოდენიმეჯერ შეიცვალა. შესაბამისად, 1 კვ.მ-ის ღირებულება უნდა დაზუსტებულიყო მშენებლობის პროცესში, ანუ უნდა შეთანხმებულიყვნენ ფასების კორექტირებაზე. საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრთა საერთო კრების 2002 წლის 10 მაისის 15 ოქმით ამხანაგობის წევრები დაიყვნენ კატეგორიებად: პირველ კატეგორიას მიეკუთვნნენ ის წევრები, ვინც თანხა მთლიანად და დროულად დაფარა. ასეთ კატეგორიად მიჩნეულ

იქნა 9 მენაშენე, რომელთა შორისაც არ არიან მოსარჩელები. მეორე კატეგორიას მიეკუთვნენ ის წევრები, რომელთაც გადახდილი ჰქონდათ გარკვეული თანხა და, შესაბამისად, უნდა აშენებოდათ შესაბამისი ფართი. მშენებლობის განახლების პროცესში მათ აღნიშნული ფართი მიეცემოდათ უსასყიდლოდ. სხვა მათ მიერ დაკავებულ 1 კვ.მ ფართზე უნდა გადაეხადათ 120 აშშ დოლარი. მესამე კატეგორიას მიეკუთვნენ მენაშენეები, რომელთაც შეტანილი ჰქონდათ ამხანაგობაში გარკვეული თანხა, მაგრამ მათ არ სურდათ მშენებლობის გაგრძელება. ისინი გადიოდნენ ამხანაგობიდან იმ პირობით, რომ მათზე უნდა გაცემულიყო შესაბამისი კომპენსაციები. 2003 წლის 26 დეკემბერს დაიდო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 2-ის» დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა «ი. 91» წარმოადგენს ამხანაგობა «ი. 2-ის» ერთ-ერთ დამფუძნებელს, რომელმაც შესატანის სახით შეიტანა 3 138 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ამის სანაცვლოდ გადაეცა მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში საცხოვრებელი ფართი მე-2 და მე-3 სართულებზე, ასევე ავტოფარეხები და სარდაფი კარკასულ მდგომარეობაში. მოსარჩელები სამოთახიანი და ოთხოთახიანი ბინების და 2 ავტოფარეხის გადაცემას სწორედ ზემოაღნიშნულ «ი. 91-სათვის» გადაცემულ მე-2 და მე-3 სართულებზე განთავსებულ ფართში ითხოვენ.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 2-მა» იკისრა ვალდებულება ამხანაგობა «ი. 91-ის» მენაშენეების წინაშე, რომლებსაც ამ მშენებლობისათვის ადრე შეტანილი ჰქონდათ გარკვეული თანხა და სურვილს გამოთქამდნენ, გაწევრიანებულიყვნენ ახლადშექმნილ ამხანაგობა «ი. 2-ში» და მონაწილეობას მიიღებდნენ მშენებლობის პროცესში. ამდენად, ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრებს, რომლებსაც ადრე შეტანილი ჰქონდათ მშენებლობისათვის გარკვეული თანხა, რომ მიეღოთ ბინა ახალაშენებულ შენობაში, უნდა გამოეხატათ შესაბამისი ნება და მონაწილეობა მიეღოთ მშენებლობის პროცესში. მოსარჩელეთა მხრიდან ასეთი ნების გამოვლენა არ დასტურდება. ხელშეკრულებაში მიეთითა ამხანაგობა «ი. 91-ის» ვალდებულება, დაუბრუნოს თანხა იმ მენაშენეებს, რომლებიც საკუთარი სურვილით გავიდნენ ამხანაგობა «ი. 91-დან», საშუალოდ 1 კვ. ფართზე 150 აშშ დოლარი. მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ ამხანაგობა «ი. 2-მა» შეასრულა თავისი ვალდებულება ამხანაგობა «ი. 91-ის» წინაშე და გადასცა მას აშენებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში საცხოვრებელი ფართი მე-2 და მე-3 სართულებზე. ამხანაგობა «ი. 91-მა» მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფართის ე.წ პირველი კატეგორიის 9 მენაშენეზე განაწილების თაობაზე. 2004 წლის 6 ოქტომბერს შედგა ამხანაგობა «ი. 91-ის» კრება, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 9 მენაშენისათვის, რომლებსაც სრულად ჰქონდათ გადახდილი თანხა. კრებამ ასევე განსაზღვრა ის ფართები, რისი შესაბამისი ღირებულებაც ჰქონდათ ანაზღაურებული გარკვეულ მენაშენეებს, რომლებსაც ვალდებულება სრულად არ ჰქონდათ შესრულებული. მათ შორის არიან მოსარჩელებიც. გადახდილი თანხის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი: დ. შ-ეს განესაზღვრა 28 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო შ. შ-ეს კი – 14 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. ამ ფართების საკომპენსაციო თანხის გადახდაზე ამხანაგობა «ი. 91» უარს არ აცხადებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და საქმის მასალებით დასტურდება მოსარჩელეთა მიერ უშუალოდ ამხანაგობა «ი. 91-ში» 1991 წელს 160 000 მანეთის გადახდა. სააპელაციო საჩივრით სადავოდ არის გამხდარი დამატებით 150 000 მანეთის ბანკის მეშვეობით ამხანაგობა «ი. 91»-ის სასარგებლოდ გადახდა. ამხანაგობა «ი. 91-ის» პოზიციას, რომ ამ თანხის გადახდის შემთხვევაშიც მას არ წარმოემოზოდა ბინების გადაცემის ვალდებულება, რადგან მოსარჩელეთა მხრიდან ვალდებულება სრულად მაინც არ იქნებოდა შესრულებული. წარმოდგენილი საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს საბუღალტრო-სარევიზიო კვლევათა ჯგუფის სპეციალიტების მიერ ამხანაგობა «ი. 91-ის» სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზიის ჩატარების თაობაზე 2006 წლის 14 ივნისის აქტით, რომელსაც გაეცნო და ხელს აწერს ასევე ამხანაგობა «ი. 91-ის» თავმჯდომარე ქ. ჯ-მე, დასტურდება, რომ 19.10.1992 წელს საბროკერო ფირმა 168/2 «ლარსმა» სკზ «ვაკვასიის» ბანკის მეშვეობით ამხანაგობა «ი. 91-ში» ჩარიცხა 150 000 რუსული მანეთი. საგადასახადო დავალებაში ვისთვისაა ჩარიცხული არ ჩანს, ხოლო როგორც ამხანაგობა «ი. 91-ის» თავმჯდომარე ჯ-მე განმარტავს, აღნიშნული თანხა ეკუთვნოდა დ. შ-ეს, შესაბამისად, დადგენილია მოსარჩელეთა მიერ ჯამში 310 000 მანეთის გადახდა. ამასთან, ვერ დასტურდება, რომ მოსარჩელებთან არსებობდა შეთანხმება ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ 122 კვ.მ სამოთახიანი ბინის, 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინისა და ორი ავტოფარეხის გადაცემის თაობაზე. რაც შეეხება საკითხს, სწორად აქვს თუ არა მოპასუხეს გამოთვლილი მოსარჩელებისათვის 1991-1992 წლებში გადახდილი თანხის სანაცვლო კომპენსაცია, რის გადახდაზეც აცხადებს თანხმობას ამხანაგობა «ი. 91», აღნიშნულზე პალატა ვერ იმსჯელებს, რამეთუ კომპენსაციის დაკისრება არ წარმოადგენს წინამდებარე სარჩელის საგანს. პალატამ მიუთითა, რომ მხარეები თანახმა არიან 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის გამოყენებაზე. სამოქალაქო კოდექსის ნორმებს ეფუძნება უშუალოდ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარიც. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, 361-ე, 930-ე, 932-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ, განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა

მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს დ. და შ. შ-ეებმა და მიუთითეს, რომ სასამართლომ განჩინების გამოტანისას მტკიცების ტვირთი არ დააკისრა მოპასუხეებს, რაც არის უკანონო. განჩინებაში მითითებულია, რომ არ მოიპოვება მტკიცებულება რა თანხას შეადგენდა 1 კვ.მ აშენების ღირებულება და ამასთან დადგენილია, რომ მოსარჩეეების მიერ გადახდილია თანხა 310 000 მანეთი, მიუხედავად ამისა, ვერ დასტურდება, თანხის გადახდის სანაცვლოდ შეთანხმება სამოთახიანი ბინის, ოთხოთახიანი ბინისა და ორი ავტოფარეხის გადაცემის თაობაზე. სარჩელის პირველ მოთხოვნას წარმოადგენდა აღიარება იმისა, რომ კასატორები ი/ზ ამხანაგობა „ი. 91-სა« და „ი. 2-ის« წევრები არიან. სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილად მიიჩნია მითითებული გარემოება, ხოლო სარეზოლუციო ნაწილით სარჩელი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მის მიერ გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც დაზარალებულად ცნობილი და დაკითხული იყო 17 მენაშენე. მითითებული დაზარალებულები მიეკუთვნებიან იმ 70 მენაშენეთა რიცხვს, რომელებიც გაწევრიანებული იყვნენ 1991 წელს „ი. 91-ის« დაკომპლექტების დროს, საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 6 ნოემბრის 1290 განკარგულების საფუძველზე. სასამართლომ შეფასება არ მისცა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წერილებს, რომელშიც მითითებულია რას შეადგენდა 1 აშშ დოლარის გაცვლითი კურსი მანეთსა და კუპონთან მიმართებით 1991-1994 წლებში, ასევე არ იმსჯელა სტატისტიკის დეპარტამენტის წერილზე, რომლითაც დადგენილია, რომ 1991 წელს გადახდილი 160000 რუსული რუბლი შეადგენდა 92000 აშშ დოლარს. ინფლაცია დაიწყო 1992 წლის ბოლოს კასატორის მიერ კი, 310 000 მანეთი გადახდილია ინფლაციის დაწყებამდე. სასამართლომ არ შეაფასა ასევე ამხანაგობა „ი. 91« 2002 წლის 10 მაისის 115 საერთო კრების ოქმი და 2003 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულება, სადაც მოპასუხეს თვითონ აქვს დადგენილი 1 კვ.მ-ის ღირებულება, რაც შეადგენს 120 აშშ დოლარს. კასატორებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ ბევრად მეტია გადახდილი. ამასთან, არც ამხანაგობის თავმჯდომარის 12.04.94 წლის ხელწერილზე უმსჯელა სასამართლომ. აღნიშნულ ხელწერილში, რომელსაც აძლევს ამხანაგობის წევრს ე. ა-ძეს, მითითებულია, რომ „წევრმა გადმორიცხა მშენებლობისათვის ამხანაგობა „ი. 91-ში« 25 000 მანეთი 1882 წლის 7 დეკემბერს (25000 მან. 3000=8,3 კვ.მ) და დაფარა 8,3 კვ.მ. მითითებული წერილით დგინდება, რომ 1992 წლის დეკემბერში 100 მანეთი უდრიდა 415.56 აშშ დოლარს, „ი. 91-ის« თავმჯდომარე 1 კვ.მ-ს ანგარიშობს 3000 მანეთად.

კასატორებმა 2011 წლის 20 ივლისის განცხადებით დააზუსტეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ნაწილობრივ და მოითხოვეს ვალდებულების შესრულების, კერძოდ, სადავო უძრავი ქონების მთლიანი ღირებულების გადახდის აღიარება; ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად, სახელდობრ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 91-ისა» და «ი. 2-ის» წევრებად აღიარება; ამასთან, მოითხოვეს ცვლილების შეტანა 2002 წლის 10 მაისის კრების 115 ოქმში და პირველი კატეგორიის მენაშენეთა სიაში შეყვანა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. და შ. შ-ეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე, კერძოდ:

მოცემული დავაში დ. და შ. შ-ეების ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ი. 91-ისა» და «ი. 2-ის» წევრებად აღიარება. მოსარჩეეებს ეს მოთხოვნა საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ შეუმცირებიათ. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების 14.1. პუნქტით დაადგინა, რომ მოსარჩეეები არიან ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დ. და შ. შ-ეების სარჩელი არც ერთ ნაწილში არ დააკმაყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი დასაბუთება და სარეზოლუციო ნაწილი წინააღმდეგობრივია.

სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 6 ნოემბრის განკარგულებების თანახმად დადგენილად ცნო მოსარჩეეების ამხანაგობა «ი. 91-ში» გაწევრიანების ფაქტი – დ. შ-ის ოთხოთახიანი ბინის, ხოლო შ. შ-ის სამოთახიანი ბინის აშენების უფლებით; აღნიშნული განკარ-

გულელები გაუქმებული არ არის, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი დ. და შ. შ-ებისათვის ამხანაგობის წევრობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, მოსარჩელები არიან ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრები. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელებს მოპასუხისთვის გადახდილი აქვთ 310 000 მანეთი.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელზე უარის თქმა დაასაბუთა იმით, რომ ვერ დასტურდება, რომ მოსარჩელებთან არსებობდა შეთანხმება ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ 122 კვ.მ სამოთახიანი ბინის, 142 კვ.მ ოთხოთახიანი ბინის და ორი ავტოფარეხის გადაცემის თაობაზე და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელეთა და ამხანაგობა «ი. 91-ის» შეთანხმებას, კონკრეტულად რა თანხას შეადგენდა 1 კვ.მ-ის აშენების ღირებულება.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეთა ამხანაგობა «ი. 91-ის» წევრობას მოპასუხეები სადავოდ არ ხდიან. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებაზე უარის თქმა სათანადო იურიდიულ დასაბუთებას საჭიროებს, რასაც გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მოდავე მხარეებს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, წარმოადგინონ მტკიცებულებები მითითებული ფაქტების დასადასტურებლად. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამრიგად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის. ამასთან, მტკიცების ტვირთის გადაწილებას უმეტესწილად სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმა აწესრიგებს. ზოგადი ანალიზით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის მტკიცებას კანონმდებელი იმ მხარეს ავალდებს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილია. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადების ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხავდა მის მიერ ვალდებულების შესრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება მხარეთა შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ მოპასუხის მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელებას. მოსარჩელემ დაამტკიცა და სასამართლომაც დადგინა ფაქტობრივ გარემოებად ცნო მოსარჩელის მიერ შენატანის განხორციელება. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულების არაჯეროვნებას – თანხის არასაკმარისობას, ეს გარემოება მოპასუხის სამტკიცებელია. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე განმარტავს, რომ მოსარჩელებმა ვალდებულებები სრულად არ შეასრულეს (თანხა არ გადაიხადეს სრულად), რის გამოც ვერ მოხდებოდა მათი პირველი კატეგორის მენაშენებად აღიარება და სათანადო ფართების გადაცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, კონკრეტულად რა თანხის გადახდის შემთხვევაში მოხდებოდა მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილება, რა თანხა უნდა გადაეხადათ 1 კვ.მ აშენებისთვის და რამდენი კვადრატული მეტრის აშენებისთვის იყო საკმარისი მოსარჩელეთა მიერ გადახდილი 300 000 მანეთი.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სარჩელის საგნიდან (სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარება) გამომდინარე უნდა შეაფასოს ის გარემოებაც, რომ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი. 91-ის“ 2004 წლის 6 ოქტომბრის კრების 121 ოქმით, ამხანაგობა „ი. 91-ის“ წევრებს, მათ შორის, დ. შ-ეს უნდა გადაეცეს 28 კვ.მ, შ. შ-ეს კი – 14 კვ.მ მათ მიერ გადახდილი და მოპასუხეთა მიერ აღიარებული 160000 რუსული რუბლის სანაცვლოდ.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება და გადაწყვიტოს განსახილველი სარჩელის კანონიერება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. და შ. შ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

1ას-1090-1119-2011

22 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ტ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. მ-შვილის მიმართ გაყიდული აქციების საფასურის, 339 799 ლარის გადახდის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: სს „ი-ს« ჩვეულებრივი სახელობითი 74 359 აქცია 669 231 ლარად მიჰყიდა ი. მ-შვილს. მოპასუხემ გადაიხადა ნასყიდობის საფასურის ნაწილი 329 432 ლარი და გადასახდელი აქვს 339 799 ლარი. 2007 წლის 28 სექტემბრის განცხადებაში, რომელიც დაიდო ა. ტ-ვას, თ. პ-სა და ი. მ-შვილს შორის, მითითებულია შემდეგი: „2007 წლის 28 სექტემბერს ჩვენს შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც დარეგისტრირებულია რეესტრ 11-10522-ით. გაცნობებთ, რომ ჩვენი აღნიშნული შეთანხმების პირობა შესრულებულია, არ გაგვაჩნია ერთმანეთის მიმართ არავითარი პრეტენზია». მოპასუხე მიიჩნევს, რომ ამ განცხადებით ამოიწურა მათ შორის ყველა ვალდებულება, თუმცა ეს განცხადება მხოლოდ 2007 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე მიუთითებს და არა ბროკერთან დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე. სრულად რომ ყოფილიყო ვალდებულება შესრულებული, მაშინ 28 სექტემბრის ხელშეკრულების მითითება განცხადებაში არ გახდებოდა საჭირო, არამედ მიუთითებდნენ ბროკერთან დადებულ ხელშეკრულებას. ვალდებულება წარმოიშვა და უნდა შესრულებულიყო ბროკერთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. მოსარჩელემ წერილობითაც მიმართა მოპასუხე მხარეს და სთხოვა, შეესრულებინა ვალდებულება, მაგრამ მათ პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ნასყიდობის საფასური მთლიანად გადაიხადა.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ტ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის განჩინებით მ. ტ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, 2007 წლის 28 სექტემბერს მ. ტ-ვას მინდობილობის საფუძველზე ა. ტ-ვას, თ. პ-სა და ი. მ-შვილს შორის დაიდო შეთანხმება, მ. ტ-ვას საკუთრებაში არსებული სს „ი-ს« 74359 სახელობითი აქციის განკარგვის უფლებით თ. პ-ისა და ი. მ-შვილისათვის გადაცემის შესახებ, რაც ნოტარიუსმა დაამოწმა. შეთანხმებაში მხარეებმა აქციების ნასყიდობის საფასურად განსაზღვრეს 200 000 აშშ დოლარი, საიდანაც 75000 აშშ დოლარი აქციების მყიდველს უნდა გადაეხადა იმავე დღეს, ხოლო დანარჩენი – 10 დღის ვადაში. 2007 წლის 28 სექტემბრის შეთანხმების შემდეგ, შპს „ბ-ს« მეშვეობით, მხარეთა შორის დაიდო ფასიანი ქალაქების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მ. ტ-ვას მინდობილობის საფუძველზე, ა. ტ-ვამ ი. მ-შვილს მიჰყიდა მ. ტ-ვას საკუთრებაში არსებული 74359 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია. ხელშეკრულების დადების დროს შეიცვალა 2007 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით განსაზღვრული ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადა და, ხელშეკრულების 12.1 მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა ერთი დღით, ამასთან აქციათა საერთო ღირებულებად განისაზღვრა 669,231 ლარი. მხარეთა მიერ დადასტურებულ იქნა და სადავოს არ წარმოადგენდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 329 432 ლარი მოპასუხემ გადაიხადა მოსარჩელისათვის საბანკო ანგარიშსწორების გზით. მოსარჩელის მიერ მოწვეული მოწმე თ. პ-ისა და ლ. მ-შვილის ჩვენებებით, ასევე მ. ტ-ვას მინდობილი პირის – ა. ტ-ვას, ი. მ-შვილისა და თ. პ-ის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებით დადგენილ იქნა, რომ 2007 წლის 28 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების პირობა შესრულებულია და მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნდათ რაიმე პრეტენზია. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელეს შუამდგომლობით დაკითხულმა მოწმე თ. პ-მა აჩვენა, რომ 2007 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქციების საფასურის ნაწილი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე იქნა გადახდილი, ხოლო დარჩენილი თანხა – 10 დღის ვადაში ნაღდი ანგარიშსწორებით. 2007 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმებაზე მისი ხელმოწერაა. განცხადებაში დაფიქსირებული ნება პრეტენზიების არქონის თაობაზე ეხებოდა სრულ თანხას – 669231 ლარს, რაც განცხადებაზე ხელმოწერის დროისათვის უკვე გადახდილი იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ამავე კანონის მე-4 მუხლისა და 103-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე მოქმედებს პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სა-

დავო. მითითებულ ნორმების საფუძველზე პალატამ განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებითა და 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებით დადასტურებულია მ. ტ-ვასათვის 2007 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქციების საფასურის სრულად გადახდის ფაქტი, ხოლო მოსარჩელემ ამ მტკიცებულებათა გამაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოში ვერ წარმოადგინა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მ. ტ-ვამ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებაზე, რომლის ტექსტში მითითებულია, რომ მხარეებმა შეასრულეს 2007 წლის 28 სექტემბრის შეთანხმების პირობები, რომელიც ითვალისწინებდა 200 000 აშშ დოლარის გადაცემას აქციათა შესასყიდად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ განცხადებაში არის მითითებული, თუ რომელი ვალდებულება შეასრულა მხარემ, სააპელაციო სასამართლომ მოწმე თ. პ-ის, მოპასუხის ცოლისძმის განმარტების თანახმად, ჩათვალა რომ ი. მ-შვილმა ვალდებულება მთლიანად შეასრულა, რომელიც გამომდინარეობდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და მოიცავდა 669 231 ლარს. სააპელაციო სასამართლომ ამ შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, კერძოდ, დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის '3კ/441-01 განჩინებაში პირდაპირაა მითითებული, რომ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კრედიტორი ვალდებულია, მოვალის მოთხოვნით, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. სწორედ ეს გარემოება არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ, როდესაც 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადება ჩათვალა ვალის მთლიანად დაფარვის დოკუმენტად, მიუხედავად იმისა, რომ მასში აღნიშნულია 2008 წლის 28 ოქტომბრის შეთანხმების პირობები შესრულდა, რომელიც ითვალისწინებდა 200 000 აშშ დოლარის გადახდას და არა 669 231 ლარის გადახდას საბროკერო კომპანიაში შედგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებაში მითითებულია, რომ 2007 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელიც 200 000 აშშ დოლარის გადახდას ითვალისწინებდა შესრულდა, ანუ მხარეთა შორის ვალდებულება მთლიანად ამოიწურა, ი. მ-შვილმა გადაიხადა 669 231 ლარი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, გარდა ამისა, სასამართლომ მოწმის ჩვენება, რომელიც ამავედროულად არის ი. მ-შვილის ოჯახის წევრი (დის ქმარი), მიიჩნია ასევე უტყუარ მტკიცებულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად აბრუნებს საქმეს, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

2007 წლის 28 სექტემბერს მ. ტ-ვას მინდობილობის საფუძველზე ა. ტ-ვას, თ. პ-სა და ი. მ-შვილს შორის ნოტარიუსის დამოწმებით დაიდო შეთანხმება, მ. ტ-ვას საკუთრებაში არსებული სს „ი-ს“ 74359 სახელობითი აქციის განკარგვის უფლებით თ. პ-ისა და ი. მ-შვილისათვის გადაცემის შესახებ. შეთანხმებაში მხარეებმა აქციების ნასყიდობის საფასურად განსაზღვრეს 200 000 აშშ დოლარი, საიდანაც 75000 აშშ დოლარი აქციების მყიდველს უნდა გადაეხადა იმავე დღეს, ხოლო დანარჩენი – 10 დღის ვადაში. იმავე დღეს შპს „ბ-ს“ მეშვეობით, მხარეთა შორის დაიდო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მ. ტ-ვას მინდობილობის საფუძველზე, ა. ტ-ვამ ი. მ-შვილს მ. ტ-ვას საკუთრებაში არსებული 74359 ჩვეულებრივი სახელობითი აქცია 669,231 ლარად მიყიდა. ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადა განისაზღვრა ერთი დღით. უდავოა, რომ ნასყიდობის საფასურის ნაწილი – 329 432 ლარი მოპასუხემ გადაიხადა მოსარჩელისათვის საბანკო ანგარიშსწორების გზით.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებითა და 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებით დადასტურებულია მ. ტ-ვასათვის 2007 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქციების საფასურის სრულად გადახდის ფაქტი, ხოლო მოსარჩელემ ამ მტკიცებულებათა გამაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოში ვერ წარმოადგინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რომლის ძალითაც მოდავე მხარეებს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, წარმოადგინონ მტკი-

ცებულებები მითითებული ფაქტების დასადასტურებლად. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამრიგად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრად ნაწილდება. ამასთან, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას უმეტესწილად სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს. ზოგადი ანალიზით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის მტკიცებას კანონმდებელი იმ მხარეს ავალებს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილია. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადებისა და შეთანხმების საგნის გადაცემის ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც გამორიცხვდა მის მიერ ვალდებულების შესრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება მხარეთა შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ მოპასუხის მიერ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობას. მოსარჩელემ დამტკიცა და სასამართლომაც დადგინო ფაქტობრივ გარემოებად ცნო მოსარჩელის მიერ მყიდველისათვის ნასყიდობის საგნის – აქციების გადაცემა. ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის მტკიცების ტვირთი კი, მოპასუხის მხარეზეა.

სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებელი დოკუმენტი. მითითებული ნორმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადასტურებელი დოკუმენტი, რაც უდავოდ გულისხმობს წერილობითი სახის მტკიცებულებას. ფულადი ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, მისი შესრულება უნდა დასტურდებოდეს ისეთი სახის მტკიცებულებებით, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს თანხის გადახდის ფაქტზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადებასა და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით მოპასუხის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების თაობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას 2007 წლის 8 ოქტომბრის განცხადების შინაარსთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებული მტკიცებულება სრულყოფილად არ გამოუკვლევია. განცხადება მოიცავს მითითებას მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე და ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. გასაჩივრებული განჩინება არ მოიცავს დასაბუთებულ დასკვნას, რომ განცხადებაში მითითებული ვალდებულების შესრულება ვალდებულების მთელ მოცულობას გულისხმობს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს მოწმეთა ჩვენებებიც, რადგან საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას მოპასუხისა და მოწმეების ახლო ნათესაურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ამ გარემოებას კასატორი სადავოდ მიიჩნევდა სააპელაციო საჩივარშიც, თუმცა გასაჩივრებული განჩინებით აღნიშნული მტკიცებულებების დამაჯერებლობა და იურიდიული ძალა სათანადოდ დასაბუთებული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ტ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

ას-1193-1053-2010

15 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი ძირითად სარჩელში: სესხის დაბრუნება

შეგებულ სარჩელში: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. შ-ვის მიმართ სესხის დაბრუნების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს შორის 2008 წლის 18 იანვარს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა მ. შ-ვის ქ. ქუთაისში, ... ქ. 10/7-ში მდებარე ბინა. აღნიშნული ხელშეკრულებით მოსარჩელემ მ. შ-ვს ასესხა 12000 აშშ დოლარი. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა ხუთი თვე, ანუ მოპასუხეს ნასესხები თანხა უნდა დაებრუნებინა 2008 წლის 18 ივნისამდე. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მ. შ-ვმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს 2008 წლის 18 იანვარს და მოითხოვა დ. ც-ძესა და მ. შ-ვს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც მოტყუებით დადებული გარიგება. ამასთან, არ ცნო ძირითადი სარჩელი იმ საფუძველზე, რომ მისთვის მოსარჩელეს თანხა არ გადაუცია და, შესაბამისად, დ. ც-ძის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულება არ ეკისრებოდა.

დ. ც-მემ არ ცნო შეგებებული სარჩელი შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს შორის 2008 წლის 18 იანვარს კანონის მოთხოვნათა დაცვით დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. მ. შ-ვი ხელშეკრულების დადების დროს კარგად გაეცნო ხელშეკრულების შინაარსსა და მნიშვნელობას და ხელშეკრულებაც არ დადებულა მოტყუებით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ც-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. შ-ვს დ. ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 7200 აშშ დოლარის გადახდა. ჩ გადაუხდელობის შემთხვევაში, 2008 წლის 18 იანვრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის ანაზღაურება დადგინდა მ. შ-ვის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონების – ქ. ქუთაისში, ... ქ. 110/7-ში მდებარე უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით. მ. შ-ვის სარჩელი დ. ც-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. შ-ვმა და დ. ც-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. შ-ვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ჩგაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება დ. ც-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. დ. ც-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. შ-ვს დ. ც-ძის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 4800 აშშ დოლარის გადახდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელ შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დ. ც-ძესა და მ. შ-ვს შორის 2008 წლის 18 იანვარს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა მ. შ-ვის კუთვნილი ბინა მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. 110/7-ში. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 11.3 და 12.1 პუნქტის თანახმად, სესხი იყო უპროცენტო და უნდა დაბრუნებულიყო 2008 წლის 18 ივნისამდე. მ. შ-ვსა და მის მეგობარ თ. კ-შვილს თანხა ესაჭიროებოდათ საერთო ბიზნესსაქმიანობისათვის და სწორედ ამ მიზნით ისესხა მ. შ-ვმა თანხა მოსარჩელე დ. ც-ძისაგან, რომელმაც 2008 წლის 18 იანვრის სესხის ხელშეკრულებით მ. შ-ვს სესხად გადასცა 7200 აშშ დოლარი და არა ხელშეკრულებაში მითითებული 12000 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მ. შ-ვის შეგებულ სარჩელთან დაკავშირებით, კერძოდ, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა, რომ მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით თვალთმაქცური გარიგებისას მხარეთა ნამდვილი ნება სხვა გარიგებით ვლინდება. თვალთმაქცური გარიგება ყველა შემთხვევაში ბათილია, თუნდაც დაფარული გარიგება ნამდვილი აღმოჩნდეს. თუ დაფარული გარიგება ნამდვილი აღმოჩნდა, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს. პალატამ მიიჩნია, ვინაიდან, სადავოს არ წარმოადგენს, რომ 2008 წლის 18 იანვრის გარიგება დაიდო სესხის გადაცემისა და მისი უზრუნველყოფის მიზნით, გარიგების დადება მხარეთა ნამდვილი ნების გამოვლენით დაიდო და თვალთმაქცურს არ წარმოადგენს.

პალატამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი და მიუთითა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გარიგების მხარეებს წარმოადგენენ ღ. ც-ძე და მ. შ-ვი, რომელთა შორისაც რაიმე განსაკუთრებული ნდობა არ არსებობდა, მხარის მითითება, ნდობის ბოროტად გამოყენების გამო, 2008 წლის 18 იანვრის გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე, არ გამომდინარეობს ზემოთ მითითებული მუხლის მოთხოვნებიდან, რაც დაუსაბუთებელს ხდის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას.

სააპელაციო პალატამ ღ. ც-ძის მოთხოვნასთან დაკავშირებით მიუთითა, მართალია, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია, რომ სესხი არის უპროცენტო, გაცემულია ექვსი თვის ვადით 2008 წლის 18 ივნისამდე და შეადგენს 12000 აშშ დოლარს, მაგრამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 18 იანვრის სესხის ხელშეკრულება იყო პროცენტისანი და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მ. შ-ვის ვალი ღ. ც-ძის მიმართ მთლიანად შეადგენდა 12000 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. შ-ვმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ღ. ც-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ მ. შ-ვის სარჩელის განხილვისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი, გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებით, კერძოდ, არ შეაფასა წინასწარ გამოძიებაში მოწმის სახით დაკითხული პირების, ღ. ც-ძისა და ა. კ-ანის ჩვენებები, რომლებიც სასამართლოში მიცემული ჩვენებების საწინააღმდეგო იყო და რომელთა შეფასების შედეგად სარჩელზე სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი, ასევე არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 52-ე მუხლი, რამდენადაც ნების ნამდვილობა მ. შ-ვმა სადავო გახადა სისხლისსამართლებრივი წესით, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა პირთა ჯგუფის დანაშაულებრივი მოქმედება მის მიმართ და ამ კონტექსტში დასახელებულ მუხლზე განმარტება სასამართლოს მიერ უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. შ-ვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს საქმის შედეგზე, კერძოდ:

მიცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი – მ. შ-ვის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები ემყარებოდა იმ მტკიცებულებებს – წინასწარი გამოძიების მასალებს (ღ. ც-ძის, ა. კ-ანის ჩვენებები), რომლებიც აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოში თავის შესაგებელს დაურთო და სასამართლოს არ შეუფასებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმების დროს სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება თუ არა საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

მტკიცებულებათა მიღება საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ხორციელდება ერთი და იმავე წესით – მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნიადობის შემოწმების შედეგად. აღნიშნული პრინციპით მტკიცებულებათა მიღების შემდეგ სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპით მიღებული მტკიცებულება უარყო სასამართლომ არასარწმუნოების, საეჭვოობის ან სხვა დასაბუთებული საფუძვლით, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვოს მტკიცებულებად მიჩნეული დოკუმენტები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დამოკიდებულებას მხოლოდ ისეთი მტკიცებულების შეგროვებაზე, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს ადასტურებენ. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სასამართლომ, სამოქალაქო საქმეზე კანონით დადგენილი წესით (დასაშვებობისა და განკუთვნილობის პრინციპით) მიღებული ყველა მტკიცებულება უნდა შეაფასოს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის გათვალისწინებით, მიიღო რა მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, როგორც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე, შემდგომში არანაირი შეფასება არ მისცა მათ. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა რა მხარის მიერ დასახელებულ მტკიცებულებებზე და გადაწყვეტილებაში არ მიუთითა იმ მოსაზრებებზე, რომლებითაც უარყო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნის გამოტანის თაობაზე.

ამასთან, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ზუსტად უნდა გამოარკვიოს მსესხებლის ვინაობა გამსესხებელ ღ. ც-მის ჩვენების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და ყოველმხრივი ანალიზით, ვინაიდან აღნიშნულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის, კერძოდ, სესხისა და იპოთეკის გარიგების სუბიექტების გამიჯვნისათვის და თითოეულისათვის შესაბამისი – კონკრეტული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების დაკისრებისათვის.

ასევე, წინააღმდეგობრივია და ხელახალ გამოკვლევას საჭიროებს სასამართლოს მსჯელობა სესხის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით კერძოდ, სასამართლო უთითებს, რომ 2008 წლის 18 იანვრის სესხის ხელშეკრულებით ღ. ც-მემ მ. შ-ვს ასესხა 7200 აშშ დოლარი და არა ხელშეკრულებაში მითითებული 12000 აშშ დოლარი, მაგრამ, ვინაიდან სესხი რეალურად იყო პროცენტაანი, სასამართლომ მ. შ-ვის ვალი განსაზღვრა 12 000 აშშ დოლარით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლის სამართლებრივად სწორად განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შემდგომი ურთიერთობისათვის, ვინაიდან ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის სამოქალაქო სამართლით დადგენილი პასუხისმგებლობის დადგენის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების მოცულობა.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ უნდა გამოიტანოს დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის თაობაზე და სამართლებრივად სათანადოდ უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნულ მითითებათა გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. შ-ვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-1384-1220-2010

12 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ძ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ე.პ. ჯ-ას» მიმართ და მოითხოვა 1987 წლის გამოშვების კ-170 ტნპტმ 250-10 კ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორის მოსარჩელისათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: 1990 წლის 24 ოქტომბერს ოთხი ფიზიკური პირის, მათ შორის, ვ. ძ-იას მიერ დაფუძნდა კოოპერატივი «ს. გ-ა». კოოპერატივმა საკუთარი საქმიანობისათვის შეიძინა სადავო ტრანსფორმატორი,

რომელიც ელექტროენერჯით სოფელ ...ს მოსახლეობის მომმარაგებელ ტრანსფორმატორთან ერთად გაიმარცხა.

1992-93 წლებში კოოპერატივმა კუთვნილი ტრანსფორმატორი გაარემონტა, მეორე **60 კვტ** სოფლის მომმარაგებელი ტრანსფორმატორი კი დარჩა გაურემონტებელი. სოფლის მოსახლეობის თხოვნით კოოპერატივმა ნება დართო სოფლის მოსახლეობას, ელექტროენერჯია მიეღო სადავო ტრანსფორმატორის მეშვეობით, თუმცა მოგვიანებით მოპასუხემ მოსარჩელესთან შეუთანხმებლად მოხსნა იგი და სხვაგან დაამონტაჟა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ნივთი მისი საკუთრებაა, ხოლო მოსარჩელეს მისი შეძენის დამდასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

სენაკის რაიონული სასამართლოს **2010 წლის 24 ივნისის** გადაწყვეტილებით ვ. ძ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე სს «ე.პ. ჯ-ას» დაევალა მოსარჩელისათვის მის უკანონო მფლობელობაში არსებული **1987 წლის** გამოშვების **პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა)** ტრანსფორმატორის დაბრუნება, მასვე დაეკისრა მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის – **150 ლარის** მოპასუხის სასარგებლოდ ანაზღაურება, ხოლო ადვოკატის მომსახურების ხარჯის – **300 ლარის** ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 3 ნოემბრის** გადაწყვეტილებით სს «ე.პ. ჯ-ას» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ადვოკატის ხარჯის – **300 ლარის** დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სს «ე.პ. ჯ-ას» ვ. ძ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურების ხარჯის – **100 ლარის** ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ კოოპერატივ «ს. გ-ის» მიერ ტრანსფორმატორის შეძენის ფაქტი მოწმეთა ჩვენებებით არ შეიძლება დადგინდეს და აღნიშნულის დამდასტურებელი სათანადო მტკიცებულება ანგარიშფაქტურა, სალაროს შემოსავლის ორდერი, რაც მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსი მოძრავი ნივთის შეძენისათვის სავალდებულო წერილობითი დოკუმენტების შედგენას არ ითვალისწინებს და მოძრავი ნივთის შეძენასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებისა და ფაქტების დადასტურება მოწმეთა ჩვენებებით შესაძლებელია.

საქმეზე წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ ვ. ძ-იამ საადვოკატო მომსახურებისათვის მერაბ მირცხულავას გადაუხადა **100 ლარი**.

სასამართლომ იხლემძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **160-ე, 164-ე** მუხლებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **105-ე, მე-4, 103-ე** მუხლებით და მიიჩნია, რომ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული სადავო გახდება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გასაქარწყლებლად და სადავო ნივთზე საკუთრების უფლების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულება მოსარჩელე მხარემ სადავო გახადა. აღნიშნული მტკიცებულება არ შეიცავს ტრანსფორმატორის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ მონაცემებს, ხოლო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტებითა და მოწმეთა ჩვენებებით სადავო ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლება დასტურდება, ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლობის მოტივით არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოწმეთა ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა და სამოქალაქო კოდექსის **158-ე** მუხლი სასამართლომ არასწორად განმარტა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **53-ე** მუხლის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინაიდან ვ. ძ-ის სასარჩელო მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა, ამასთან, მან გადაიხადა ადვოკატის მომსახურებისათვის **100 ლარი**, ვ. ძ-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე მხარისათვის მის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების თანხის დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «ე.პ. ჯ-ამ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადასტურებულად ის ფაქტი, რომ სადავო ტრანსფორმატორი წლების წინ შეიძინა ვ. ძ-იამ. პალატამ სადავო ნივთის მოპასუხისათვის კუთვნილება დადასტურებულად არ ჩათვალა, რადგან მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში არ იყო მითითებული ნივთის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ასეთი ნიშნები არ იყო მითითებული არც მოსარჩელის დოკუმენტაციაში. ამასთან, კოოპერატივის მიერ ტრანსფორმატორის შეძენის დასადასტურებლად მხარეს უნდა წარმოედგინა შესაბამისი ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, შემოსავლის ორდერი და სხვა.

სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მიერ სადავო ტრანსფორმატორის შექმნა არასწორად დაადგინა მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და მოსარჩელის სასარგებლოდ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის დანაწესი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ვ. ძ-იას სადავო ნივთზე მფლობელობა მოპოვებული არ აქვს.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი და გასცდა აპელანტის მოთხოვნას, როდესაც იმსჯელა ადვოკატის ხარჯების დაკისრებაზე, რაც მხარეს არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ე.პ. ჯ-ას» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები სრულად და ყოველმხრივ არ გამოკვლია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, კერძოდ:

ვ. ძ-ია განსახილველ დავაზე წარმოდგენილი სარჩელით ითხოვდა სს «ე.პ. ჯ-ას» უკანონო მფლობელობიდან 1987 წლის გამოშვების პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორის გამოთხოვას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და დაადგინა, რომ კოოპერატივმა «ს. გ-ამ» კოოპერატივ «ი-ისაგან» 25000 მანეთად შეიძინა 1987 წლის გამოშვების პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორი, რაც დამონტაჟდა ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე.

1996 წლის 2 თებერვალს ჩატარდა კოოპერატივის წევრთა საერთო კრება, რომლითაც, კოოპერატივის დაშლის გამო, მისი კუთვნილი ქონება განაწილდა წევრებს შორის. კრების გადაწყვეტილებით, ვ. ძ-იას მიეკუთვნა ზემოხსენებული ტრანსფორმატორი, რომელიც 2009 წლის ნოემბერს სს «ე.პ. ჯ-ას» წარმომადგენლებმა უკანონოდ გადაიტანეს და დღესაც იმყოფება ... უბანში, მოპასუხის მფლობელობაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით სადავო ტრანსფორმატორის ინდეტიფიკაცია ვერ ხერხდება, ანუ სათანადოდ არ არის გამოკვლეული, საქმის მასალებიდან ირკვევა, თუ არა, რომ 1987 წლის გამოშვების პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორის მესაკუთრეა ვ. ძ-ია და მას ამჟამად უკანონოდ ფლობს სს «ე.პ. ჯ-ა».

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სარჩელში მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთი მოსარჩელე ვ. ძ-იას ეკისრება. ამრიგად, ვ. ძ-იას სარწმუნოდ უნდა დაედასტურებინა სადავო ტრანსფორმატორზე საკუთრების მოპოვებისა და ასევე ის ფაქტი, რომ სს «ე.პ. ჯ-ამ» სოფელ ...დან ... უბანში გადაიტანა სწორედ 1987 წლის გამოშვების პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორი.

მართალია, ზემოაღნიშნული ნორმის მეორე ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს სადავო გარემოების მტკიცებას მხარისა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების საფუძველზე, თუმცა ამავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქმის მასალებში წარმოდგენილია ამხანაგობის კრების 12 ოქმი, რომლითაც 250 კვ.ს-იანი ტრანსფორმატორი 170 მიეკუთვნა ვ. ძ-იას, თუმცა ბუნდოვანია თავად ამხანაგობის მიერ აღნიშნული მოწყობილობის შექმნის ფაქტი. ამ კუთხით დასაბუთებულია კასატორის არგუმენტი, რომ იურიდიული პირის – ამხანაგობა «ს. გ-ის» მიერ ისეთი ძვირადღირებული ნივთის შექმნისას, როგორც ტრანსფორმატორია, უნდა არსებობდეს შესაბამისი დოკუმენტაცია ნასყიდობის ხელშეკრულების, გადახდის მასალების სახით.

მოსარჩელის მიერ წარდგენილი ტიპიური ფორმა 1281 მეტად მწირ ინფორმაციას შეიცავს. მასში მითითებულია ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კოოპერატივ «ი-ას» ჩაერიცხა 25000 მანეთი 250 კვ.ს-იანი ტრანსფორმატორის სანაცვლოდ, თუმცა არ ირკვევა კონკრეტულად რომელ ტრანსფორმატორზეა საუბარი. ასევე დოკუმენტი არ არის დამოწმებული რაიმე ბეჭდით და არ ახლავს თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი სათანადო საბუთი. სარჩელს ერთვის ქვითრების ქსეროასლები, რომლებიც არ ემთხვევა ზემოხსენებული თანხის

ოდენობას და გაცემულია სხვადასხვა პირებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა კოოპერატივ «ს. გ-ის» ყოფილმა თანამშრომელმა მ. ნ-იამ განმარტა, რომ მას გადაეცა 220 კვ.მ-იანი ტრანსფორმატორის შესაძენი თანხა – 2500 მანეთი. იგი მივიდა სენაკის რაიონის სოფელ შხეფში მდებარე ერთ-ერთ საწარმოში და უფროსს – ვ. ა-იას გადასცა თანხა, რის სანაცვლოდაც წამოიღო ტრანსფორმატური, თუმცა რაიმე სახის დოკუმენტი მისთვის არ გამოუტანებიათ. მითითებული განმარტებისაგან განსხვავებით ვ. ა-იამ აღნიშნა, რომ მ. ნ-იას ტრანსფორმატორთან ერთად გადასცა სასაქონლო ზედნადები და თანხის მიღების ჩეკი.

ამდენად, მოწმეთა ჩვენებები ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა ნათელია, რომ მითითებული განმარტებებიდან გამომდინარე, ვ. ძ-იას ნასყიდობის თანხის გადახდის თაობაზე უნდა წარმოედგინა არა რამდენიმე, არამედ სადავო თანხის მთლიანად ანაზღაურების დამადასტურებელი ერთი ჩეკი.

დაუსაბუთებელია და მტკიცებულებათა სწორ შეფასებას არ ეყრდნობა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებას იმის შესახებაც, რომ სს «ე.პ. ჯ-ამ» სადავო ტრანსფორმატორი სოფელ ...დან გადაიტანა ... უბანში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა გამოარკვიოს მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ეკუთვნოდა თუ არა კოოპერატივ «ს. გ-ას» 1987 წლის გამომშვების პ-170 ტნპტმ 250-10 პ-18357 მარკის (250 კვტ, 3-50 ფაზა) ტრანსფორმატორი; საკუთრებაში გადასცა თუ არა კოოპერატივმა ვ. ძ-იას აღნიშნული ტრანსფორმატორი; სს «ე.პ. ჯ-ამ» გადაიტანა თუ არა ტრანსფორმატორი სოფელ ...დან ... უბანში და დადებით შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა მისი იდენტიფიცირება სადავო მოწყობილობასთან.

დასახელებულ საკითხთა გამოკვლევისას სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს, რამდენად დასაშვებია იურიდიული პირის – კოოპერატივის მიერ ძვირადღირებული ტექნიკური საშუალების შეძენის ფაქტი დადასტურდეს საქმეში წარმოდგენილი, ზემოთ დახასიათებული მტკიცებულებებისა და მოწმეთა არაზუსტი, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების საფუძველზე დადასტურება.

ამასთან, სადავო ტრანსფორმატორზე სს «ე.პ. ჯ-ას» მფლობელობის დადასტურების შემთხვევაში სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს, მოცემულ ურთიერთობებზე ვრცელდება თუ არა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლით განსაზღვრული საკუთრების პრეზუმფცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «ე.პ. ჯ-ას» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-327-311-2011

13 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 აპრილს ვ. მ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ ს. ს-ლის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ს. ს-ის დირექტორის 2008 წლის 21 მარტის ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, იგი დიდი ხანი მუშაობდა ს. ს-აში, ხოლო 1990 წლის 21 მაისიდან დაინიშნა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

2008 წლის 21 მარტის ბრძანება იყო უკანონო. ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებული გარემოებები არ ყოფილა შესწავლილი, კერძოდ, მოპასუხეს არ დაუდგენია, ნამდვილად დაუზიანდა თუ არა ბავშვს ჯანმრთელობა ცივი იარაღის გამოყენებით. გარდა ამისა, თუნდაც ასეთი რამ მომხდარიყო, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა ევალებოდა დირექტორს, ხოლო მისი არყოფნისას – მოადგილეს, რომელიც ასეთად იყო რეგისტრირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ვ. მ-შვილს ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნდა, შესაბამისად, ინციდენტის დროს დირექტორის მოვალეობას არ ასრულებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით** ვ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ვ. მ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით** ვ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 1 ივლისის განჩინებით** ვ. მ-შვილისა და სსიპ ს. ს-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ აპელანტს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. უფრო მეტიც, სასამართლოს არ უმსჯელია საქმეში წარმოდგენილი სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათის თაობაზე. ეს გარემოებები გამორიცხავდა სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ბრძანებაში მითითებულ ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. რაც შეეხება ცივი იარაღით ჭრილობის მიყენების ფაქტს, გასაჩივრებულ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ აღნიშნულის მიმართ სკოლას მხოლოდ წინასწარი მონაცემები ჰქონდა, ანუ ვ. მ-შვილის განთავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ გაკვეთილების მიმდინარეობის დროს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანება და არა ის, რომ ეს დაზიანება გამოწვეული იყო იარაღის გამოყენების შედეგად.

პალატის განმარტებით, მოსწავლის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა არ გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის პრევენციას. სკოლა ვალდებულია, აღკვეთოს ნებისმიერი გარემოება, რაც საშიშროებას უქმნის მოსწავლეთა ჯანმრთელობას. პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, მიუხედავად იმისა, იარაღით მიადგება ბავშვს დაზიანება თუ სხვა რაიმე მოქმედებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ რა ვალდებულებები ეკისრებოდა ვ. მ-შვილს საჯარო სკოლაში და რამდენად განაპირობა მისმა ქმედებამ დამდგარი შედეგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით** ვ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება** გაუქმდა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს. ს-ის დირექტორის **2008 წლის 21 მარტის '206 ბრძანების 1-ლი** პარაგრაფი ბათილად იქნა ცნობილი, ვ. მ-შვილს აუნაზღაურდა იძულებით განაცდური ხელფასი **10096,10** ლარი, ვ. მ-შვილის სარჩელი სსიპ ს. ს-ის დირექტორის მოადგილედ აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. დ. ს-ის (ამჟამად სსიპ ს. ს-ა) დირექტორის 1990 წლის 21 მაისის '146 ბრძანებით სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ვ. მ-შვილი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა **2008 წლის 21 მარტამდე**. მხარეთა შორის წერილობითი შრომითი ხელშეკრულება არ დადებულია, მოსარჩელე დირექტორის მოადგილეობისათვის განთავისუფლების მომენტში ღებულობდა სარგოს თვეში **365,80** ლარს;

2. დიდის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, შუბათ შუკვანის, 2008 წლის 21 მარტის '206 ბრძანებით დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში ვ. მ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის **37-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო;

3. აღნიშნულ ბრძანების ფაქტობრივი საფუძველი გახდა **2008 წლის 13 მარტს** სკოლის ტერიტორიაზე საგაკვეთილო საათის მიმდინარეობის დროს ამავე სკოლის მოსწავლის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. როგორც სადავო ბრძანებაში მითითებულია, წინასწარი მონაცემებით, მოსწავლეს მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცივი იარაღით;

4. ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ ს. ს-ის დირექტორის მიერ სკოლის პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის მე-**7.25** პუნქტის თანახმად, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვაზე კონტროლის შეუსრულებლობის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოად-

გილეს აღმზრდელობით დარგში. სადავო ბრძანების მიხედვით, სწორედ ვ. მ-შვილი იყო ვალდებული, გაეწია კონტროლი მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვაზე, ხოლო ინციდენტი პირდაპირ მიუთითებდა მის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებაზე;

5. გასაჩივრებული ბრძანების ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული გარემოება, კერძოდ, სკოლის მოსწავლისათვის ცივი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანება, რეალურად არ მომხდარა. 2008 წლის 13 მარტს დ. ს-ის მოსწავლე მ. ქ-შვილმა დაზიანება მიიღო გაკვეთილის მიმდინარეობისას სკოლის ტერიტორიაზე სირბილის დროს ღობესთან შეჯახებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. მ-შვილი არ იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ ინციდენტზე, რადგანაც სკოლის შინაგანაწესი დეტალურად აწესრიგებდა რა შედიოდა მის მოვალეობაში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში კი, შინაგანაწესის ეს ნორმები არ ყოფილა დარღვეული.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სსიპ ს. ს-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სკოლის შინაგანაწესის მე-7.25 პუნქტის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი იყო დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, სასამართლომ კი ეს გარემოება არ გაითვალისწინა. გარდა ამისა, ვ. მ-შვილი სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ შინაგანაწესის მე-8.13 პუნქტის საფუძველზე, დირექტორს იგი კი არ უნდა გაეთავისუფლებინა, არამედ საყვედური უნდა გამოეცხადებინა, ამდენად, იგი აღიარებდა დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტს. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებას დასაბუთებაში მიუთითა, რომ 2008 წლის 13 მარტის ინციდენტის შესახებ სკოლის დირექციას სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ უცნობებია. ვ. მ-შვილი დირექციის წევრი იყო და მის მიერ ამ ფაქტის დაფარვა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ სსიპ ს. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ იმსჯელა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე, კერძოდ:

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარის პოზიცია ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ ვ. მ-შვილი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, რის გამოც მთლიანად პასუხისმგებელი იყო სადავო ინციდენტზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, ვ. მ-შვილი მიუთითებდა, რომ იგი არ იყო რეგისტრირებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დირექტორის მოადგილედ ან დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირად, რის გამოც, ინციდენტის დღეს დირექტორის მოვალეობას ვერ შეასრულებდა.

დავის წარმოშობის დროისათვის მოქმედი რედაქციით «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

აღნიშნული ნორმის თანახმად, პირი დირექტორის მოადგილედ უნდა იყოს რეგისტრირებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. რაც შეეხება სპეციალურად აღნიშვნას, რომ მას გააჩნია დირექტორის მოვალეობის შესრულების უფლებამოსილება, ამგვარ მოთხოვნას მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, იმისათვის, რომ ვ. მ-შვილს დირექტორის მოვალეობა შეესრულებინა, საკმარისი იყო მისი დირექტორის მოადგილედ რეგისტრაცია.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის წერილი, რომლის მიხედვითაც, ს. ს-ის დირექტორის მოადგილის თანამდებობა 2008 წლის 13 მარტამდე (ე.ი. ინციდენტის განხორციელების დროს) ვ. მ-შვილს ეკავა. სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნული მტკიცებულება საერთოდ არ შეუფასებია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. მ-შვილს ჰქონდა უფლება, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა შეესრულებინა. მოცემულ შემთხვევაში დასადგენია, რეალურად ასრულებდა თუ არა იგი აღნიშნულ მოვალეობას ინციდენტის დღეს. სააპელაციო სასამართლოს კი, ზემოაღნიშნული გარემოება არ გამოუკვლევია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია დავის გადაწყვეტისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ვ. მ-შვილი სკოლის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა, მისი პასუხისმგებლობის ფარგლები უფრო ფართო იქნებოდა. ეს უკანასკნელი პერსონალურად იქნებოდა პასუხისმგებელი სკოლაში უსაფრთხო გარემოების შექმნაზე. უსაფრთხოებაზე ზრუნვა კი გულისხმობს არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციას, არამედ მოსწავლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ნებისმიერი რისკის აღკვეთას და ამ მიმართულებით ზომების მიღებას, ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთი მოცემულ შემთხვევაში ვ. მ-შვილს აწევს. სწორედ მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ინციდენტის დღეს დირექტორის მოვალეობას სხვა პირი ასრულებდა.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვ. მ-შვილს მხოლოდ შინაგანაწესით დადგენილ აკრძალვებზე კონტროლის განხორციელება ევალებოდა.

ს. ს-ის შინაგანაწესის მე-7.25 პუნქტის მიხედვით, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით ამ შინაგანაწესით დადგენილი აკრძალვების შესრულებაზე კონტროლი და შეუსრულებლობის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში პასუხისმგებლობას აკისრებს ზოგადად სკოლაში უსაფრთხოების დაცვაზე, ამასთან შინაგანაწესის 7.21-7.24 პუნქტები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს აქვს მითითებული ვ. მ-შვილის პასუხისმგებლობის დასადგენად, არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. შინაგანაწესის «ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების» თავი სხვა აკრძალვებსაც შეიცავს, რომელთა შესრულებაზეც ასევე პასუხისმგებელი დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში. გარდა ამისა, პასუხისმგებლობა ზოგადად უსაფრთხოების დაცვაზე ნიშნავს, რომ მოადგილე აღმზრდელობით დარგში ვალდებულია, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. მ-შვილი 2008 წლის 13 მარტის ინციდენტზე ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა პასუხისმგებელი.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ, ბრძანების შესაბამისად, ვერა მამუჩაშვილის თანამდებობიდან განთავისუფლებას საფუძვლად არა მხოლოდ ინციდენტის ფაქტი დაედო, არამედ დირექტორისათვის ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმაციის წერილობით წარდგენის მოთხოვნის შეუსრულებლობა. აღნიშნული გარემოება კი, ასევე შეიძლება ჩაითვალოს საკუთარ ვალდებულებათა არაჯეროვან შესრულებად და პირის სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი გახდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და შეუფასებია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ზოგიერთი დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოიკვლიოს ასრულებდა თუ არა ინციდენტის დროს დირექტორის მოვალეობას ვ. მ-შვილი, ასევე იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინებაში ასახული მსჯელობით და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სსიპ ს. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-348-331-2011

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ხ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ჭ. ა-ის» დირექტორ თ. გ-ის მიმართ სხვისი უძრავი ქონებით სარგებლობისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 3700 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ჭიათურის გამგეობის 2000 წლის 21 აპრილის 165/2 დადგენილებით ქ.ჭიათურაში, ... ქ150-ში მდებარე 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა მოსარჩელეს საკუთრებაში. 2000 წლის პირველ ნოემბერს აღნიშნულ ნივთზე საკუთრების უფლება ო. ხ-ემ აღრიცხა საჯარო რეესტრში.

მოსარჩელის განმარტებით, მან მიწა შეიძინა კომერციული საქმიანობის საწარმოებლად, მიიღო მაღაზიის მშენებლობის ნებართვა. ჭ. ა-ის დირექტორის ნებართვით, აღნიშნულ 12 კვ.მ მიწაზე რ. მ-ემ და თ. ხ-მა განათავსეს სავაჭრო ჯიხურები. ჯიხურის მესაკუთრეები მოპასუხეს ქირის სახით ყოველთვიურად უხდიდნენ 50-50 ლარს. მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხემ ქირავნობის ხელშეკრულება არ შეწყვიტა, რის გამოც ო. ხ-ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეშლის აღკვეთა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ო. ხ-ის სარჩელი და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდა 2008 წლის 25 თებერვალს.

მოპასუხეს თ. ხ-თან, ასევე რ. მ-ესთან ერთი წლის ვადით – 2006 წლის პირველ იანვრამდე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც არ შეწყვეტილა და მისი მოქმედება გაგრძელდა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებამდე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ქონებით და 2008 წლის თებერვლის ბოლომდე, სულ 37 თვის განმავლობაში იღებდა შემოსავალს, რითაც გამდიდრდა უსაფუძვლოდ, ხოლო ო. ხ-ეს მიადგა ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

შპს «ჭ. ა-ი» ფლობდა 5700 კვ.მ მიწის ნაკვეთს. ჭიათურის რაიონის გამგეობის 2000 წლის 7 ივლისის 1109/7 დადგენილებით მოპასუხეს დამატებით გადაეცა 572 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ამავე გამგეობის 2002 წლის 22 იანვრის 16/4 დადგენილების საფუძველზე – 6200 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მოპასუხე სულ ფლობს 6142 კვ.მ მიწას.

მოპასუხის განმარტებით, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის – 3700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგანაც სინამდვილეს არ შეესაბამება მოსარჩელის მითითება, რომ შპს «ჭ. ა-ი» 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის თებერვლის ბოლომდე სარგებლობდა მიწის ნაკვეთით და თ. ხ-ი და რ. მ-ე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ყოველთვიურად უხდიდნენ ქირას 50 ლარის ოდენობით. თ. ხ-თან დადებული ხელშეკრულება მალევე მოიშალა და ა-ს მისგან რაიმე შემოსავალი არ მიუღია, ხოლო რ. მ-ესთან ხელშეკრულება მოპასუხეს საერთოდ არ გაუფორმებია.

მოპასუხის განმარტებით, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შპს «ჭ. ა-ისათვის» ზიანის მიყენების ფაქტი სავარაუდო ვერ გახდებოდა წინასწარ, რადგანაც ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ჭიათურის გამგეობის 2000 წლის 21 აპრილის დადგენილება ო. ხ-ისათვის 12 კვ.მ მიწის გადაცემის თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, ხოლო საკასაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეს ჩაბარდა მხოლოდ 2008 წლის იანვარში.

მოპასუხის განმარტებით, ო. ხ-ის მიერ წარმოდგენილი მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მონაცემები არ ემთხვევა საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ მონაცემებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნულია, რომ ო. ხ-ესა და კ. მ-მეს ქ.ჭიათურაში, ... ქუჩაზე ა-ის ტერიტორიაზე გადაეცათ 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თითოეულს 12-12 კვ.მ მიწა სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის, სადაც მოსარჩელეს მშენებლობა არ უწარმოებია. კ. მ-მე ამჟამად ფლობს 27 კვ.მ მიწას და მოსარჩელეს არც კი გაურკვევია, ამ უკანასკნელს მისი კუთვნილი ტერიტორია ხომ არ აქვს დაკავებული. კ. მ-მესა და ო. ხ-ეს მიწა გადაეცათ ... ქ12-ში, ა-ი მდებარეობს ... ქ18-ში, კ. მ-მის საკუთრება აღრიცხულია ... ქ12-ში, ხოლო მოსარჩელე ო. ხ-ის საკუთრება – ... ქ150-ში.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი, რომლითაც ო. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ჭ. ა-ს» ო. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 600 ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ ქ.ჭიათურაში (სექტორი - ..., კვარტალი - ..., ნაკვეთი - ...) ო. ხ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული აქვს 12კვ.მ მიწის ნაკვეთი. ჭ. ა-ის ადმინისტრაციასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ჩადგმულ ჯიხურში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა თ. ხ-ი. თ. ხ-მა ჯიხურის ჩადგმაზე ნებართვა მიიღო ჭ. ა-ის დირექციისაგან. 2005 წლის 3 იანვარს შპს «ჭ. ა-ის» დირექციასა და ინდ.მეწარმე თ. ხ-ს შორის შედგა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჭ. ა-ის დირექციამ ინდ.მეწარმე თ. ხ-ს გამოუყო ჭ. ა-ის კუთვნილი ტერიტორია სავაჭრო ჯიხურის ჩასადგმელად. თ. ხ-ს შპს «ჭ. ა-ის» ტერიტორიით სარგებლობისათვის ყოველი თვის 5 რიცხვში შპს «ჭ. ა-ის სალაროში» უნდა შეეტანა თანხა 50 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 3 იანვრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ შპს «ჭ. ა-სა» და თ. ხ-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდებოდა 1 წლის განმავლობაში, ხოლო მტკიცებულებათა არარსებობის გამო, დაუდასტურებლად მიიჩნია მოსარჩელის მითითება ო. ხ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შპს «ჭ. ა-სა» და რ. მ-ეს შორის ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლით და მიუთითა, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მოსარჩელე ო. ხ-ეა, სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა სწორედ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და არა შპს «ჭ. ა-ი».

სასამართლომ საქმეზე მტკიცებულებად დართული თ. ხ-ის მიერ დაწერილი შესაგებლის, მოწმის სახით დაკითხულ თ. ხ-ის ჩვენებასა და თავად 2005 წლის 3 იანვრის ქირავნობის ხელშეკრულებას შორის არსებული წინააღმდეგობების გამო არ გაიზიარა მოპასუხე მხარის მტკიცება, რომ ო. ხ-ის კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული ჯიხური მხოლოდ 15 დღის განმავლობაში ჰქონდა მიქირავებული ო. ხ-ისათვის მოპასუხე შპს «ჭ. ა-ის» დირექტორს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით და დადასტურებულად არ ჩათვალა რ. მ-ესა და შპს «ჭ. ა-ს» შორის ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა, რადგან არანაირი მტკიცებულება აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ჭ. ა-ის» დირექტორმა თ. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ო. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ის გარემოება, რომ 2005 წლის 3 იანვარს დადებული ხელშეკრულება ფართის გამოყოფის თაობაზე მოიშალა 2005 წლის 11 იანვარს 12 ბრძანების საფუძველზე, ამდენად, შპს «ჭ. ა-ს» რაიმე შემოსავალი არ მიუღია, რაც ასევე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა თ. ხ-მა. ასეთ დროს სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლით და მოპასუხისათვის არ უნდა დაეკისრებინა თანხა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. კასატორისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ გახდებოდა ზიანის მიყენების ფაქტი, რადგანაც ადმინისტრაციული დავა პირველი ინსტანციის წესით ო. ხ-ის საწინააღმდეგოდ დასრულდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე შპს «ჭ. ა-ს» ჩაბარდა 2008 წლის იანვარში.

ქალაქის გამგეობის 1999 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმით მიწის მართვის სამმართველოს დაერთო ნება მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანისათვის, სადაც დაზუსტებითაა ნაჩვენები «ა. კ-ეს» მოპირდაპირე მხარე და არა ა-ის შიდა ტერიტორია. აღნიშნულის შესაბამისად, ო. ხ-ეს გაუკეთდა პროექტი, რომლის თანახმადაც მისი შენობა უნდა დამდგარიყო ხიმინჯებზე «ა. კ-ეს» მხარეს. მშენებლობის პროექტში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ეწინააღმდეგება გამგეობის თანხმობას და ო. ხ-ეს დღემდე არ აქვს აშენებული ნაგებობა, იგი მიუღებელ შემოსავალზე დავობს, ხოლო ასეთი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, სასამართლოს არ შეუფასებია.

დადგინებულა, რომ სააღსრულებო წარმოების შედეგად სწორედ რ. მ-ესა და თ. ხ-ს დაევალიათ მოსარჩელის კუთვნილი ტერიტორიებიდან სავაჭრო ჯიხურების გატანა, ამდენად ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყვნენ რ. მ-ე და თ. ხ-ი და არა შპს «ჭ. ა-ი», რის გამოც სასამართლოს მოცემული საქმის განხილვისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით და არასათანადო მოპასუხე შეეცვალა სათანადო მოპასუხით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით შპს «ჭ. ა-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე და ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და შპს «ჭ. ა-ის» საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ, საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.ჭიათურაში (სექტორი - ..., კვარტალი - ..., ნაკვეთი - ...) თ. ხ-ის, საკუთრების უფლებით, რეგისტრირებული აქვს 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ჭ. ა-ის ადმინისტრაციასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ჩადგმულ ჯიხურში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა თ. ხ-ი. თ. ხ-მა ჯიხურის ჩადგმაზე ნებართვა მიიღო ჭ. ა-ის დირექციისაგან.

2005 წლის 3 იანვარს შპს «ჭ. ა-ის» დირექციასა და ინდ.მეწარმე თ. ხ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თ. ხ-ს შპს «ჭ. ა-ის» ტერიტორიით სარგებლობისათვის ყოველი თვის 5 რიცხვში შპს «ჭ. ა-ის» სალაროში უნდა შეეტანა თანხა 50 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 3 იანვრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე. შპს «ჭ. ა-სა» და თ. ხ-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდებოდა ერთი წლის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობას, არამედ მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ.

კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნას, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «ჭ. ა-სა» და ინდ.მეწარმე თ. ხ-ს შორის 2005 წლის 3 იანვარს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. კასატორის განმარტებით სასამართლომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ შპს «ჭ. ა-ის» დირექტორის 2005 წლის 11 იანვრის 12 ბრძანებას, რომელიც ადასტურებს კასატორის ნებას 2005 წლის 3 იანვრის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას მითითებულ მტკიცებულებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე 2005 წლის 3 იანვრის ხელშეკრულების იმ დებულებაზე, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა შორის ანგარიშსწორების წესი, კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრულია ინდ.მეწარმე თ. ხ-ის ვალდებულება ყოველთვიურად, არაუმეტეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა, შეიტანოს შპს «ჭ. ა-ის» სალაროში საიჯარო თანხა 50 ლარის ოდენობით. დასახელებული დებულებით მხარეებმა განსაზღვრეს საიჯარო ქირის ანაზღაურების წესი და მისი ნამდვილობის ფორმად მიიჩნიეს დათქმულ დროს მოიჯარის მიერ თანხის სალაროში შეტანის ვალდებულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებებიდან არ იკვეთება შეამოწმა თუ არა სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობა ზემოთ მითითებულ პირობებთან.

სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს უფლებამოსილი პირის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ფული ან გვაროვნული ნივთი, მოითხოვოს ამ სიკეთის კრედიტორისათვის დაბრუნება, ასევე არაუფლებამოსილი პირის ვალდებულება, დააბრუნოს ყველაფერი, რაც უსაფუძვლოდ მიიღო. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის საკვალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც კანონისმიერი ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ძირითად საფუძველს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება წარმოადგენს, რაც მსგავსად ვინდიკაციური სარჩელისა, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების უალტერნატივო წინაპირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში,

თუ მითითებული გარემოება უტყუარად არ იქნება დადგენილი, სამართლებრივი ურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრებად კვალიფიკაციის წინაპირობა არ იარსებებს.

ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს «ჭ. ა-ის» საკასაციო პრეტენზია მხარეთა შორის 2005 წლის 3 იანვარს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტილად არგაზიარების ნაწილში დასაბუთებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უტყუარად უნდა გამოარკვიოს შპს «ჭ. ა-სა» და თ. ხ-ს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემოსავლის მიღების ნამდვილობის ფაქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ჭ. ა-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება თ. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

1ას-576-544-2011

6 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. უ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ვ-ოსა» და შპს «მ-ის» მიმართ მიზარებული ნივთის ღირებულების – 5600 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით:

2007 წლის 19 აგვისტოს ქ.თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ავტოსადგომ შპს «ვ-ოს» ტერიტორიიდან დაიკარგა მოსარჩელის კუთვნილი «მერსედეს ბენცის» მარკის ავტომანქანა. შპს «ვ-ოსა» და შპს «მ-ს» შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, ავტოსადგომის ტერიტორიის დაცვას ახორციელებდა შპს «მ-ის» თანამშრომელი. შესაბამისად, მოპასუხეები ვალდებული არიან, სოლიდარულად აუნაზღაურონ მოსარჩელეს დაკარგული ნივთის ღირებულება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. უ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ვ-ოს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4800 აშშ დოლარის გადახდა, ა. უ-ის სარჩელი შპს «ვ-ოს» მიმართ 800 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ა. უ-ის სარჩელი შპს «მ-ის» მიმართ, მოსარჩელე ა. უ-ს უარი ეთქვა ასევე მოპასუხე შპს «მ-ის» მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «ვ-ომ» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 თებერვლის განჩინებით შპს «ვ-ოს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ საქმეზე წარდგენილი იქნა სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასა-

მართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2008 წლის 4 სექტემბრის ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმად, სადავო ავტომობილის სავარაუდო საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 11500 ლარით, მოპასუხემ ასევე წარადგინა იმავე ექსპერტიზის ბიუროს 2008 წლის 26 ივნისის დასკვნა, რომლის თანახმად, საქმეში მითითებული მონაცემების მქონე ავტომობილის საბაზრო ღირებულებად მიეთითა 5000 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ ექსპერტის დასკვნის შემოწმება და შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი პირობაა. ექსპერტის დასკვნის უარყოფა ან გამოყენება მტკიცებულებად არ შეიძლება, თუ იგი არ იქნება შემოწმებული და შეფასებული ხსენებული ნორმის შესაბამისად. ექსპერტის დასკვნა კრიტიკულად უნდა შეფასდეს, როგორც ცალკე აღებული, ასევე საქმეზე მოპოვებულ ყველა სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში. ამასთან, იგი უნდა შემოწმდეს და შეფასდეს არა მარტო მისი დასკვნითი ნაწილი, არამედ მთლიანად და გადაწყვეტილებაში დაწვრილებით ჩამოყალიბდეს ექსპერტიზის დასკვნის შედეგები.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილით, და დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნებით დაფიქსირდა ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, რის გამოც სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა, ვინაიდან ექსპერტს აუცილებლად უნდა განესაზღვრა ფულადი ანაზღაურების ოდენობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაბამისად.

სააპელაციო პალატის მითითებით, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო დაეყრდნო რა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 29 ივნისის ექსპერტის 14256/032 დასკვნას, დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება – განსაზღვრა ზიანის ოდენობა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ექსპერტის დასაბუთებულ დასკვნაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 763-ე, 394-ე, 408-ე მუხლები და მართებულად დაადგინა როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი, ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ოდენობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «ვ-ომ» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტები, ასევე 394-ე მუხლის «ე» პუნქტის მოთხოვნები, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაეყრდნო ექსპერტის 14256/032 დაუსაბუთებელ დასკვნას. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც სადავო ნივთის კასატორისათვის მისაბარებლად გადაცემას დაადასტურებდეს, ამდენად, მას ავტომატურად დაკარგვაში ბრალი არ მიუძღვის. მოსარჩელემ ვერ წარადგინა ავტომანქანის შპს «ვ-ოს» ავტოსადგომზე გაჩერების დამადასტურებელი ჩეკი, ამდენად, იგი კუთვნილ მანქანას აყენებდა უნებართვოდ.

სააპელაციო პალატას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება სათანადოდ არ შეუმოწმებია. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, 173-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი, 316-ე და 317-ე მუხლების 1-ელი ნაწილები, 763-ე, 408-ე და 394-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის საფუძველები შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ შპს «ვ-ოს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, ამომწურავად იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის საფუძველებზე და თავისი გადაწყვეტილებითა თუ განჩინებით დასაბუთებული პასუხი გასცეს მათ.

აპელანტი შპს «ვ-ომ» პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ მოტივით, რომ სასამართლომ არასათანადოდ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებანი – მოწმეთა ჩვენებები, აღნიშნულის საფუძველზე არასწორად დაადგინა მხარეთა შორის მიბარების ხელშეკრულების არსებობის ფაქტი და არასწორად განსაზღვრა სადავო ნივთის ღირებულება. სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში იმსჯელა მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად სადავო ავტომანქანის ღირებულების განსაზღვრის მართებულობაზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში შემოიფარგლა პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაზე მითითებით, რითაც უგულბელო მხარის საპროცესო უფლება, სასამართლოსაგან მიიღოს კომპეტენტური პასუხი თავის არგუმენტებზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ კანონის ზემოხსენებული დანაწესი დაარღვია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო პალატას არ შეუფასებია შპს «ვ-ოს» არგუმენტი, რომ მოდავე მხარეთა შორის ავტომანქანის მიბარების ხელშეკრულება არ დადებულია, რადგან ა. უ-ს, მართალია, შეჰყავდა კუთვნილი ავტომანქანა მოპასუხის ავტოსადგომზე, მაგრამ აღნიშნულის საფასურს არ იხდიდა. თავის მხრივ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს «ვ-ოს» ტერიტორიაზე განთავსებულია ისეთი ობიექტები, როგორცაა მაღაზია, საბანკეტო დარბაზი. ამდენად, სასამართლოს არ გამოურკვევია, ვრცელდება თუ არა დაცვის ვალდებულება ავტოსადგომზე შესულ ყველა ავტომანქანაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, კერძოდ, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება, რომელიც სააპელაციო პალატამ მთლიანად გაიზიარა, უმეტეს წილად ეფუძნება მოწმეთა ჩვენებებს, თუმცა არც ერთ ინსტანციაში განსახილველი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები სრულად და ყოველმხრივ არ გამოკვლეულა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქმეზე დაკითხულ მოწმეთა შორის 2007 წლის 19 აგვისტოს სადავო ავტომანქანის შპს «ვ-ოს» სადგომზე გაჩერებისა და შემდეგ ავტოსადგომის ტერიტორიიდან გაყვანის ფაქტს უშუალოდ შეესწრო მხოლოდ შპს «მ-ის» თანამშრომელი პ. უ-ი. სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელის მიერ გამოძიებისათვის მიცემული განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია. აღნიშნული მოწმე ადასტურებს სადავო ავტომანქანის შპს «ვ-ოს» ტერიტორიაზე შეყვანის ფაქტს და უთითებს, რომ იგი 19-20 აგვისტოს ღამის საათებში სადგომიდან არავის გაუყვანია. იგივე პიროვნება განმარტავს, რომ მის მიერ მორიგეობის სხვა თანამშრომლისათვის გადაბარებისას «მერსედეს ბენცი» სადგომზე იდგა და ვერც გავიდოდა, რადგან სხვა ავტომანქანა გზას უკეტავდა, ხოლო დამატებით ჩვენებაში პ. უ-ი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 19 აგვისტოს დაინახა, როგორ ტოვებდა სადავო სატრანსპორტო საშუალება ავტოსადგომს, თუმცა ვერ მოასწრო მძღოლის ვინაობის შეტყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მოცემული დაცვის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი, რის შედეგადაც ამომწურავად გასცეს პასუხი შპს «ვ-ოს» სააპელაციო საჩივარს და დაადგინოს ა. უ-ის მიერ სადავო ავტომანქანის შპს «ვ-ოს» ავტოსადგომზე განთავსება წარმოშობდა თუ არა მათ შორის მიბარების ხელშეკრულებასა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო დადებით შემთხვევაში განსაზღვროს აღნიშნული ზიანის გონივრული ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ვ-ოს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღიარება

განჩინება

1ას-960-903-2010

7 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ლ-გამ» და თ. ა-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. გ-ძისა და რ. ჯ-ს მიმართ მ. გ-ძისა და მისი თანმხლები პირის – რ. ჯ-ს მფლობელობიდან ქ.თბილისში, ...¹45-ში მდებარე უძრავი ნივთის გამოთხოვის, ზიანის – 40000 აშშ დოლარის დაკისრებისა და 2008 წლის დეკემბრიდან ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვამდე ყოველთვიურად ქირის – 880 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: ქ.თბილისში, ...¹50-ში მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია თანამოსარჩელეთა თანასაკუთრების უფლება. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, საერთო ფართი შეადგენს 112 კვ.მ-ს. 2007 წელს შპს „ლ-გას“, თ. ა-ძესა და მ. გ-ძეს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ლ-გამ» და თ. ა-ძემ მ. გ-ძეს სარგებლობაში გადასცეს კუთვნილი უძრავი ნივთი. ხელშეკრულება დადებული იყო ერთი წლის ვადით. 2008 წლის დეკემბერში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა და ხელშეკრულება შეწყდა. მიუხედავად მესაკუთრის არაერთი მოთხოვნისა, მოპასუხე მხარე უარს აცხადებს მოსარჩელეთა კუთვნილი ფართის დაცლაზე. მოსარჩელების კუთვნილი ფართიდან 44 კვ.მ დაკავებული აქვს მოპასუხე მხარეს, ამასთან მოპასუხეს ამჟამად რაიმე ხელშეკრულება აღნიშნულ ფართზე არ გააჩნია. ქირის ოდენობა შეადგენს 800 ლარს. დეკემბრის შემდეგ მოპასუხეს რაიმე თანხა მესაკუთრეებისათვის აღარ გადაუხდია. მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდგომარეობის გათვალისწინებით საშუალო ოდენობა იმავე გამზირზე მდებარე უძრავი ქონების ქირისა, შეადგენს ერთ კვ.მეტრზე 20 აშშ დოლარს, შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ქირის – 880 აშშ დოლარის გადახდა ფართის განთავისუფლებამდე.

მოსარჩელის განმარტებით, ფართის ყიდვის სურვილი გამოთქვა არაერთმა მყიდველმა, კონკრეტულ შემთხვევაში მათ გააფორმეს ბეს შესახებ ხელშეკრულება ფართის ყიდვით დაინტერესებულ პირთან – ზ. ა-შვილთან და, 2008 წლის 17 დეკემბრის ბეს შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, განისაზღვრა ბეს მიმდების პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების ბრალეული შეუსრულებლობის გამო, ბეს ორმაგად უკან დაბრუნების თაობაზე. იმის გამო, რომ მოპასუხე მხარემ არ დაცალა მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული ფართი, მოსარჩელებმა ზ. ა-შვილის მიმართ შეთანხმება ვერ შეასრულეს, რის გამოც იძულებული გახდნენ, დაებრუნებინათ მყიდველის (ზ. ა-შვილისათვის) მიერ გადახდილი ბეს თანხა ორმაგად, რომლის ოდენობამაც შეადგინა 40 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: ქ.თბილისში ...¹50-ში მდებარე 112 კვ. მ უძრავ ქონებაზე, ერთი მხრივ, მ. გ-ძეს და, მეორე მხრივ, შპს „ლ-გას» და თ. ა-ძეს შორის სარჩელში მითითებული ხელშეკრულება არასოდეს დადებულია, იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 2007 წელს მ. გ-ძესა და შპს „ლ-გას» შორის და უფრო მეტი ვადით, ვიდრე ეს სარჩელშია მითითებული. მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოადგინა სარჩელში მითითებული 2007 წლის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის ვადაც თითქოს განსაზღვრული იყო ერთი წლით. მისი სადავო ფართში ყოფნის სამართლებრივი საფუძველია 2007 წლის იჯარის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც 2009 წელსაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელების ყველა მოთხოვნა მოპასუხისათვის ყოველგვარი თანხის დაკისრებაზე უსაფუძველო და უკანონოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ძესა და შპს «ლ-გას» უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ა-ძემ და შპს «ლ-გამ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ლ-გასა» და თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს «ლ-გას» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე მ. გ-ძეს შპს «ლ-გას» სასარგებლოდ დაეკისრა ქირის გადახდა 11 440 აშშ დოლარის ოდენობით, შპს «ლ-გასა» და თ. ა-ძის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძველებით: გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ მოპასუხეები ფართით სარგებლობდნენ 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ქირის გადახდა შეწყვიტეს 2008 წლის ნოემბრიდან. მოწინააღმდეგე მხარეებმა ვერ დაადასტურეს მათ მიერ ქირის სახით 10 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი და სასამართლო გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გაასაჩივრეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ქირა გადახდილად მოწინააღმდეგე მხარეების მიერ 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 31 დე-

კემბრამდე ფართით სარგებლობის პერიოდში. მოპასუხე რ. ჯ-ს განმარტებით, ყოველთვიური ქირა არა 800 ლარს, ან 880 აშშ დოლარს, არამედ გაცილებით მეტს, კერძოდ – 2500 აშშ დოლარს შეადგენდა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით და მიუთითა, რომ ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (ალიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. მოპასუხემ აღიარა, რომ ყოველთვიური ქირის ოდენობა შეადგენდა 2500 აშშ დოლარს. ამდენად, მიიჩნია, რომ მოსარჩელების მოთხოვნა გადაუხდელი ცამეტი თვის (2008 წლის დეკემბრიდან – 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ქირის, ყოველთვიურად 880 აშშ დოლარის ოდენობით გადახდის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლი, რომლის თანახმად დავის საგნის შეცვლა ან გადიდება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია (რაც აპელანტებს არც მოუთხოვიათ), მიუთითა, რომ აპელანტების მოთხოვნა გადაუხდელი ქირის -ყოველთვიურად 880 აშშ დოლარის ოდენობით გადახდის თაობაზე ვერ გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს სხდომაზე დადგენილ იქნა უძრავი ნივთის ქირის ოდენობა არა 880 აშშ დოლარის, არამედ 2 500 აშშ დოლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. გ-მ და რ. ჯ-მ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი რ. ჯ-ს საკასაციო პრეტენზიის ნაწილში დარჩა განუხილველად იმ საფუძვლით, რომ რ.ჯ- არ იყო საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე მხარე.

მ. გ-მ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა მოპასუხე რ. ჯ-ს ალიარება იმის თაობაზე, რომ ყოველთვიური ქირა 800 ლარი კი არა 2500 აშშ დოლარი იყო, უფულებელყო მოსარჩელეთა განმარტება ქირის – 800 ლარის ოდენობის თაობაზე. მხედველობაში არ მიიღო შპს «ლ-გას» შემოსავლის ორდერები, არ გაიზიარა რ. ჯ-ს განმარტება, რომ მოპასუხეები დავის მომენტისათვის შეთანხმებისამებრ 800 ლარს იხდიდნენ. სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი, ვინაიდან გადაწყვეტილება არ გამოტანილა იმ პირის მიმართ, რომელმაც აღიარა ქირის ოდენობა, ასევე არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 564-ე მუხლი, ვინაიდან მოსარჩელს არასოდეს მოუთხოვია დაყოვნების განმავლობაში ქირის გადახდა და არც ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებია, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხის მიერ გადახდილი ქირის ოდენობა შეადგენდა 800 ლარზე მეტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მითითებული ნორმით, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით უნდა შეაფასოს, საპროცესო ნორმის დარღვევამ რა გავლენა მოახდინა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მ. გ-მეს შპს «ლ-გას» სასარგებლოდ დააკისრა ქირის გადახდა 11 440 აშშ დოლარის ოდენობით. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით და მიუთითა, რომ მოპასუხემ აღიარა ყოველთვიური ქირის – 2500 აშშ დოლარის ოდენობით არსებობა. ამდენად, მიიჩნია, რომ მოსარჩელების მოთხოვნა გადაუხდელი ცამეტი თვის (2008 წლის დეკემბრიდან – 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ქირის, ყოველთვიურად 880 აშშ დოლარის (სარჩელის ფარგლებში), გადახდის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (ალიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

მითითებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტის აღიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებადაა მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის აღიარების ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული, შესაბამისად, დავის პროცესში აღიარებული ფაქტი სასამართლომ უნდა ამოიცხოს დავის საგნიდან და როგორც უდავო ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს. ფაქტის აღიარების ასეთ მტკიცებულებად შეფასება ემყარება რწმენას, რომ იგი ნამდვილად არსებობს და თვით ის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელსაც ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე მეორე მხარის უფლების დარღვევაში ედავებინა. ამასთან, აღიარების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია რ. ჯ-ს განმარტება ქირის ოდენობაზე, ხოლო ვალდებულების შესრულება აღიარებული ქირის ოდენობის შესაბამისად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დააკისრა მეორე მოპასუხე მ. გ-მეს. აღნიშნულით სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. ამასთან, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მოცემულ დავაზე გამოიტანოს გადაწყვეტილება, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს სადავო საკითხის გადაწყვეტისას საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები არ შეუფასებია და თავისი დასკვნა მხოლოდ ერთი მხარის განმარტების აღიარებად მცდარ შეფასებას დააყრდნო.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა

განჩინება

¹ას-773-723-2010

13 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ვ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ა-ს» მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2007 წლის 12 თებერვალს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 2750000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი 14%-ის დარიცხვით.

2007 წლის 1 ივნისს მხარეთა შორის დაიდო დამატებითი შეთანხმება, რომლითაც დაზუსტდა სესხისა და პროცენტის გადახდის გრაფიკი. ზემოხსენებული ვალდებულება მოპასუხეს უნდა შეესრულებინა 2007 წლის 15 დეკემბრამდე, თუმცა შპს «ა-ს» არც ძირითადი თანხა და არც საპროცენტო დანარიცხი, სულ – 5524529 ლარი მოსარჩელისათვის არ გადაუხდია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს სადავო თანხის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტი სათანადოდ არ დაუდასტურებია. ამასთან, გარიგება დადებულია შპს «ა-ს» პარტნიორთა კრების სავალდებულო თანხმობის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ვ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ა-ს» გ. ვ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 5481772,1 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება შპს «ა-მა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 12 თებერვალს გ. ვ-იასა და შპს «ა.-ს» შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ვ-იას შპს «ა.-სთვის» უნდა გადაეცა 2 750 000 აშშ დოლარი წლიური 14%-იანი სარგებლით.

2007 წლის 1 ივნისს გ. ვ-იასა და შპს «ა.-ს» შორის გაფორმდა შეთანხმება 2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხისა და გადახდის დროისთვის დარიცხული პროცენტის (სარგებლის) გადახდის გრაფიკი.

2008 წლის 15 აპრილს მოსარჩელემ მოსთხოვა მოპასუხეს სესხის დაბრუნება ძირითადი თანხისა და იმ პერიოდისათვის დარიცხული პროცენტის გათვალისწინებით.

2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების ფარგლებში მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია და, მითითებული შეთანხმების გარდა, მხარეები სესხის პროცენტზე არ შეთანხმებულან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი და ჩათვალა, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია საზოგადოების წესდება, რომლითაც დაასაბუთებდა თავის არგუმენტს სადავო გარიგების დადებისას შპს-ს პარტნიორთა სავალდებულო თანხმობის არარსებობის შესახებ.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ, 2007 წლის 12 თებერვლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა 2007 წლის 13 თებერვალს გადასცა. ამავე დღეს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, ნაღდი ანგარიშსწორების ნაცვლად ანგარიშსწორება მომხდარიყო თამასუქით. აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა თამასუქი 4712125 ლარზე, ხოლო მოპასუხემ გამოიყენა იგი ნასყიდობის ხელშეკრულებაში და გადასცა მესამე პირს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა გადაწყვეტილების დასაბუთება, რომ თამასუქის დედანი საქმის განხილვის დროისათვის იმყოფებოდა მესამე პირთან და მოსარჩელეს არ გააჩნდა შესაძლებლობა, სასამართლოში წარედგინა იგი. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს თამასუქის ასლის ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც სასამართლომ მას მტკიცებულებითი ძალა მიანიჭა და მტკიცებულების დედნის წარუდგენლობა საპატიოდ ჩათვალა. აღნიშნული განჩინება აპელანტს არ გაუსაჩივრებია, არამედ სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა საქმეში არსებული დოკუმენტების ასლების წარმოდგენასა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი არ დაურღვევია.

სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ გ. ვ-იამ შპს «ა.-ს» 2007 წლის 9 თებერვლის პარტნიორთა კრების ოქმი 2009 წლის 3 აპრილს, საქმის მომზადების სტადიის დამთავრების შემდეგ წარმოადგინა. პალატის მითითებით, 2009 წლის 31 მარტს სასამართლოს მოსაზრებები სხდომა გადაიდო იმ მიზეზით, რომ მოსარჩელეს მოპასუხის შესაგებელი არ ჩაბარებია. 2009 წლის 3 აპრილს მოსარჩელემ წარადგინა მოსაზრებები მოპასუხის შესაგებებელზე, რასაც დაურთო ხსენებული კრების ოქმი დამატებითი მტკიცებულების სახით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ 2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულება და 1 ივნისის შეთანხმება დაიდო კანონის სრული დაცვით, ვინაიდან აპელანტს არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია იმ დოკუმენტების (2007 წლის 1 ივნისის შეთანხმებისა და 2007 წლის 9 თებერვლის პარტნიორთა კრების ოქმის) ბათილად ცნობა, რომელთაც სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დააფუძნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «ა-მა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა 2009 წლის 5 მაისის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა მტკიცებულებათა ამორიგებვაზე. სასამართლოს არ უმჯსელია მოსარჩელის მიერ 2009 წლის 28 აპრილს დამატებით წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობაზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სარჩელზე დაერთო მტკიცებულებები გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 219-ე მუხლები და აღნიშნული დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო მტკიცებულებებს, რომლებიც საპროცესო ნორმების დარღვევით იქნა წარდგენილი.

სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს საქმის განხილვა გადაიდო, რადგან მოსარჩელეს მოპასუხის შესაგებელი ჩაბარებული არ ჰქონდა. ფაქტობრივად, სასამართლომ დანიშნა მთავარი სხდომა, რითაც ჩათვალა, რომ საქმის მომზადების ეტაპი დასრულებული იყო.

დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინების მითითება, რომ 2007 წლის 12 თებერვლის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის შესახებ მოსარჩელემ 2007 წლის 13 თებერვალს შეასრულა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება 2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა საქალაქო სასამართლოში 2009 წლის 28 აპრილს საპატიო მიზეზის მითითების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა ეცნო საპროცესო ნორმების დარღვევის გამო და უნდა ამოერიცხა მტკიცებულებათა რიგიდან.

სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელე მხარეს დაევა 2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტის დედნის წარმოდგენა, რაც მხარეს არ განუხორციელებია. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოსარჩელემ წარადგინა მიღება-ჩაბარების აქტის მხოლოდ ნოტარიულად დამოწმებული ასლი. პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლი, როდესაც აპელანტს ექსპერტიზის ჩატარების გზით არ მისცა მითითებული დოკუმენტის ნამდვილობის შემოწმების შესაძლებლობა.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ვ-იას მიერ შპს „ა-სთვის“ თამასუქის საფუძველზე გადახდილი თანხის თამასუქში მითითების ფაქტი, ასევე ის გარემოება, რომ ინდოსირების წესით გადაცემული თამასუქის ფარგლებში თამასუქის მფლობელმა გ. ვ-იასაგან თამასუქში მითითებული თანხა მიიღო.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის დანაწესი, რასაც შედეგად არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ა-ს» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და თვლის, რომ იგი მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი გაუქმების საფუძველის არსებობა მხარეს არ დაუსაბუთებია.

განსახილველ საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ 2007 წლის 12 თებერვალს გ. ვ-იასა და შპს «ა-ს» შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც გ. ვ-იას შპს «ა-სთვის» უნდა გადაეცა 2 750 000 აშშ დოლარი წლიური 14%-იანი სარგებლით.

2007 წლის 1 ივნისს გ. ვ-იასა და შპს «ა-ს» შორის გაფორმდა შეთანხმება 2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხისა და გადახდის დროისთვის დარიცხული პროცენტის (სარგებლის) გადახდის გრაფიკი.

2008 წლის 15 აპრილს მოსარჩელემ მოსთხოვა მოპასუხეს სესხის დაბრუნება ძირითადი თანხისა და იმ პერიოდისათვის დარიცხული პროცენტის გათვალისწინებით.

2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების ფარგლებში მოპასუხეს მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ, 2007 წლის 12 თებერვლის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა 2007 წლის 13 თებერვალს გადასცა და ამავე დღეს გაფორმდა მათ შორის სავალო დოკუმენტის – თამასუქის მიღება-ჩაბარების აქტი.

საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც უკანონოდ წარდგენილი მტკიცებულება სასამართლოს არ უნდა მიეღო. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლოში წარდგენილი იქნა ქსეროასლის სახით. ამასთან, მისი შინაარსიდან არ ირკვევა, რომ გ. ვ-იამ სადავო თანხა შპს «ა-ს» ნამდვილად გადასცა, სხვა მტკიცებულება კი თანხის გადაცემის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილი არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

დასახელებული ნორმა ავალდებულებს მხარეს, სარწმუნოდ დაასაბუთოს იმ გარემოებათა უტყუარობა, რომელთაც მის მიერ მითითებული მოთხოვნები თუ შესაგებელი ეფუძნება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე გ. ვ-იამ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ფორმით 2007 წლის 12 თებერვალს შედგენილი სესხის ხელშეკრულებისა და 2007 წლის 1 ივნისის შეთანხმების წარდგენის გზით დაადასტურა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობების არსებობის ფაქტი.

2007 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების 3.3 პუნქტით, გამსესხებლის მიერ სესხის გაცემა წარმოებდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ხსენებული გარიგებები მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია და მისი პრეტენზია ეხება მხოლოდ გარიგების პირობის შესრულებას – ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მისთვის გადაცემას.

კანონის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, თავად მოპასუხე შპს «ა-ს» ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ გ. ვ-იას, მხარეთა შეთანხმების საწინააღმდეგოდ, გარიგებით დადგენილ 10 დღის ვადაში მისთვის თანხა არ გადაუცია. აღნიშნული საპროცესო მოვალეობა კი მხარეს სათანადოდ არ შეუსრულებია.

2007 წლის 1 ივნისის შეთანხმებით მხარეებმა განსაზღვრეს ამავე წლის 12 თებერვლის სესხის ხელშეკრულებით შპს «ა-სათვის» გადაცემული თანხის დაბრუნების გრაფიკი, რაც თავისთავად ადასტურებს, რომ შპს «ა-ს» სადავო სესხი გადაეცა. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ვალის დაბრუნების გრაფიკის შედგენის აუცილებლობა არ წამოიშობოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოცემული დავისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონედ არ თვლის კასატორის მოსაზრებას, რომ გ. ვ-იამ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას რიგი მტკიცებულებანი (2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი, შპს «ა-ს» 2007 წლის 9 თებერვლის პარტნიორთა კრების ოქმი, თამასუქები) წარადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 219-ე მუხლების დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის მოსამზადებელი სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ არც ერთი მხარე საქმის განხილვისათვის მომზადებული არ იყო, მოსარჩელეს კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპასუხის შესაგებელი არ ჩაბარებია, რის გამოც გადაწყდა, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულიყო 2009 წლის 1 მაისისათვის. მოსარჩელემ სადავო მტკიცებულებები წარადგინა 2009 წლის 3 და 28 აპრილს, სასამართლო მთავარი სხდომის დაწყებამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის 1-ელი ნაწილი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, წარადგინონ ახალი მტკიცებულებები საქმის მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა დაასაბუთონ, რა საპატიო მიზეზით ვერ მოხდა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დროულად წარდგენა. ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას ეხება ამავე კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლითაც მოსარჩელეს უფლება აქვს წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე წერილობით აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «ა-ს» შესაგებელი მოსარჩელემ ჩაიბარა 2009 წლის 31 მარტს და 5 დღის ვადაში წარადგინა ახალი მტკიცებულებები.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კასატორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია 2009 წლის 28 აპრილს გ. ვ-იას მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობაზე, რადგან აღნიშნულ საპროცესო დარღვევას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა არ მოჰყოლია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სადავო მტკიცებულებათა ასლების წარდგენის ნაწილიც, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

მითითებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიანიჭოს წერილობითი მტკიცებულების ასლს, თუ ჩათვლის, რომ დოკუმენტის დედნის წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო. შესაბამისად, კანონმდებელი აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ცალსახად სასამართლოს შეხედულებას უკავშირებს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა 2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტისა და თამასუქების, ასევე საზოგადოების 2007 წლის 9 თებერვლის პარტნიორთა კრების ოქმის ასლებისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭების შესახებ.

მითითებული 2007 წლის 13 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი მოსარჩელემ წარადგინა სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით, რომელიც სასამართლომ საკმარისად მიიჩნია მასში ასახული ფაქტების დასადასტურებლად. ამდენად, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ ზემოხსენებული აქტის დედნის წარუდგენლობის გამო მასზე შესრულებული შპს «ა-ს» დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობაზე ექსპერტის ჩატარება ვერ მოხერხდა. სურვილისამებრ, მხარე უფლებამოსილი იყო, სათანადო წესით სადავო გაეხადა აღნიშნული დოკუმენტი და მოეთხოვა მისი ბათილად ცნობა, რაც მას არ განუხორციელებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ა-ს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

1ას-967-1246-09

3 აგვისტო, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სამკვიდროს მმართველად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ქ-იმ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. გ-ის, ია პ-ის, ლ. ჟ-ას, ნ. პ-ის, დ. პ-ისა და ო. ს-ას მიმართ, ა. (ბ.) პ-ის ანდერძის აღმსრულებლად აღიარების, სამკვიდროს მმართველად აღიარების, ასევე აღნიშნულის საფუძველზე წარმომოხილელი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას მოპასუხეთა მხრიდან ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განცხადებით, ა. პ-ი გარდაიცვალა 2008 წლის 12 თებერვალს. იგი საქართველოს მოქალაქე იყო და მას ოფიციალური საცხოვრებელი ადგილი უკანასკნელი 6 წლის მანძილზე საქართველოში გააჩნდა. გარდაცვლილს მნიშვნელოვანი ქონება დარჩა, რომელიც, საქართველოს გარდა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია განთავსებული. აღნიშნული ქონების მართვა გარდაცვლილმა მოსარჩელეს დაავალა.

ა. პ-ის გარდაცვალებამდე, 2007 წლის 14 ნოემბერს შედგენილი «ნების გამოვლენის წერილის» თანახმად, მოსარჩელესა და მის კომპანია «...-ს» უნდა განეხორციელებინა ბ. პ-ის პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული ქონების მართვა, ფლობა, განკარგვა, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – ქონების გაყიდვა კერძო განკარგვის ან აუქციონის გზით. ყველა ვალის, გადასახადისა და ხარჯების დაფარვის შემდეგ კი, სამკვიდრო ქონება უნდა განაწილებულიყო გარდაცვლილის კონფიდენციალური მითითებების შესაბამისად. 2007 წლის 14 ნოემბერს შედგენილი «ქონების აღმსრულებელი მმართველის დანიშვნის შესახებ აქტის» მიხედვით, ჯ. ქ-ი დანიშნულია ანდერძის აღმსრულებლად.

ბ. პ-ის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელე ეწვია მოპასუხე ი. გ-ეს და აცნობა გარდაცვლილის სურვილის შესახებ, ხოლო ადვოკატმა ე. ზ-ა გააცნო ოჯახის წევრებს ბ. პ-ის უკანასკნელი ნება. მოპასუხეები არიან ბ. პ-ის პირველი რიგისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეები, და გააჩნიათ პრეტენზია გარდაცვლილის ქონებაზე. ი. გ-ე, ია პ-ი და ლ. ჟ-ა სადავოდ ხდიან მოსარჩელის უფლებებს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ თუნდაც ჯ. ქ-ი აღჭურვილი ყოფილიყო სამკვიდროს მმართველის უფლებამოსილებით, მემკვიდრეებმა ქონება უკვე მიიღეს ფაქტობრივი ფლობით და მისი მართვის აუცილებლობა აღარ არსებობდა. «ნების გამოვლენის წერილი» თავისი შინაარსით არ წარმოდგენდა ანდერძს, ამასთან მისი ნამდვილობა სადავო იყო, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ასლი, დოკუმენტის დედნის არსებობა კი არ დასტურდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ჯ. ქ-ი ცნობილ იქნა ა. (ბ.) პ-ის ანდერძის აღმსრულებლად, მოპასუხეებს – ი. გ-ეს, ია პ-ს, ლ. ჟ-ას, ნ. პ-ს, ო. ს-ასა და დ. პ-ს აეკრძალათ ჯ. ქ-ისათვის, როგორც ანდერძის აღმსრულებლისათვის, მისი უფლება-მოვალეობების შესრულებაში ხელშეშლა, ჯ. ქ-ის უარი ეთ-

ქვა ა. (ბ.) პ-ის სამკვიდროს მმართველად აღიარებაზე. იმავე გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისისა და ამავე კოლეგიის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები წინამდებარე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის პირველი ივლისის განჩინებით ი. გ-ის, ია პ-ის, ლ. ჟ-ას, ნ. პ-ის, ო. ს-ას და დ. პ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ი. გ-ემ, ია პ-მა, ლ. ჟ-ამ და ნ. პ-მა, ასევე დ. პ-მა და ო. ს-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრეს. ი. გ-ემ, ი. პ-მა, ლ. ჟ-ამ და ნ. პ-მა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ხოლო ო. ს-ამ და დ. პ-მა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ი. გ-ის, ია პ-ის, ლ. ჟ-ასა და ნ. პ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. პ-ისა და ო. ს-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე საპროცესო ნორმების დარღვევით განიხილა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ «ნების გამოვლენის წერილი» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტი» ერთიანი დოკუმენტია და ორივე ერთობლიობაში ანდერძს წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტები საქმეში ასლის სახითაა წარმოდგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული ასლებისათვის მტკიცებულების ძალა არ უნდა მიენიჭებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად ირკვევა, რომ მტკიცებულების ძალა დოკუმენტის დედანს აქვს და სასამართლოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია დოკუმენტის ასლი მტკიცებულებად მიიჩნიოს. ამისათვის მხარემ უტყუარად უნდა დაადასტუროს, რომ დოკუმენტის დედანი არსებობს ან არსებობდა, მაგრამ მას, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი წარმოდგენა. ის გარემოება, რომ დოკუმენტის დედანი თავის დროზე შეიქმნა შესაბამისი ორგანოს ან პირის მიერ, მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებიდან ნათლად უნდა დასტურდებოდეს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ეს გარემოება მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლომ «ნების გამოვლენის წერილის» დედნის არსებობა და მისი ნამდვილობა დადგენილად ანდერძის მოწმეთა ჩვენებების, მხარეთა განმარტებების, ნოტარიუს ა. ფ-ის წერილობითი განაცხადის, ა. ფ-ის ამერიკის სასამართლოში საქმის წარმოების დროს მიცემული განცხადების, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის სამხრეთ რაიონის სასამართლოში ი. გ-ის მიერ წარდგენილი განცხადების, ი. გ-ის ადვოკატ მ. დ-ის განცხადების საფუძველზე მიიჩნია. სასამართლო ასევე დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ცალკეულ პირებთან საუბრისას იურისტმა ე. ზ-მა არაერთგზის აღნიშნა, რომ მასთან იმყოფებოდა ა. პ-ის ანდერძი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ე. ზ-ის განცხადება, რომ მასთან ანდერძი იმყოფებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ გარემოების უტყუარობას და ვერც იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული ანდერძი და «ნების გამოვლენის წერილი» ერთი და იგივე დოკუმენტია.

რაც შეეხება ანდერძის მოწმეებისა და ნოტარიუს ფიშკინის განმარტებებს, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არცერთი ზემოაღნიშნული პირი პროცესზე მოწმის სახით არ დაკითხულა. საქმეში წარმოდგენილია მათი სახელით შესრულებული წერილობითი განმარტებები ან სხვა საქმესთან დაკავშირებით მიცემული ჩვენება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XVIII თავის საფუძველზე, მოწმეების ჩვენებები მტკიცებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ ისინი სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული პირები საქმეზე მოწმედ გამოძახებულიც არ ყოფილან, ამასთან საქმეში არსებული მათი ახსნა-განმარტებები წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგ-

ვარად აღწერენ სადავო დოკუმენტების შედგენა-ხელმოწერის გარემოებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტებები უტყუარ მტკიცებულებად არ უნდა მიეჩნია და დოკუმენტის დედნების არსებობის, ასევე ა. პ-ის მიერ ხელმოწერის ფაქტი მათზე დაყრდნობით არ უნდა დაედგინა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ ადვოკატი ე. ზ-ი ბელორუსის რესპუბლიკაში დააკავეს და ამ დროს მასთან იმყოფებოდა ანდერძის დედანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამგვარად მიიჩნევა ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის ფაქტის საყოველთაოდ ცნობადობა სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ, ობიექტური გარემოებების შედეგად, მის შესახებ პირთა ძალიან დიდი წრეა ინფორმირებული. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. ზ-ის დაკავების ფაქტი მედიასაშუალებებით გავრცელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საყოველთაოდ ცნობილად მხოლოდ ეს ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, ჰქონდა თუ არა ე. ზ-ს თან «ნების გამოვლენის წერილის» დედანი, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არ არის და ცალკე მტკიცების საგანია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდა მიიჩნია, რომ დაკავების შემდეგ ე. ზ-ის თხოვნით დოკუმენტის დედნები ბ. ბ-ის გადაეცა. აღნიშნული გარემოება დადგენილად ა. ფ-ის განმარტების საფუძველზე იქნა მიჩნეული, რომელიც აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, სწორედ «ნების გამოვლენის წერილის» დედანზეა საუბარი. აღნიშნული ინფორმაცია ა. ფ-ს თავად ე. ზ-ა მიაწოდა, ამდენად, მათი უტყუარობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ არსებობს. ამასთან, თავად განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ უცნობია, რა დოკუმენტები გადაეცა ბ. ბ-ის და იყო თუ არა მათ შორის იმ დოკუმენტების დედნები, რომელთა ასლებიც მოცემულ საქმეშია წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო დოკუმენტების დედნების არსებობა და მათ წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ასლებისათვის მტკიცებულების ძალა არ უნდა მიენიჭებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაუშვებელი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რასაც შედეგად სარჩელის არასწორად დაკმაყოფილება მოჰყვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ «ნების გამოვლენის წერილისა» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტის» ასლები მტკიცებულებებად ვერ ჩაითვლება, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ა. პ-ის ანდერძის არსებობისა და მის აღმსრულებლად ჯ. ქ-ის დანიშვნის ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. როგორც ჯ. ქ-ი სარჩელის ფაქტობრივ საფუძველებში აღნიშნავს, «ნების გამოვლენის წერილით» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტით» ა. (ბ.) პ-მა გამოავლინა ნება, რომლითაც მოსარჩელე დაინიშნა ანდერძის აღმსრულებლად და სამკვიდროს მმართველად.

ვინაიდან ზემოთ მითითებული მტკიცებულებებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით არ დასტურდება ა. (ბ.) პ-ის ნების გამოვლენის ფაქტი, «ნების გამოვლენის წერილში» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტში» ა. (ბ.) პ-ის მიერ გამოვლენილი ნება სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. ამდენად, შეუძლებელია «ნების გამოვლენის წერილისა» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტის» საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ჩაითვალოს ნამდვილად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სარჩელის უსაფუძველობას.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მოპასუხეები საქმის განხილვისას იმ გარემოებასაც ხდიდნენ სადავოდ, წარმოდგენდა თუ არა «ნების გამოვლენის წერილი» ანდერძს და შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ სადავო ორი დოკუმენტის საფუძველზე ანდერძის აღმსრულებელი დაინიშნა. საკასაციო პა-

ლატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილ «ნების გამოვლენის წერილისა» და «ქონების აღმასრულებელ მმართველად დანიშვნის შესახებ აქტის» ასლებს მტკიცებულების ძალა არ ენიჭება, მათი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ჯ. ქ-იმ მოპასუხეებს უნდა აუნაზღაუროს მათ მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

რაც შეეხება კასატორების: ი. გ-ის, ლ. ჟ-ას, ია და ნ. პ-ების წარმომადგენელ კ. კვანტალიანის 'ა-2521-09 და 'ა-463-2010 განცხადებებზე დართულ მტკიცებულებებს, ასევე ო. ს-ასა და დ. პ-ის საკასაციო საჩივარზე დართულ მტკიცებულებებს საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეთ კასატორებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ი. გ-ის, ია პ-ის, ლ. ჟ-ას და ნ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ო. ს-ასა და დ. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის პირველი ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
4. ჯ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 მაისისა და ამავე კოლეგიის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებებით, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.
6. ჯ. ქ-ის ო. ს-ასა და დ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მათ მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 და 300 ლარის ანაზღაურება.
7. ჯ. ქ-ის ი. გ-ის, ია პ-ის, ლ. ჟ-ას და ნ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მათ მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 და 300 ლარის ანაზღაურება.
8. ი. გ-ეს, ია პ-ს, ლ. ჟ-ასა და ნ. პ-ს დაუბრუნდეთ 'ა-2521-09 განცხადებაზე დართული მტკიცებულება (ექსპერტის დასკვნა) 3 ტომად და 'ა-463-2010 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 87 ფურცლად, ხოლო ო. ს-ასა და დ. პ-ს – საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 2 ფურცლად.
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობის შემოწმება

განჩინება

1ას-631-592-2011

26 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების გაუქმება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 10 აპრილს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. ქ-ამ მოპასუხე თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის, მესამე პირის – ჯ. ც-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის უარის ბათილობა, თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტერ «ა» შენობიდან 700 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე მისი მესაკუთრედ ცნობა და აღნიშნული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის 2002 წლის 7 აპრილის 11-23 აქტი, დ. ქ-ა ცნობილ იქნა თბილისში, ... მოედნის გადასასვლელში მდებარე ლიტ «ა» შენობიდან 700 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტს დაევალი დ. ქ-ას საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 ივლისის განჩინებით ჯ. ც-ის განცხადება დაკმაყოფილდა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი.

2004 წლის 23 ივლისს ზემომითითებულ ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩართულმა ჯ. ც-მა იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა, რომლითაც მოითხოვა: 1999 წლის 17 მარტს დ. ქ-ასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, თბილისში, ... მოედნის გადასასვლელში მდებარე ლიტ «ა» შენობიდან 700 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა და აღნიშნული ფართიდან დ. ქ-ას თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლება. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოპასუხედ დაასახელა დ. ქ-ა, ხოლო მესამე პირად – თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტი.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად ჯ. ც-ი შემდეგ გარემოებებზე მიუთითებდა:

1998 წლის 21 აგვისტოს გაცემული 123/716 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობით ჯ. ც-ს საკუთრებაში გადაეცა თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ... მოედნის მიწისქვეშა გასასვლელში განთავსებული შენობა-ნაგებობის მარცხენა ნაწილის 700 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი.

ზემოაღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში აღირიცხა ჯ. ც-ის საკუთრებად.

1999 წლის მარტში ჯ. ც-ი სიტყვიერად შეუთანხმდა დ. ქ-ას სადავო ფართის მიყიდვაზე, რადგან არ ჰქონდა საკუთარი სახსრები ავარიული ფართის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, რაც ფართის შექმნისას საინვესტიციო პრობას წარმოადგენდა.

შეთანხმების თანახმად, ნასყიდობის საგნის ფასი 70 000 აშშ დოლარად განისაზღვრა, საიდანაც 6 000 აშშ დოლარი «ბეს» სახით უნდა გადახდილიყო, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდა ეტაპობრივად ერთი წლის განმავლობაში განხორციელდებოდა.

მოდვე მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა 1999 წლის 17 მარტს, რომელიც დამოწმდა ნოტარიუს მ. ფ-ას მიერ. ნოტარიუსის განმარტებით, ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა მხოლოდ მოპასუხის მიერ თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში. მოსარჩელის მტკიცებით, მან ხელშეკრულების გაფორმებისას ნასყიდობის ფასიდან მხოლოდ 6000 აშშ დოლარი მიიღო.

რამდენადაც დ. ქ-ამ თანხის დაფარვის პრობა არ შეასრულა, მოსარჩელემ ხელშეკრულების გაფორმებიდან წელიწადნახევარში, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით მიმართა ნოტარიუს მ. ფ-ას, რა დროსაც შეიტყო ნოტარიუსის მიერ დ. ქ-ასათვის ნასყიდობის ხელშეკრულებების ეგზემპლარების გადაცემის და ხელშეკრულებაში არსებული სხვა სიყალბეების შესახებ, კერძოდ, მასში არ იყო აღნიშნული 6000 აშშ დოლარის «ბეს» სახით გადაცემის, «პლუს 3120 აშშ დოლარის» მიწერის, აგრეთვე, ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის ფასის 40 000 აშშ დოლარით განსაზღვრის შესახებ. 2000 წლის 3 ოქტომბერს ნოტარიუსმა მ. ფ-ამ წერილობით მიმართა ტექნიკენტარიზაციის ბიუროს, არ გაეცა ამონაწერები და ცნობა-დახასიათება ფართის გასხვისების მიზნით მხარეთა მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საინვესტიციო პირობის შეუსრულებლობის გამო ქონების მართვის დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა ჯ. ც-ის მიმართ ფართის ჩამორთმევის მოთხოვნით, სადაც ქონების მართვის დეპარტამენტის მხარეს მესამე პირად ჩაება დ. ქ-ა. აღნიშნული დავა 2004 წლის 13 თებერვალს ჯ. ც-ის სასარგებლოდ გადაწყდა.

იმავდროულად, დ. ქ-ამ სადავო ფართის მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნით განცხადებით მიმართა თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტს, რომელმაც 2003 წლის 7 აპრილის წერილით განმცხადებლის აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. 2003 წლის 10 აპრილს დ. ქ-ამ მიწის მართვის დეპარტამენტის მითითებული უარი სასამართლოში გაასაჩივრა. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიერ 2002 წლის 7 აპრილს გაცემული აქტი დ. ქ-ასათვის თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში არსებული 700 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, დ. ქ-ა ცნობილ იქნა თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტერ «ა» შენობიდან 700 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობის მესაკუთრედ. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან 9 თვეში გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც განხორციელდა სადავო ფართიდან ჯ. ც-ის გამოსახლება. მოსარჩელის მტკიცებით, სწორედ ამ დროს გახდა მისთვის ცნობილი 2003 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების შესახებ, რა დროიდანაც აღნიშნული გადაწყვეტილება შესაბამისი წესით გაასაჩივრა.

მოსარჩელე დ. ქ-ას მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის გადაუხდელობას ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების არაჯეროვან და არაკეთილსინდისიერ შესრულებად აფასებდა, რის შესაბამისადაც მოპასუხესთან დადებულ ხელშეკრულებას ასაჩივრებდა.

2005 წლის 1 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ დაზუსტებულ შეგებებულ სარჩელში ჯ. ც-ის მოთხოვნას წარმოადგენდა: 1999 წლის 17 მარტს დ. ქ-ასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თბილისში, ... მოედნის გადასასვლელში მდებარე ლიტ «ა» შენობიდან 700 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის აღდგენა და აღნიშნული ფართიდან დ. ქ-ას თანხლებ პირებთან ერთად გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 ივნისის განჩინებით ჯ. ც-ის შეგებებული სარჩელი მოპასუხე დ. ქ-ასა და მესამე პირის – თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, სამართლებრივი რეგისტრაციისა და ფართიდან გამოსახლების შესახებ ცალკე წარმოებდა გამოიყო და განსახილველად გადაეცა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამავე სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის – ჯ. ც-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, მესაკუთრედ აღიარებისა და ქმედების განხორციელების მოთხოვნით წარმოებული ადმინისტრაციული საქმის განხილვა შეჩერდა ზემომითითებულ სამოქალაქო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ჯ. ც-ის წარმომადგენელმა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი კვლავ დააზუსტა, კერძოდ, დ. ქ-ას მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოითხოვა არა ხელშეკრულების ბათილობა, არამედ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლის შესაბამისად.

მოპასუხე დ. ქ-ამ (წარმომადგენელი ხ. გ-ი) სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად მიიჩნია. ამასთან, იგი საქმის არსებითი განხილვის დროს სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლას არ დაეთანხმა. მოპასუხის მოსაზრებით, ნოტარიუს მ. ფ-ას მიმართ ჯ. ც-ის სარჩელით აღძრულ საქმეზე წარმოების შეწყვეტა (მოსარჩელის მიერ სარჩელის უარის თქმის გამო) დ. ქ-ას მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ასაბუთებდა. ამასვე მოწმობდა ნოტარიუსის 2003 წლის 21 იანვრის წერილიც ტექნიუროსა და მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ. ამდენად, ხელშეკრულების ბათილობის ან მასზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობდა. ამასთან, ორივე შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდის წესისა და ვადის შესახებ პირობები განსაზღვრული და შეთანხმებული არ ყოფილა, შესაბამისად, მოპასუხის მიერ ფულადი თანხის გადაუხდელობა სასამართლომ ვალდებულების შეუსრულებლობად და ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლად არ ჩათვალა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჯ. ც-ის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ც-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტი-

ლება, ჯ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნოტარიუს მ. ფ-ას მიერ 1999 წლის 17 მარტს თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტ «ა»-სავაჭრო-სასარგებლო ფართიდან (2635 კვ.მ) 700 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე ჯ. ც-სა და დ. ქ-ას შორის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მითითებული ფართი საჯარო რეესტრში აღირიცხა ჯ. ც-ის საკუთრებად; თბილისში, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტ «ა» სავაჭრო-სასარგებლო ფართიდან (2635 კვ.მ) 700 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართი გამოთხოვილ იქნა დ. ქ-ას მფლობელობიდან.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ, მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ქ-ამ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

2009 წლის 6 აპრილს დ. ქ-ას წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა საქმის წარმოების განახლებას საფუძვლად დაუდო ხელწერილები, რომლითაც დასტურდებოდა ჯ. ც-ისათვის და მისი კრედიტორებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი თანხის გადახდის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით დ. ქ-ას განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ჯ. ც-ის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, აპელანტ ჯ. ც-ის გარდაცვალების გამო, ამავე სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით მის უფლებამონაცლედ ცნობილ იქნა გ. ლ-ა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინებით ჯ. ც-ის უფლებამონაცვლე გ. ლ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის დადასტურება, ხოლო მოპასუხის მტკიცების ტვირთს კი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – თანხის გადახდის შესრულების დადასტურება. ამდენად, მტკიცების ტვირთიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებული იყო, წარმოედგინა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც მან განახორციელა, კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებებით – ხელწერილებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დ. ქ-ამ ჯ. ც-სა და მის კრედიტორებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი თანხა გადაუხადა.

აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება მასზე, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ვერ ექნებოდა მნიშვნელობა მოცემული საქმისათვის, ვინაიდან, საქმის არსებითად განხილვის დროს მოპასუხე უთითებდა, რომ მან ვალდებულება შეასრულა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებით კი ირკვეოდა, რომ ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული დროის შემდგომ. აღნიშნული სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რაკი საქმის არსებითად განხილვის დროს სადავო არ გამხდარა ვალდებულების ჯეროვნად, ვადაში შესრულება, არამედ სარჩელში სადავო იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, შესაბამისად, სასამართლოს არ გამოუკვლევიდა ვალდებულების ვადაში შესრულების ფაქტი. ამდენად, დავის საგნიდან გამომდინარე, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურება და არა ამ ვალდებულების ვადაში შესრულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოდგენილი ხელწერილების თანახმად, ჯ. ც-მა ე. კ-ისაგან 10 000 აშშ დოლარი ისესხა 2004 წლის 11 მარტს, რომელიც უნდა დაებრუნებინა 2005 წლის 11 მარტამდე, მაშინ, როდესაც 2002 წლის 28 დეკემბრის ხელწერილით დგინდებოდა, რომ ე. კ-მა რ. ქ-ასაგან მიიღო 10 000 აშშ დოლარი, რომელიც სესხის სახით 1999 წელს ჯ. ც-ს გადასცა.

აღნიშნული წერილებით დადგენილად იქნა მიჩნეული, ასევე, რომ ჯ. ც-მა ე. კ-ისაგან სესხი აიღო როგორც 2004 წელს, ასევე 1999 წელს. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2004 წლის 11 მარტით დათარიღებული წერილით გაბათილდებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი 2002 წლის 28 დეკემბრის ხელწერილში მითითებული გარემოება – ე. კ-ის მიერ ჯ. ც-ის ვალის რ. ქ-ასაგან მიღების ფაქტი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა საქმეზე ვერ წარმოდგინა ზემოაღნიშნული ხელწერილებით სადავო თანხის გადახდის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებს შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ხელწერილების სახით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივ, კონსენსუალურ და სასყიდლიან ხელშეკრულებას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ არის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადა, სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს მისი შესრულება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ ყოფილა, რაც ცხადყოფდა, რომ ვალდებულება უნდა შესრულებულიყო კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე.

საქმეზე წარმოდგენილი ჯ. ც-ის განცხადებით, ნოტარიუს მ. ფ-ას მიმართ სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობა გარკვეული იყო.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ, როგორც გამყიდველმა, გასაყიდ ქონებაზე საკუთრების უფლება გადასცა მოპასუხეს, როგორც მყიდველს, გასაყიდი ქონების ფასის (40 000 აშშ დოლარის) ნაწილის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა შორის ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდის წესისა და ვადის შესახებ პირობები განსაზღვრული და შეთანხმებული არ ყოფილა, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 352.1-ე და 405.1-ე მუხლებზე მითითებით ჩათვალა, რომ მოპასუხის მიერ ფულადი თანხის გადახდა დადასტურებულ იქნა საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილებით, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულებები აპელანტს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოკლებული იყო როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამყიდველის გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მას მერე, რაც გამყიდველის მიერ გამოხატულია საკუთრების უფლების გადაცემის ნება და უფრო მეტიც საკუთრების უფლების გადაცემა დარეგისტრირებულია სათანადო წესით, არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია უსაფუძველოდ მოსარჩელის მოთხოვნები საჯარო რეესტრში საკუთრების აღდგენისა და გამოსახლების ნაწილში.

ამდენად, სააპელაციო პალატის აზრით, ვინაიდან დ. ქ-ას მიერ ვალდებულება სრულად იქნა შესრულებული, არ არსებობდა ჯ. ც-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც ჯ. ც-ის უფლებამონაცვლე გ. ლ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ჯ. ც-ის უფლებამონაცვლე გ. ლ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ აპელანტმა ვერ შეძლო, წარმოედგინა ხელწერილებით სადავო თანხის გადახდის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები, ვინაიდან სასამართლომ დაარღვია რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები, არ დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა სადავო მტკიცებულებები შემოწმების მიზნით, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი და ასევე ამავე კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იყო. მით უფრო, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას (ადმინისტრაციული წესით), ჯ. ც-ის ხელმოწერა ერთხელ უკვე გაყალბდა, რაც დადგინდა ექსპერტიზით და, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ექსპერტიზა უნდა დაენიშნა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ ე. კ-ის ხელმოწერებით თითქოსდა დგინდებოდა, რომ ჯ. ც-მა მისგან სესხი აიღო 2004 და 1999 წლებში და, შესაბამისად, 2004 წლის 11 მარტით დათარიღებული წერილით ვერ გაბათილდებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი 2002 წლის 28 დეკემბრის ხელწერილში მითითებული გარემოება – ე. კ-ის მიერ ჯ. ც-ის ვალის რ. ქ-ასგან მიღების ფაქტი, ვინაიდან, კასატორის განმარტებით, საქმეში არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელსაც სასამართლოს ეს დასკვნა დაემყარებოდა, შესაბამისად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ, სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის თანახმად, არ დაადგინა ჯ. ც-ს ჰქონდა თუ არა ო. ყ-ის ვალი და მან გადააკისრა თუ არა დ. ქ-ას ო. ყ-ისათვის რაიმე სახის ვალის გადახდა ჯ. ც-ის ნაცვლად. მათი დადგენის გარეშე კი, შეუძლებელი იყო საქმეში წარმოდგენილი ხელწერილების განხილვა.

კასატორის აზრით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ვინაიდან დ. ქ-ა ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელად ვერ შეიძლება განხილულიყო ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ც-ის უფლებამონაცვლე გ. ლ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ, როგორც გამყიდველმა, გასაყიდ ქონებაზე საკუთრების უფლება გადასცა მოპასუხეს, როგორც მყიდველს, გასაყიდი ქონების ფასის (40 000 აშშ დოლარი) ნაწილის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა შორის ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდის წესისა და ვადის შესახებ პირობები განსაზღვრული და შეთანხმებული არ ყოფილა, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხის მიერ თანხის გადახდა დადასტურებულ იქნა საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილებით, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულებები აპელანტს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოკლებული იყო როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია საქმეში წარმოდგენილი ხელწერილები, კერძოდ, 2002 წლის 27 დეკემბრის ხელწერილების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ც-მა მიიღო 7000 აშშ დოლარი დ. ქ-ასაგან (ნდობით აღჭურვილი პირის რ. ქ-ასაგან) მიწისქვეშა გადასასვლელის ღირებულების ნაწილი. ამავე ხელწერილებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 30.11.2002 წლის მდგომარეობით ჯ. ც-ს მიღებული ჰქონდა 16370 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 27 დეკემბრის ხელწერილის თანახმად, ჯ. ც-მა მიიღო 23359 აშშ დოლარი დ. ქ-ასაგან (ნდობით აღჭურვილი პირის რ. ქ-ასაგან), მათ შორის ნოტარიუს ფ-ას მიერ დამოწმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული თანხა 9120 აშშ დოლარი, ... მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული 700 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის ღირებულების ნაწილი.

2003 წლის 13 მარტის ხელწერილით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ც-ის მიერ დადასტურებულია რ. ქ-ასაგან 15 თებერვალს 3000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ 2002 წლის 28 დეკემბრის ხელწერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ე. კ-მა რ. ქ-ასაგან მიიღო 10000 აშშ დოლარი, რომელიც სესხის სახით მიცემული ჰქონდა ჯ. ც-ისათვის 1999 წელს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებულ კანონიერების საკითხს. კერძოდ, კასატორის განმარტებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ აპელანტმა ვერ შეძლო, წარმოედგინა ხელწერილებით სადავო თანხის გადახდის გამაქარწყლებელი მტკიცებულებები, ვინაიდან სასამართლომ დაარღვია რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები, არ დანიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა სადავო მტკიცებულებების შემოწმების მიზნით, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი და ასევე ამავე კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იყო. მით უფრო, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას (ადმინისტრაციული წესით), ჯ. ც-ის ხელმოწერა ერთხელ უკვე გაყალბდა, რაც დადგინდა ექსპერტიზით და, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს ექსპერტიზა უნდა დაენიშნა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად წარდგენილ წერილობითი მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ხელწერილები საფუძვლად დაედო საქმის წარმოების განახლებას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ჯ. ც-ი სადავოდ ხდიდა ამ ხელწერილების კანონიერების საკითხს ჯერ კიდევ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის ეტაპზე (რაც ასევე მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში). კერძოდ, 2009 წლის 4 ივნისის სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად ჯ. ც-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ: «...ჩემი მარწმუნებელი უარყოფს ამ ხელწერილებზე ხელმოწერის ფაქტს».

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წერილობითი საბუთის ნამდვილობის ვარაუდი (პრეზუმფცია) გაქარწყლდება მოწინააღმდეგე მხარის უბრალო უარყოფის საფუძველზე, ანუ განცხადების მისი სიყალბის თაობაზე. აღნიშნული უარყოფის შემთხვევაში სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია, გამოიკვლიოს ამ საბუთის კანონიერების ფაქტი და ამ საკითხის გარკვევაში იგი არ არის შეზღუდული მხარეთა მითითებებითა და შუამდგომლობებით. შეჯიბრებითობის პრინციპი (სსსკ-ის მე-4 მუხლი) არანაირად არ გამორიცხავს მოსამართლისგაქტიურობის როლს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ შეჯიბრებითობის მართვისათვის. ამის ნათელი მაგალითია კანონის დანაწესი, რომლის თანახმად მოსამართლეს თავისი ინიციატივით შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, როდესაც მხარეთა შორის დავას იწვევს წერილობითი საბუთის ნამდვილობა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევია, რომ სადავო ხელწერილები განხილვის საგანს წარმოადგენდნენ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების სტადიაზე, რომელზედაც მხარე სადავოდ ხდიდა მათი ნამდვილობას.

მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ, მაგალითად, კონკრეტული წერილობითი საბუთის საფუძველზე საქმის წარმოების განახლება არ ნიშნავს, რომ ამ საბუთის გამოკვლევა აღარ ხორციელდება საქმის არსებითი განხილვის დროს. პირიქით, საქმის არსებითი განხილვის დროს ამ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესწავლა-გამოკვლევა ხორციელდება საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების დაცვით, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დანიშნოს ექსპერტიზა და გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი სადავო ხელწერილების კანონიერების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. ც-ის უფლებამონაცვლე გ. ლ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

განჩინება

1ას-811-760-2010

13 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: არბიტრაჟის გადაწყვეტილებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ქუთაისის მერიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «თ-ს», შპს «პ-სა» და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. ქუთაისში, ... ქ. 127-ში მდებარე 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს «პ-ს» სახელზე აღრიცხვის თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებისა და მითითებული ქონების მესაკუთრედ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღრიცხვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1996 წლის 9 თებერვალს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოსა და მუნიციპალურ საწარმო «პ-ს» შორის გაფორმდა ქ. ქუთაისში, ... ქ. 127-ში მდებარე სანაყინე პავილიონის ნასყიდობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მარტის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს «პ», რომელსაც გადაეცა მუნიციპალური საწარმო «პ-ს» საკუთრებაში არსებული ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე 8,8 კვ.მ ქონება.

შპს «პ-მ» განცხადებით მიმართა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «თ-ს» საზოგადოების საკუთრებად ქ. ქუთაისში, ... ქ. 127-ში მდებარე 70 კვ.მ-ის აღრიცხვის შესახებ.

ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «თ-ს» დირექტორმა გ. ფ-შვილმა უკანონოდ მიიღო, განიხილა და დააკმაყოფილა შპს «პ-ს» განცხადება, რითაც დაარღვია «არბიტრაჟის შესახებ» კანონის პირველი და მეორე მუხლები, ასევე «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მოთხოვნები.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც შპს «პ-ს» დირექტორმა და პარტნიორმა ა. კ-შვილმა და შ. უ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ქ. ქუთაისის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «თ-ს» 2008 წლის 27 დეკემბრის 1/247 გადაწყვეტილება, ასევე შპს «პ-სა» და შ. უ-ძეს შორის 2008 წლის 18 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნაწილობრივ, ხოლო ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2007 წლის 29 იანვარს განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი გაუქმდა, სადავო უძრავი ქონება 61,2 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღრიცხა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, დანარჩენი 8,8 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობაზე კი მოსარჩელეს უარი ეთქვა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 1996 წლის 9 თებერვალს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოსა და მუნიციპალური საწარმო „პ-ს“ შორის გაფორმდა 1993 ხელშეკრულება და 1995 წლის 29 დეკემბერს ჩატარებული აუქციონის შედეგად გამარჯვებულ მუნიციპალურ საწარმო „პ-ს“ 7093,39 აშშ დოლარად მიეყიდა ქ. ქუთაისში, ... ქ. 125-ში (ახლანდელი ... ქ. 127) მდებარე სანაყინე პავილიონი თავისი დანადგარებით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 29 მარტის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „პ“ მისამართზე – ქ. ქუთაისი, ... ქ. 127, რეგისტრაციის ნომერი 1214-103.

1997 წლის 30 ოქტომბერს ქუთაისის ქონების მართვის სამმართველომ გასცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა 1481341-ა, რომ შპს „პ-ს“ საკუთრებაში გადაეცა ყოფილი მუნიციპალური საწარმო „პ-ს“ ქონება, მათ შორის, 8,8 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

შპს „პ-ს“ დირექტორმა ა. კ-შვილმა მიმართა კერძო არბიტრაჟს მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით, მაშინ როცა მხარეებს შორის არც დავა და არც შეთანხმება მის განხილვაზე არ არსებობდა. არბიტრაჟმა მიიღო გადაწყვეტილება და მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, სადაც დაფიქსირებული იყო მხოლოდ ერთ მხარე.

არბიტრაჟმა განიხილა საქმე, რაც, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად, მის კომპეტენციაში არ შედიოდა და უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო წესით.

აღნიშნულთან დაკავშირებით არბიტრ გ. ფ-შვილის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით გ. ფ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ. მითითებულ საქმესთან დაკავშირებით არაერთი მასალა დაიბეჭდა პრესაში, გადაიკა ტელევიზიით და საზოგადოებისათვის საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ გ. ფ-შვილმა გადაწყვეტილება მიიღო კანონდარღვევით.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მიწის ნაკვეთი, რომლის საკუთრებაში აღიარებისთვისაც შპს „პ-მ“ მიმართა არბიტრაჟს, ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კერძოდ, ქუთაისის მერიას და მისი კერძო პირებისათვის, მით უფრო, არბიტრაჟის მიერ გადაცემა არ შეიძლებოდა.

მუდმივმოქმედმა კერძო არბიტრაჟმა „თ-მ“ დაარღვია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი ნაწილი, რადგან მხარეთა შორის დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის შეთანხმება არ არსებობდა.

სადავო 70 კვ.მ-ში შემავალი 8,8 კვ.მ საჯარო რეესტრში შპს „პ-ს“ სახელზე ირიცხებოდა საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე ჯერ კიდევ 1997 წლიდან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს „პ-ს“ 70 კვ.მ მიწის ფართიდან 61,2 კვ.მ საკუთრებაში აღრიცხული უნებართვოდ ჰქონდა, ხოლო 8,8 კვ.მ სადავო არ არის. შესაბამისად, სასამართლომ ბათილად ჩათვალა გარიგება, რომლითაც შპს „პ-მ“ 61,2 კვ.მ გაასხვისა და რეესტრის ჩანაწერიც, რომლითაც ამ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შ. უ-მე მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ ჩათვალა, რომ ქუთაისის მერიის სარჩელი 61,2 კვ.მ-ს მესაკუთრედ აღიარების ნაწილში საფუძვლიანია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, მერიის საკუთრებას განსაზღვრავს საჯარო კანონმდებლობა. 61,2 კვ.მ მიწის ნაკვეთი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთა კატეგორიას განეკუთვნება, რაც, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის 47-ე მუხლის „ა“ პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად ითვლება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 187-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ შ. უ-მე ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მყიდველად, რადგან მისთვის პრესითა თუ ტელევიზიით ცნობილი იყო, რომ შპს „პ-ს“ მესაკუთრედ აღიარება სადავო მიწის ფართის ნაწილზე – 61,2 კვ.მ-ზე არ იყო კანონიერი და ამ საქმესთან დაკავშირებით არბიტრ გ. ფ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენიც კი დადგა, რომლითაც ის ცნობილ იქნა დამნაშავედ. ამდენად, მას უნდა სცოდნოდა, რომ მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ სადავო იყო და რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე არ იყო უძრავი ნივთის კანონიერი მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 61,2 კვ.მ-ზე სადავო გარიგებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის ნაწილში შ. უ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია და რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებას არ ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ კასატორისათვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო შპს „პ-ს“ მიერ სადავო მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების უკანონოდ აღრიცხვის შესახებ. მოსარჩელე მხარეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ დაუდასტურებია პრესის ან ტელევიზიის მეშვეობით არბიტრაჟის მიერ შპს „პ-ს“ საქმის განხილვის გაშუქების ფაქტი. ამასთან, იმ ოც საქმეთა შორის, რომელთა გამოც არბიტრი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში იქნა მიცემული და დამნაშავედ იქნა ცნობილი, შპს „პ-ს“ საქმე საერთოდ არ ფიგურირებს.

სააპელაციო პალატამ კასატორის მიერ სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შეძენის საკითხზე მსჯელობისას არასწორად მიუთითა, რომ შ. უ-მეს უნდა სცოდნოდა ზემოხსენებული გარემოებები, რა დროსაც სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემულ რეკომენდაციებში მოცემული 185-ე მუხლი საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ მოქმედი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას აუქმებს მხოლოდ მაშინ, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. რაც შეეხება ტერმინს „უნდა სცოდნოდა“, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელ ნაწილშია და შესულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის განყოფილებაში, მას უძრავი ნივთების შეძენასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს ხსენებული დოქტრინა არ მიმოიხილავს. შესაბამისად, სააპელაციო პალატას განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის ტერმინი („უნდა სცოდნოდა“) არ უნდა გამოეყენებინა.

სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ «კერძო არბიტრაჟის შესახებ» კანონის პირველი მუხლი არბიტრაჟს არ უკრძალავს კერძო სახის, მათ შორის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ კანონის საფუძველზე წარმოშობილი დავების განხილვას.

სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით კერძო არბიტრაჟს მიმართა შპს „პ-ს“ დირექტორმა ა. კ-შვილმა. ფაქტობრივად კერძო არბიტრაჟს მიმართა შპს-ს იმდროინდელმა დირექტორმა თ. ჟ-იანმა. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი მთლიანად იმ გარემოებაზე იყო აგებული, რომ მას, როგორც შპს-ს ერთ-ერთ პარტნიორს, ისე ჰქონდა შეძენილი საწარმოს წილი, რომ ვერც კი წარმოიდგენდა, თუ სადავო ქონება უკანონოდ იყო დაკანონებული. სასამართლოს შეცდომა იმითაც არის გამოწვეული, რომ მან საერთოდ არ იმსჯელა კეთილსინდისიერი შემძენის საკითხზე, რასაც ა. კ-შვილი საკუთარი თავის მიმართ მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ ა. კ-შვილის კეთილსინდისიერ შემძენად აღიარება გამოიწვევდა უ-მის, როგორც კეთილსინდისიერი მყიდველის საკითხის გადაწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს შეფასების თაობაზე, რომლითაც შ. უ-მე მიჩნეულია არაკეთილსინდისიერ შემძენად. სასამართლო ასეთი შეფასების გაკეთებისას აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ ამ პირისათვის პრესითა და ტელევიზიის მეშვეობით ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ შპს «პ-ს» მესაკუთრედ აღიარება სადავო მიწის ნაკვეთზე არ იყო კანონიერი და ამ საქმესთან დაკავშირებით არბიტრის მიმართ განაჩენიც კი იყო დამდგარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული. გამომდინარე ზემოთ მითითებული ნორმიდან, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და მათი შეფასებით დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებანი.

სასამართლოს მიერ ყველა ფაქტობრივი გარემოება დგინდება მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებებიდან. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მითითებული ფაქტები განსხვავებით ამავე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებისაგან საერთოდ არ საჭიროებენ არანაირი დოკუმენტის თუ მტკიცებულების წარდგენას გარკვეული გარემოების დასადაგენად. ტერმინი «საყოველთაოდ» წარმოდგარია სიტყვისაგან «ყველა», რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანისათვის, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მაინც უნდა იყოს ცნობილი ესა თუ ის ფაქტი, საყოველთაოდ ცნობილად რომ მივიჩნით. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების მიმდინარეობა. მითითებული გარემოება ცნობილია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და შეუძლებელია, მისი არსებობა ვინმემ გახადოს სადავოდ ან ასეთი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობამ ასეთი ფაქტის დაუდგენლობა განაპირობოს.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მითითებული ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად მიჩნევისათვის უკიდურეს შემთხვევაში არბიტრის პიროვნება მაინც უნდა იყოს ისეთი ცნობილი და პოპულარული, რომ მოსახლეობის ყველა ფენისათვის წარმოადგენდეს ცნობად სახეს და მისი ცხოვრება იწვევდეს საყოველთაო ინტერესს. შესაძლებელია, მისი დაკავება იყოს ისეთი მნიშვნელოვანი მისი არაორდინალურობის ან სხვა გარემოებათა გამო, რომ მან მთელს მოსახლეობაში გამოიწვიოს ცალსახა ინტერესი. საქართველოს სინამდვილეში არბიტრის დაკავება არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ გარემოებად, რომ მას საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ეწოდოს და მხარის მიერ ყოველგვარი მტკიცებულების წარდგენის გარეშე ცალსახად დადგენილ ფაქტად მივიჩნიოთ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სააპელაციო პალატას, შ. უ-მის არაკეთილსინდისიერ შემძენად მისაჩვენად, უნდა მიეთითებინა მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებდა ამ გარემოებას. სააპელაციო სასამართლო კი არ უთითებს, თუ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გააკეთა ასეთი დასკვნა. სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში და შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, სინამდვილეში ჰქონდა თუ არა ადგილი ამ გარემოებას. არც ისაა გამოკვლეული, თუ რა სახის იყო ტელევიზიით ან პრესით გადაცემული ინფორმაცია (თუ მართლაც გავრცელდა იგი) და იყო თუ არა საუბარი მასში სადავო მიწის ნაკვეთზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას იმის თაობაზეც, იქნებოდა თუ არა საკმარისი მხოლოდ ტელევიზიით ან პრესით ამ ინფორმაციის გადაცემა შემძენის არაკეთილსინდისიერად მისაჩვენად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ამ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს შემძენის კეთილსინდისიერებაზე და დაადგინოს ფაქტი იმის შესახებ, იცოდა თუ არა შ. უ-მემ, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. აღნიშნულის დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შ. უ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება შპს «პ-სა» და შ. უ-მეს შორის 2008 წლის 29 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციოს სამსახურ-

რის ჩანაწერით ქ.ქუთაისში, ... ქ'27-ში მდებარე 61.2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადასვლის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ექსპერტის დასკვნა

განჩინება

1ას-336-320-2011

26 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. შ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ზ-ის მიმართ და მოითხოვა მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ'22-ში, საზიარო უფლების გაუქმება, უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია, ამონაგები თანხების 2/3 ნაწილის ე. შ-ისათვის, ხოლო 1/3-ის მ. ზ-ისათვის გადაცემა შემდეგი გარემოებების გამო:

ქ.თბილისში, ქ'22-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით ეკუთვნის ე. შ-ეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სახელზე აღირიცხა დასახელებული უძრავი ქონების 1/3 ნაწილი.

საინჟინრო ექსპერტიზის 2008 წლის 23 ივნისის დასკვნის თანახმად, მხარეთა წილობრივი მონაცემების შესაბამისად, რეალური ფართების გამოყოფა შესაძლებელია საცხოვრებელ ოთახებს შორის მდებარე ტიხრების აღებით, კარების ახალი ღიობის გაჭრითა და სხვა რეკონსტრუქციების შედეგად. ამავე დასკვნის მიხედვით, წილის გამოყოფის მიუხედავად, მხარეთა საერთო სარგებლობაში რჩება გარკვეული ფართი, ნახევარსარდაფის სართულზე მდებარე სათავსებიდან ე. შ-ეს შეიძლება გამოეყოს იდეალური წილი, მიკუთვნებულ ფართთან შედარებით მეტი, ხოლო მ. ზ-ს – ნაკლები. ექსპერტის დასკვნით, საეზოვე ნაკვეთის მხარეთათვის გაყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, 964-ე მუხლის 1-ელ ნაწილსა და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები სინამდვილეს არ შეესაბამება, ხოლო წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა მიკერძოებითაა შედგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით ე. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ.თბილისში, ... ქ'22-ში მდებარე ე. შ-ისა და მ. ზ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხის 2/3 მიეკუთვნა მოსარჩელეს, ხოლო 1/3 – მოპასუხეს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

აღნიშნული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ქ.თბილისში, ... ქ'22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილი აღრიცხული იყო მოსარჩელე ე. შ-ის სახელზე, ხოლო 1/3 ნაწილის მესაკუთრე იყო მოპასუხე მ. ზ-ი. ამასთან, ქ.თბილისში, ... ქ'22-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან შესაბამისი რეალური წილების გამოყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო, რაც დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 23 ივნისის შედგენილი საქსპერტო დასკვნით.

სააპელაციო სასამართლომ, მოპასუხე მ. ზ-ის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სადაც იგი ითხოვდა სასამართლოს დაენიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, განმარტა შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეს შეუძლია, სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება და სასამართლოში წარადგინოს საექსპერტო დასკვნა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. აპელანტმა (მოპასუხემ) საექსპერტო დასკვნა საქალაქო სასამართლოში წარადგინა მხოლოდ 2009 წლის 8 იანვარს მთავარ სხდომაზე, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმა. სასამართლოს მოსაზრებით, მ. ზ-ს შესაძლებლობა ჰქონდა, 2008 წლის 25 ნოემბრის მოსამზადებელ სხდომაზე დაეყენებინა შუამდგომლობა, რომ იგი ვერ ასწრებს საექსპერტო დასკვნის წარდგენას, რომლითაც, თავის მხრივ გააქარწყლებდა მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ საექსპერტო დასკვნას. ასეთივე შესაძლებლობა მას ჰქონდა, 2008 წლის 10 დეკემბერს, როდესაც ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო საქმის მომზადება მთავარი სხდომისათვის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელატის მითითება, რომ სექტემბერ-ოქტომბრის თვეში მან მიმართა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, მაგრამ იმის გამო, რომ ექსპერტები დაკავებული იყვნენ ლტოლვილი პირების საცხოვრებელი სახლების აზომვებით, უარი უთხრეს ექსპერტიზის ჩატარებაზე. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2008 წლის 30 დეკემბრის 120/01-327 ბრძანების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ ლტოლვილი პირების საცხოვრებელი სახლების აზომვითი საქმიანობით ექსპერტები დაკავებული იყვნენ 2008 წლის 30 დეკემბრის შემდეგ. სასამართლოს განმარტებით, 2009 წლის 11 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ საქმე მომზადებულად ჩათვალა და დანიშნა მთავარი სხდომა. ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მ. ზ-ის მიერ, საპატიო მიზეზის გარეშე, დაგვიანებით იქნა წარდგენილი საექსპერტო დასკვნა სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელატის არგუმენტი, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნა მიკერძოებულია, რადგანაც ექსპერტს უნდა ემსჯელა ასევე საინვენტარიზაციო გეგმაში აღნიშნულ უკანონო ნაგებობაზე. ასეთ შემთხვევაში ქ.თბილისში, ... ქ¹²²-ში მდებარე უძრავი ქონების გაყოფა შესაძლებელი იქნებოდა. პალატის შეხედულებით, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტს და მით უფრო პირველი ინსტანციის სასამართლოს, არ შეეძლო ემსჯელა დაუკანონებელი ფართის გამიჯვნაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სკასაციო წესით გასაჩივრა მ. ზ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინებისა და იმ საოქმოდ განჩინებების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობები შემდეგ საფუძველზე მითითებით:

2000 წლიდან კასატორი მეუღლესთან განქორწინებულია. ჰყავს ორი შვილი, რომელთა აღზრდა-რჩენაში მისი ყოფილი მეუღლე ი. გ-ე არ იღებს მონაწილეობას. დედამთილის გარდაცვალების შემდეგ ი. გ-ემ შეგნებულად უარი განაცხადა თავის კუთვნილ წილზე თავისი დის – ე. შ-ის სასარგებლოდ, რის გამოც ე. შ-ე გახდა ... ქ¹²²-ში მდებარე სახლის 2/3-ის მფლობელი. ე. შ-ე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს ქ.თბილისში, ... ქ¹²⁴-ში მდებარე კერძო სახლში. ი. გ-ემ 2008 წლის აგვისტოს თვეში თავისი დის – ე. შ-ის სახელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ... ქ¹²²-ში მდებარე სახლზე საზიარო უფლების გაუქმებისა და აუქციონზე გაყიდვის შესახებ. ი. გ-ემ სასამართლოში წარადგინა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ გ. ი-შვილის დასკვნა, რომლის თანახმადაც ეზოს გაყოფა, ტექნიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია მისი განაშენიანების გამო. ამ დასკვნაში ექსპერტი არ მსჯელობს უკანონო ნაგებობებზე, ხოლო 1/3 და 2/3 კუთვნილი წილების გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო გადაკეთებების შემდეგ. სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით მ. ზ-მა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა ახალი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა, რადგანაც მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას არ ეთანხმებოდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს შუამდგომლობა არ განუხილავს და არც მხარისათვის უკითხავს, მოითხოვდა თუ არა იგი შუამდგომლობის განხილვას. სასამართლომ, მიუხედავად ექსპერტის სასამართლო სხდომაზე დაბარებისა, არ დაკითხა იგი.

სასამართლომ მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საქმოქალაქო საქმის განხილვის პროცედურების დარღვევით, რის შედეგადაც საქმეზე გამოტანილ იქნა არასწორი გადაწყვეტილება. სარჩელის აღძვრის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, კასატორს გაეგზავნა სარჩელი და განესაზღვრა ვადა შესაგებლის წარდგენისათვის, რაც მ. ზ-მა დადგენილ ვადაში შეასრულა, ამასთან, შუამდგომლობა დააყენა წერილობით, რომლითაც მოითხოვდა საინჟინრო ექსპერტიზის დანიშვნას. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის საფუძველზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა ორჯერ, სადაც მოპასუხე დამატებით შუამდგომლობდა ექსპერტ გ. ი-შვილის პროცესზე დაკითხვისა და ადგილზე დათვალიერების ჩატარების თაობაზე, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. კასატორის განმარტებით, ამ მუხლის თანახმად, მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის მიზანია სასამართლო განხილვისთვის საქმის სათანადოდ მომზადება, სადაც საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული საქმის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორცაა, მხარეების მიერ მტკიცებულე-

ბების გამოთხოვა, ექსპერტიზის დანიშვნა, სპეციალისტის მოწვევა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მ. ზ-მა დროულად იშუამდგომლა საინჟინრო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, სასამართლოს აღნიშნული შუამდგომლობა არ შეუფასებია, ხოლო მთავარ სხდომაზე კასატორმა იშუამდგომლა დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე, რათა წარედგინა მისი ინიციატივით მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ მ. ზ-ს ჰქონდა დრო ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან ამ მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია, სასამართლოსაგან დამოუკიდებლად უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ არაა ვალდებული. აღნიშნული შუამდგომლობა მოპასუხეს შესაგებელში ჰქონდა დაყენებული, რისი განხილვის ვალდებულებაც სასამართლოს ეკისრებოდა. შუამდგომლობა სასამართლოს მიერ არ გამოქვეყნებულა და არ განხილულა არც ერთ სხდომაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეებზე შემუშავებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სასამართლო განჩინებით განსაზღვრავს ექსპერტის წინაშე დასასმელ კითხვებს და ასევე განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა გადაიხადოს თანხა. აღნიშნული პოზიცია იმას გულისხმობს, რომ ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში კი, ასეთი შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე დაყენებულია დროულად, საქმის მოსამზადებელ ეტაპზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული არ არის აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, რაც კანონის დარღვევაა, ამავე საფუძველიდან გამომდინარე, მ. ზ-ს არ მიეცა შესაძლებლობა, სასამართლოსათვის წარედგინა მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული იქნებოდა განსხვავებული გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნება ერთადერთ მტკიცებულებას – ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც არის მიკერძოებული, არ ასახავს რეალობას, არის არასრულყოფილი და არაობიექტური. ექსპერტის დასკვნის შემოწმება და შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი პირობაა. ექსპერტის დასკვნის უარყოფა ან მტკიცებულებად მიჩნევა არ შეიძლება, თუ იგი არ იქნება შემოწმებული და შეფასებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, რა დროსაც სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ექსპერტიზის ჩატარების დროს პროცესუალური ნორმების დაცვაზე, ექსპერტის ობიექტურობასა და კომპეტენტურობაზე, გამოკვლევის ობიექტურობაზე, დასკვნის დასაბუთებულობაზე და ექსპერტიზის დასკვნითი ნაწილის სრულყოფილებაზე. გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს, თუ რატომ ენიჭება ექსპერტის დასკვნას უპირატესობა სხვა მტკიცებულებათა შორის და პირიქით. მოცემულ საქმეზე ექსპერტ გ.ინაშვილის დასკვნა სასამართლოს მიერ ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების გარეშე მტკიცებულებად მიჩნეული. ექსპერტი თავის დასკვნაში უთითებს, რომ კვლევა მიმდინარეობს დამკვეთის (ე.შ.ის) მიერ წარდგენილი მასალების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა და საინვენტარიზაციო გეგმა), მოქმედი ტექნიკური ნორმებისა და სახლთმფლობელობის ადგილზე შესწავლის შედეგად მიღებული ურთიერთშედარების მეთოდით. კვლევით ნაწილში ექსპერტი არ მსჯელობს უნებართვო ნაგებობაზე და არც უთითებს, თუ რომელი ნორმატიული აქტითაა აკრძალული აღნიშნული. ასევე სასამართლოში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია, რომ ე. შ-ემ საკუთრება მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე. ამონაწერიდან ირკვევა, რომ მასზე აღრიცხულია, როგორც კანონიერი ისე უნებართვო ნაგებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნებართვო ნაგებობაც შესულია სამკვიდრო მასაში და სამოქალაქო ბრუნვის საგანს წარმოადგენს, შესაბამისად, მასზე ექსპერტსაც უნდა ემსჯელა, რის გამოც შემცირდა ე. შ-ის წილი. სადავო დასკვნით კასატორს მიეკუთვნა კუთვნილზე ნაკლები საცხოვრებელი და დამხმარე ფართები. აღნიშნული ფართების გამოყოფა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გარკვეული გადაკეთებების შედეგად, რაც, თავის მხრივ, სახლის ღირებულების შემცირებას გამოიწვევდა, ამავე დროს თითოეული მფლობელი თავის კუთვნილ ფართში მოსახვედრად ისარგებლებდა საერთო შესასვლელით. ეს საფუძველი გახდებოდა საზიარო უფლების გაუქმებისა.

სასამართლომ არ იმსჯელა, თუ ვის მიერ და რომელი აქტით არის აკრძალული უნებართვო ნაგებობაზე საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლოს მითითება, რომ ექსპერტი არ იმსჯელებდა უკანონო ნაგებობაზე, წარმოადგენს სამართლებრივ შეფასებას, რაც ცვილდება მის უფლებამოსილებას.

ექსპერტიზის დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ, ეზოს განაშენიანების გამო, ტექნიკური თვალსაზრისით გაყოფა შეუძლებელია. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ ეზოში ორი ხე, მწვანელი და რამდენიმე ბუჩქია, რის გამოც არასწორია სასამართლოს დასკვნა ამ გარემოების შეფასების ნაწილში. ექსპერტის დასკვნას თან არ ახლავს განაშენიანების გეგმა.

სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, ასევე არასრულად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიკვლია ექსპერტის მიერ უკანონო ნაგებობის ნაწილში კვლევის ჩატარებლობა.

კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია, ასევე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა მ. ზ-ის შუამდგომლობები საქმეზე მესამე პირად სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ჩართვისა და ექსპერტ გინაშვილის დაკითხვის, კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის, სამართლებრივად დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის მიღების თაობაზე.

უსწოროა სასამართლოს მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რადგანაც დასკვნის მოგვიანებით წარდგენა არასაპატიო გახდა არა მხარის, არამედ სასამართლოს მიზეზით. გარდა ამისა, მითითებული ნორმის მე-3 ნაწილი საპატიო მიზეზად სხვა ობიექტურ გარემოებებსაც ითვალისწინებს, კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა რაზედაც უნდა აშენებულიყო საცხოვრებელი სახლები, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო განიხილავდა მოპასუხის მიერ დროულად დაყენებულ შუამდგომლობას, პირველი ინსტანციის სასამართლო მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებას, რადგან მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, შესაძლებელია, როგორც კანონიერი, ისე უნებართვო ნაგებობის გამოიჯვანა 1/3 და 2/3 ნაწილებად, ასევე შესაძლებელია ეზოს გაყოფა ცალკე შესასვლელების მითითებით.

სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის გაყიდვის გზით დასასვებია იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა შეუძლებელია. არა მარტო მ. ზ-ის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, არამედ რეალურადაც სავსებით შესაძლებელია საცხოვრებელი ფართისა და ეზოს გაყოფა ნატურით. რადგან მიწის ნაკვეთის საერთო ფართი 489 კვ. მეტრია, საიდანაც ნაგებობას 115.21 კვ. მეტრი უკავია, ხოლო ეზოს – 373,79 კვ.მ, სადაც 3 ძირი ხეა დარგული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივნისის განჩინებით მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სამართლის ნორმები დარღვეულად, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ.თბილისში, ... ქ. 122-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილი აღრიცხულია მოსარჩელე ე. შ-ის სახელზე, ხოლო 1/3 ნაწილის მესაკუთრეა მოპასუხე მ. ზ-ი. მოსარჩელემ გამოიყენა რა მისთვის მატერიალური კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის გაყიდვის გზით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ.თბილისში, ... ქ. 122-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან შესაბამისი რეალური წილების გამოყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია. სასამართლოს მსჯელობა ემყარება მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 23 ივნისს შედგენილ საექსპერტო დასკვნას, რომლის მიხედვით, ქ.თბილისში, ... ქ. 122-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული განაშენიანების სპეციფიკურობის გათვალისწინებით ეზოს გაყოფა მხარეებზე ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია. დასკვნის შინაარსიდან ირკვევა, რომ ე. შ-ის 2/3 იდეალური წილის შესაბამისად სადავო სახლიდან რეალურად ფართის გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო გადაკეთების შემთხვევაში. იმავდროულად 13 სათავსოს ნაწილის გავლის გარეშე, მხარეები მათთვის გამოყოფილ ფართობებში ვერ მოხვდებიან და სათავსოს ეს ნაწილი უნდა დარჩეს მხარეთა საერთო სარგებლობაში.

კასატორის მოსაზრებით, საექსპერტო დასკვნაში ექსპერტი არ მსჯელობს უკანონო ნაგებობებზე. სასამართლოში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია, რომ ე. შ-ემ საკუთრება მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე. ამავე ამონაწერიდან ირკვევა, რომ მასზე აღრიცხულია, როგორც კანონიერი, ისე უნებართვო ნაგებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნებართვო ნაგებობაც შესულია სამკვიდრო მასაში და სამოქალაქო ბრუნვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, ექსპერტს მასზე უნდა ემსჯელა. კვლევით ნაწილში ექსპერტი არ მსჯელობს უნებართვო ნაგებობაზე და არ ასაბუთებს, თუ რომელი ნორმატიული აქ-

ტიდან გამომდინარეობს მისი ამგვარი პოზიცია. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტ გ. ი-შვილის დასკვნა სასამართლოს მიერ ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების გარეშე იქნა მტკიცებულე-ბად მიჩნეული, რითაც დაირღვა საპროცესო სამართლის ნორმები.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამო-აქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრე-ბები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხე მ. ზ-ი, როგორც პირ-ველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, ასევე საქმის შემდგომი განხილვისას, არაერ-თხელ მოითხოვდა სასამართლოსაგან ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 23 ივნისის საექსპერტო დასკვნის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვა-გამოკ-ვლევას და მის არგაზიარებას. უფრო მეტიც, იმ მოტივით, რომ მოპასუხეს ექსპერტის დასკვნა ბუნდოვნად მიაჩნდა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპზე იშუამდგომლა ექსპერტის მოწ-ვევისა და დაკითხვის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა. მიუხედავად სასამართლო განჩინებისა, პირველი ინ-სტანციის სასამართლოში ექსპერტი არ მოწვეულა და არ დაკითხულა. მოპასუხის ანალოგიური შუამდგომ-ლობა არ დაკმაყოფილდა ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს და 2010 წლის 16 სექტემბრის განჩინებებით, იმ მოტივით, რომ სასამართლოში წარმოდგე-ნილი დასკვნის თანახმად, ცნობილია ექსპერტის პოზიცია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2008 წლის 23 ივნისის საექსპერტო დას-კვნა გაიზიარა უკრიტიკოდ. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, საზიარო უფლების გაუქმებისას, რატომ არ უნდა მიღებულიყო მხედველობაში ქ.თბილისში, ... ქ. 122-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული უკანონო შენობა-ნაგებობები, ასევე სასამართლოს არ მოუწვევია და არ დაუკითხავს ექსპერტი, მით უმეტეს იმ პირო-ბებში, როდესაც სადავო უკანონო ნაგებობაზე უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილზე და გან-მარტავს, რომ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენისას, თუ საქ-მის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, ექსპერტის დასკვნის წარდგენა სათანადო პროცედურების დაცვით შეუძლიათ ასევე მხა-რეებს. ის, რომ ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება უნდა მოხ-დეს მტკიცებულებათა შეფასებისათვის დადგენილი საერთო წესით, დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ქ.თბილისში, ... ქ. 122-ში მდე-ბარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან შესაბამისი რეალური წილების გამოყო-ფის შეუძლებლობის შესახებ დასაშვები და დასაბუთებულია.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ გაიზიარებს კასატორის პოზიციას სააპელაციო სასამართლოს მიერ სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 380-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევაზე, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება ექსპერტ გ. ი-შვილის მოწვევისა და დაკითხვის საკითხს. რაც შეეხება კასატორის პრეტენზი-ას თავისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვასთან დაკავშირებით, საკასა-ციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა საპროცესო მოთხოვნათა დაცვით ვერ უზრუნველყო სასამართლოში მტკიცებულების წარდგენა. საკასაციო სასამართლო მ. ზ-ს განუმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმო-ება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის მე-4 მუხლის თანახმად, საქმის მონაწილე მხარეები აღჭურვილნი არიან უფლებებით დაასაბუთონ თა-ვიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებე-ბი თუ მტკიცებულებები, თვითონვე განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, თუმცა ეს უფლებე-ბი არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს საქმის განხილვის გარკვეულ ეტაპზე გამოყენებით. სწორედ ამგვარ რეგულაციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე და 380-ე მუხლები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2008 წლის 25 ნოემბერს, კასატორს არ მოთხოვია თავისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტის დასკვნის წარდგენა ან ვადა შემდგომში წარსადგენად. კასატორი არ გამოცხადებულა 2008 წლის 11 დეკემბრის მოსამზადებელ სხდომაზე და ამ პერიოდისათვის არც რაიმე განცხადებით მიუმართავს სასა-მართლოსთვის. კასატორმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართა სასამართლოს ექსპერტის დასკვნის წარმოსადგე-ნად დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ, რაც დასრულდა საქმის განხილვის მომზადების ეტაპი. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში ალტერნატიული ექსპერტის დასკვნის საქმეზე დართვის შუამდგომ-ლობას, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ დასაბუთებას, რომლითაც მ. ზ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

ამდენად სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების შემდეგ გადაწყვიტოს დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საკითხი, ხოლო დასკვნის მიღებაზე უარი დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება შესაძლება საკასაციო სასამართლოს იმსჯელოს გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებულობაზე.

კასატორ მ. ზ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები, ასევე 2011 წლის 23 მაისის 'ა-1791-11 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 10 ფურცლად, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ მ. ზ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

რაც შეეხება ადგილზე დათვალეირების ჩატარების, ექსპერტის დაკითხვისა და კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე წარმოდგენილ შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული თავისი არსით წარმოადგენს მტკიცებულებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 კარი), რომელთა მიღება და გამოკვლევა საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი დააკმაყოფილოს მ. ზ-ის ზემოაღნიშნული შუამდგომლობები.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ზ-ს საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე ნორმის მე-4 ნაწილის თანახმად კი თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღმერიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების ანაზღაურების საკითხიც საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გადაწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 სექტემბრის საოქმო განჩინება სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. მ. ზ-ის შუამდგომლობები ადგილზე დათვალიერების ჩატარების, ექსპერტის დაკითხვისა და კომისიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდის გამო.
4. მ. ზ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 26 ფურცლად, ასევე 2011 წლის 23 მაისის 'ა-1791-11 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 10 ფურცლად.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ექსპერტის დასკვნა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-1019-1050-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სატელეფონო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «კ. ო-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «... ბანკის» მიმართ გაწეული სატელეფონო მომსახურების ღირებულების – 273 828 ლარისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს – 273 828 ლარის 0,5% დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2004 წლის 1 მარტს სს «... ბანკსა» (უფლებამონაცვლე – სს «... ბანკი») და სს «ტ-ს» (უფლებამონაცვლე - შპს «კ. ო-ია») შორის დაიდო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს «ტ-ს» სს «...ბანკისათვის» უნდა გამოეყო ფიქსირებული სატელეფონო ნომრები და უზრუნველყო აბონენტის შესაბამისი სატელეფონო მომსახურება. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ვინაიდან ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი მოქმედების ერთწლიანი ვადის ამოწურვამდე მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ერთმანეთისათვის არ უცნობებიათ.

სს «ტ-ის» გენერალური დირექტორის 2007 წლის 26 ივლისის 193/07 ბრძანების თანახმად, 2007 წლის 15 აგვისტოდან ამ კომპანიის აბონენტებისათვის სატელეფონო ქსელით განხორციელებული საერთაშორისო ზარებისათვის დამტკიცდა ახალი ტარიფები და აღნიშნულის თაობაზე, სხვა აბონენტებთან ერთად, ეცნობა მოპასუხესაც.

2008 წლის 1 აგვისტოდან სს «ტ-ის» უფლებამონაცვლე შპს «კ. ო-ია», შესაბამისად, სს «...ბანკის» უფლებამონაცვლე სს «... ბანკ ს», როგორც სატელეფონო, ისე ინტერნეტ-მომსახურებას ამ დროიდან მოყოლებული უწევს მოსარჩელე.

2009 წლის აგვისტო-სექტემბერში შპს «კ. ო-მა» სს «... ბანკ ს» გაუწია სატელეფონო მომსახურება და ასანაზღაურებელმა თანხამ აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 100 548.17 ლარი, ხოლო სექტემბერში – 173 279.48 ლარი, სულ 273 828.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით პირგასამტეხლომ და საურავმა შეადგინა 15 585.00 ლარი.

მომსახურების ასანაზღაურებელი თანხის 75% სს «... ბანკი ს» კუთვნილი ნომრიდან – 505500 განხორციელებულია კუბის მიმართულებით, რის გამოც მხარეთა შორის გამართულ შეხვედრაზე სს «... ბანკისა» და «დელტა სისტემის» (მოპასუხის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მონტაჟის განმახორციელებელი კომპანია) წარმომადგენლები გაეცნენ შპს «კ. ო-ში» დაცულ ტექნიკურ ინფორმაციას სადავო პერიოდში სს «... ბანკი დან» შესული და შპს «კ. ო-ის» მიერ კუბის მიმართულებით გატარებული საერთაშორისო სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაწერს, სატელეფონო მიერთების სქემას, თუმცა მხარეებს ტექნიკურ ინფორმაციაზე შენიშვნები არ გაუკეთებიათ.

2009 წლის 21 სექტემბერსა და 15 ოქტომბერს მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და მოპასუხის მიერ განხორციელებული საერთაშორისო ზარების დეტალური ამონაწერის ელექტრონული ვერსია. მოპასუხე 2009 წლის 23 სექტემბრის წერილობითი პასუხით არ აღიარებს მოსარჩელის მიერ განხორციელებულ მომსახურებას და უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლოდის გამო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «კ. ო-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე სს «... ბანკ ს» შპს «კ. ო-ის» სასარგებლოდ დაეკისრა გაწეული მომსახურების ღირებულების – 273 828 ლარის და პირგასამტეხლოს – 54 765.6

ლარის ანაზღაურება, ამავე გადაწყვეტილებით შპს «კ. ო-ის» სარჩელი, მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიურად მზარდი ოდენობით დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაა-საჩივრა სს «... ბანკმა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სს «... ბანკი ს» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «კ. ო-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «... ბანკ ს» შპს «კ. ო-ის» სასარგებლოდ დაეკისრა გაწეული სატელეფონო მომსახურების ღირებულების – 136 914 ლარისა და პირგასამტეხლოს – 27 382.8 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ სს «...ბანკის» სამართალმემკვიდრეა სს «... ბანკი «, ხოლო სს «ტ-ის» – შპს «კ. ო-ი».

2004 წლის 1 მარტს სს «...ბანკსა» და სს «ტ-ს» შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს «ტ-ი» ვალდებული იყო სს «... ბანკისთვის» გამოეყო შემდეგი ფიქსირებული ტელეფონის ნომრები: 505500 – 505599 (505555 გარდა); 505700 – 505799 (რეზერვირებულია 505600 – 505699; 505800 – 505899 და 505900 – 505999) და მოეხდინა აბონენტის შესაბამისი სატელეფონო მომსახურებით უზრუნველყოფა – აღნიშნული ტელეფონის ნომრიდან წამოწყებული სატელეფონო გამოძახების (ზარის) დასრულება (დაკავშირება) ადრესატთან (ადრესატ ტელეფონის ნომერთან), რის სანაცვლოდაც სს «ტ-ი» მიიღებდა მომსახურების ანაზღაურებას ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით. ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმდა ერთი წლის ვადით იმ დათქმით, რომ «თუ ერთი მხარე, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე მანინგ წერილობით არ შეატყობინებდა მეორე მხარეს, რომ არ სურდა ამ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება, ეს ხელშეკრულება ჩაითვლებოდა გაგრძელებულად იმავე ვადით (პირობებით)», მხარეებს არ გამოუხატავთ ხელშეკრულების შეწყვეტის ნება და იგი დღემდე ძალაშია.

2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, ცალმხრივად გაეზარდა მომსახურების ღირებულება. ანაზღაურების თანხის ასეთი გაზრდა ძალაში შედიოდა 1 თვის გასვლის შემდეგ, როდესაც აბონენტი კომპანიისაგან მიიღებდა შესაბამის წერილობით შეტყობინებას ანაზღაურების თანხის გაზრდის შესახებ.

სს «... ბანკი ს» მიერ განხორციელებული საერთაშორისო ზარებისათვის, შპს «კ. ო-ის» მიერ ტარიფები განგარიშებულ იქნა სს «ტ-ის» 2007 წლის 26 ივლისის 193/07 ბრძანების მიხედვით, რის საფუძველზეც, 2007 წლის 15 აგვისტოდან, სს «ტ-ის» აბონენტებისათვის სატელეფონო ქსელით განხორციელებული საერთაშორისო ზარებისათვის დამტკიცდა ახალი ტარიფები, კერძოდ, კუბის მიმართულებით მომსახურების ტარიფმა შეადგინა წუთში 2.80 ლარი (2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულებით შეადგენდა წუთში 1.40 ლარს).

2008 წლის 30 ივლისის სს «ტ-ის» დირექტორ ა. აბაშიძისა და შპს «კ. ო-ის» დირექტორ მ. ს-ის ერთობლივი წერილით დასტურდება, რომ «ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სს «ტ-ის» მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებები და ვალდებულებები, აგრეთვე, საკომუნიკაციო მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა აქტივი მთლიანად (სრულად) გადაეცა შპს «კ. ო-ს» ლიცენზიათა პირდაპირი გადაპირებისა და აქტივების ნასყიდობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. 2008 წლის 1 აგვისტოდან სს «... ბანკ ს» სატელეკომუნიკაციო (სატელეგრაფო, სატელეფონო, ინტერნეტ და სხვა) მომსახურებას გაუწევდა შპს «კ. ო-ი». ამავე წერილით სს «... ბანკ ს» ეცნობა, რომ მომსახურე ოპერატორის შეცვლით, აბონენტისათვის არანაირი ცვლილება არ ხდებოდა, რასაც შეიძლებოდა რაიმე გავლენა მოეხდინა მომსახურების ხარისხზე ან პირობებზე, აგრეთვე, თხოვნით მიემართა სს «... ბანკ ს», რომ 2008 წლის 1 აგვისტოდან მიღებული სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის გადახდა ეწარმოებინათ შპს «კ. ო-თან». მხარეები შეთანხმებულელები იყვნენ ინტერნეტ პროტოკოლის ტელეფონებით მომსახურებაზე.

2009 წლის 29 აგვისტოდან 2009 წლის 2 სექტემბრამდე შპს «კ. ო-ის» მეშვეობით, კუბის მიმართულებით განხორციელდა ზარები, რომელთა წუთობრივმა რაოდენობამ მთლიანობაში შეადგინა 97795.71 წუთი. კუბის მიმართულებით განხორციელებულ ზარებზე მოპასუხის ნუმერაციის რესურსის – კონკრეტული სატელეფონო ნომრის იდენტიფიცირება მოსარჩელის მხრიდან არ მომხდარა. შპს «კ. ო-ს» სს «... ბანკ სთვის» წერილობით არ შეუტყობინებია კუბის მიმართულებით ზარებზე ტარიფის გაზრდის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2010 წლის 31 აგვისტოს 124/ფ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, პალატამ ჩათვალა, რომ შპს «კ. ო-მა» სს «... ბანკ ს» გაუწია სადავო სატელეფონო მომსახურება. სს «... ბანკ ს» სატელეფონო კავშირების განსახორციელებლად მინიჭებული ჰქონდა 212.58.126.70 I მისამართი. გამოყენებული იყო 2811.5300.5350 სერიის ჩისცო სვიჩები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ხმოვანი სიგნალების გადაცემას. სს «... ბანკი ს» ტექნიკური საშუალებებიდან შპს «კ. ო-ში» შემოსული სიგნალები გაივლიდა კომუტატორს, რომელიც ორი ორმეგაბაიტანი საკომუტაციო სისტემის (1) გამოყენებით უკავშირდებოდა შპს «კ. ო-ის» სადგურთშორისო შემავრთე-

ბელ სისტემას, საიდანაც ხდებოდა საერთო სარგებლობის ქსელში დაკავშირება. აღნიშნული ორი ორმეგაბიტანი საკომუტაციო სისტემას (1) შეეძლო ერთდროულად 60 სლაპარაკო სიგნალის გატარება. შპს «კ. ო-ის» ბილინგის სისტემაში კუბის მიმართულებით აღრიცხული ზარები წარმოადგენდა სს «... ბანკი ს» კუთვნილი 212.58.126.70 I მისამართით შპს «კ. ო-ში» დამისამართებულ ზარებს. სს «... ბანკი ში» ბილინგის ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული არარსებობის გამო. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სადავო პერიოდში შპს «კ. ო-ის» და სს «... ბანკი ს» ტექნიკურ საშუალებებს შესაძლებლობა ჰქონდა, გაეტარებინა და დაემუშავებინა ზარები კუბის მიმართულებით. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ, ვინაიდან, კუბის მიმართულებით სადავო ზარების განხორციელებისას არ მომხდარა მოპასუხის კუთვნილი კონკრეტული ნუმერაციის რესურსის (სატელეფონო ნომრის) იდენტიფიცირება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სატელეფონო მომსახურების გაწევას ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება მოიცავდა ინტერნეტ ტელეფონიას და არა ანალოგიურ (კაბელურ) სატელეფონო მომსახურებას. ინტერნეტ ტელეფონიის დროს სატელეფონო კავშირი მხარეებს შორის ხორციელდება ციფრული არხით, ინტერნეტ პროტოკოლის გამოყენებით, რა დროსაც აბონენტის გეოგრაფიული ლოკაციის განსაზღვრა, მისი იდენტიფიცირება ხდება I მისამართით, რაც არის უნიკალური იდენტიფიკატორი და იგი არ შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ერთზე მეტ სისტემას. ავტორიზებულ პირსა (პროვაიდერს) და აბონენტს შორის ინტერნეტ პროტოკოლით კავშირისას, ნუმერაციის რესურსის დაფიქსირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებისას კავშირი ხორციელდება I კავშირის მეშვეობით, რა დროსაც აბონენტის იდენტიფიცირება ხდება პროვაიდერის მიერ მინიჭებული I მისამართის საშუალებით. ნუმერაციის რესურსის დანიშნულება კი მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირებმა შეძლონ აბონენტთან დაკავშირება.

ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია სატელეფონო მომსახურება. სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, არ დაეთანხმა სს «... ბანკი ს» მოსაზრებას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მესამე პირის მხრიდან მოპასუხის გაყალბებული I მისამართის გამოყენებით, სს «... ბანკი ს» სისტემის გვერდის ავლით არასანქცირებულ (ხაკერულ) წვდომას შპს «კ. ო-ის» სისტემასთან.

პალატამ ასევე არ გაიზიარა სს «... ბანკი ს» მოსაზრება არასანქცირებული (ხაკერული) წვდომისაგან დამცავი მექანიზმების არსებობის თაობაზე, რადგანაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იმ საკითხის გამორკვევა, მოხდა თუ არა ზარები არასანქცირებულად (ხაკერულად) შპს «კ. ო-ში», სს «... ბანკი ს» კუთვნილი I მისამართით, გასული პერიოდის გათვალისწინებით ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, იმ დროს, როდესაც აპელანტის კუთვნილი I მისამართიდან კ. ო-ის მეშვეობით კუბის მიმართულებით განხორციელდა ზარები, იმავე პერიოდში, როგორც ამას აპელანტი უთითებს, ზარები ხორციელდებოდა მოპასუხის მხრიდან სხვა მიმართულებითაც, ვინაიდან ამ პერიოდში აპელანტი მის კუთვნილ I მისამართიდან ზარების გაშვებას და მიღებას ვერ შეძლებდა იმის გათვალისწინებით, რომ ერთი I მისამართით არ შეიძლება ერთდროულად სარგებლობდეს რამდენიმე სისტემა. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მესამე პირის მიერ არასანქცირებული შეღწევის (ხაკერობის) ფაქტი. ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ არასწორად გამოიყენა მოპასუხის მიმართ კუბის მიმართულებით განხორციელებულ ზარებზე გაზრდილი ტარიფი, რადგანაც 2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, ცალმხრივად გაეზარდა მოპასუხისათვის მომსახურების ღირებულება. ანაზღაურების თანხის ასეთი გაზრდა ძალაში შედიოდა 1 (ერთი) თვის გასვლის შემდეგ, რაც აბონენტი კომპანიისაგან მიიღებდა შესაბამის წერილობით შეტყობინებას ანაზღაურების თანხის გაზრდის შესახებ, მოსარჩელის წარმომადგენელმა კი აღიარა, რომ შპს «კ. ო-ს» მოპასუხისათვის აღნიშნულის შესახებ წერილობით არ უცნობებია, რაც სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე, ამ ფაქტის დადგენილად მიჩნევისათვის საკმარისად მიიჩნია, შესაბამისად, სს «ტ-ის» 2007 წლის 26 ივლისის 193/07 ბრძანების საფუძველზე, 2007 წლის 15 აგვისტოდან სს «ტ-ის» აბონენტებისათვის სატელეფონო ქსელით განხორციელებული საერთაშორისო ზარებისათვის დამტკიცებული ახალი, გაზრდილი ტარიფების მოპასუხის მიმართ გავრცელება უსაუძვლოდ ჩათვალა, რადგან მოსარჩელეს მოპასუხისათვის წერილობით არ შეუტყობინებია მომსახურების ღირებულების გაზრდის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილით 629-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და განმარტა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია სატელეფონო მომსახურება, შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, აანაზღაუროს მისი საფასური. დადგენილია, რომ მოპასუხის მიმართ, კუბის მიმართულებით ზარებზე ტარიფი არ გაზრდილა და დღ-ის ჩათვლით შეადგენს წუთში 1.40 ლარს, შესაბამისად, სს «... ბანკი ს» შპს «კ. ო-ის» მიმართ გადასახდელად უნდა დაეკისროს სატელეფონო მომსახურების ღირებულების – 136914 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 417-ე, მე-400 მუხლების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის 13 დადგენილების 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ასევე მხარეთა შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების თანახმად (რომელიც ითვალისწინებდა პირგასამტეხლოზე შეთანხმებას მომსახურების თანხის გადახდის ვადის დარღვევისათ-

ვის, რაც შეადგენდა დროულად გადაუხდელი ასანაზღაურებელი თანხის 0,5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე), ვინაიდან ანგარიშსწორება უნდა მომხდარიყო ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე კომპანიის მიერ აბონენტისთვის მიწოდებულ ანგარიშში, ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს თანხა, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გათვალისწინებით, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვისაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის 13 დადგენილების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას, რის გამოც მოპასუხეს პირგასამტეხლო უნდა დაკისრებოდა არა ვადის გადაცილებიდან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე და ასევე მის აღსრულებამდე პერიოდზე, არამედ ხსენებული დადგენილების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ფარგლებში (გადასახდელი თანხის 20%), რაც შეადგენს 27 382.8 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა მ», მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც შპს «კ. ო-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორია, რადგანაც სასამართლომ არასწორად დაადგინა სადავო სატელეფონო მომსახურების გაწევის ფაქტი და სს «... ბანკ ს» მიერ კუბის მიმართულებით ზარის განხორციელება. სასამართლომ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებულად მიჩნევით გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა – სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 629-ე მუხლების მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად იხელმძღვანელა ექსპერტიზის 2010 წლის 31 აგვისტოს დასკვნით და, ტექნიკური დეტალების სპეციალური ცოდნის არქონის გამო, არასწორად განმარტა, რომ I მისამართი გამოიყენება გეოიგრაფიული მდებარეობის დასადგენად, თავის მხრივ, I მისამართი თეორიულად უნიკალური იდენტიფიკატორია და ის არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტ სისტემას, თუმცა პრაქტიკაში ადგილი აქვს არასანქცირებული ჩართვისას «ხაკერის» მიერ I მისამართის გაყალბებას.

არასწორია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიან სატელეფონო მომსახურების ხელშეკრულებით ინტერნეტ ტელეფონის თაობაზე მომსახურების (და არა ანალოგიური (კაბელური) მომსახურების) გაწევის ფაქტს, ვინაიდან, 19 ტელეფონია თავისთავად არ გამოირიცხავს პროვაიდერის მიერ მომსახურების მიმღების ტელეფონის ნომრის იდენტიფიცირებას, ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის 2004 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების 1.1. პუნქტი.

სასამართლომ არ შეაფასა კასატორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, 2009 წლის 2 სექტემბერს შპს «კ. ო-ის» მიერ ბანკისათვის მიწოდებული ამონაწერები, რომლითაც დასტურდება ზარის წამომწყების ტელეფონის ნომერი, გარდა კუბის მიმართულებით განხორციელებული ზარებისა.

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პუნქტი, რომელზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომ, არ პასუხობს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებაში დასმულ შეკითხვას, ექსპერტი შემოიფარგლება ზოგადი განმარტებით, ამასთან, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ ირკვევა, რომ მხარეთა შორის მოსახურება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ I მისამართით იდენტიფიცირებისათვის. კასატორი ასევე არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას, რომ ბილინგის სისტემის ტარიფიცირებისათვის არ არის საჭირო პროვაიდერის მიერ კონკრეტული სატელეფონო მომსახურების იდენტიფიცირება, რადგანაც აღნიშნულის დადგენა მომხმარებლის უფლებიდან გამომდინარეობს – იცოდეს მის მიერ განხორციელებული ზარების ოდენობა და ასევე ინფორმაცია ამ ზარების თაობაზე, ამასთან, პალატამ შპს «კ. ო-ის» აღიარების საფუძველზე უდავოდ დადგენილად ჩათვალა, რომ კუბის მიმართულებით განხორციელებული სადავო ზარების ნუმერაციის რესურსის მიხედვით იდენტიფიცირება არ მომხდარა, ამასთან შეფასება არ მიუცია იმ ფაქტისთვის, რატომ არ განხორციელდა აღნიშნულის იდენტიფიცირება, მაშინ, როდესაც სხვა მიმართულებით განხორციელებული ზარები იდენტიფიცირებულია.

სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, როდესაც განმარტა, რომ მოპასუხემ რაიმე მტკიცებულების წარდგენით ვერ დაადასტურა მის მიერ სადავო მომსახურებით გამოუყენებლობის ფაქტი, ვინაიდან, ბანკს საბილინგო ინფორმაციის წარმოების ვალდებულება არ ეკისრება. ამ კუთხით სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: ა) სადავო მოსახურების გაწევამდე სს «... ბანკ ს» შეძენილი ჰქონდა დაცვის სისტემა; ბ) ექსპერტიზის დასკვნაში საუბარი არაა პროვაიდერის დაცვითი სისტემის არსებობაზე, მაშინ, როდესაც «ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «ე», «კ» და «ი» ქვეპუნქტების საფუძველზე, აღნიშნული მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა, გ) სადავო ზარები კუბის მიმართულებით განხორციელებულია 2 არასამუშაო და 2 არასრულსამუშაო დღეს; დ) შპს «კ. ო-მა» დაარღვია 2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულების 1.1. მუხლის მოთხოვნები; ე) ექსპერტის დასკვნითი ნაწილის მე-5 პუნქტში საუბარია არასანქცირებული წვდომის შესაძლებლობაზე I პროტოკოლის გამოყენებით კავშირის დროს.

კასატორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო პალატას შეფასება არ მიუცია ზარების ხანგრძლივობის საკითხისათვის, რაც დაადასტურებდა მათ არასანქცირებული წვდომით განხორციელების შესაძლებლობას. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 172-ე მუხლების მოთხოვნები და არასწორად დაამყარა გადაწყვეტილება ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელიც, პრაქტიკულად, სა-

სამართლოს კითხვებს არ პასუხობს. სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის არქონის გამო, პალატამ გააკეთა მცდარი დასკვნა, რომ სს «... ბანკი ს» კუთვნილი I მისამართის არასანქცირებული გამოყენების შემთხვევაში, ბანკი ვეღარ შეძლებდა სხვა მიმართულებით ზარების განხორციელებას. აღნიშნული დასკვნა არასწორია, რადგანაც ტექნიკურად დასაშვებია, რომ ერთი და იგივე I მისამართი ჰქონდეს რამდენიმე სისტემას, ამასთან, შესაძლებელია მოხდეს ასევე I მისამართის გაყალბებაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით სს «... ბანკი ს» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «... ბანკი ს» საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, კერძოდ:

2004 წლის 1 მარტს სს «... ბანკსა» და სს «ტ-ს» შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს «ტ-ი» ვალდებული იყო სს «... ბანკისთვის» გამოეყო შემდეგი ფიქსირებული ტელეფონის ნომრები: 505500 – 505599 (505555 გარდა); 505700 – 505799 (რეზერვირებულია 505600 – 505699; 505800 – 505899 და 505900 – 505999) და მოეხდინა აბონენტის შესაბამისი სატელეფონო მომსახურებით უზრუნველყოფა – აღნიშნული ტელეფონის ნომრიდან წამოწყებული სატელეფონო გამოძახების (ზარის) დასრულება (დაკავშირება) ადრესატთან (ადრესატ ტელეფონის ნომერთან), რის სანაცვლოდაც სს «ტ-ი» მიიღებდა მომსახურების ანაზღაურებას ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით. მხარეები ასევე შეთანხმებულები იყვნენ ინტერნეტ პროტოკოლის ტელეფონებით მომსახურებაზე. დადგენილია, რომ სს «... ბანკის» სამართალმემკვიდრეა სს «... ბანკი», ხოლო სს «ტ-ის» – შპს «კ. ო-ი».

2009 წლის 29 აგვისტოდან 2009 წლის 2 სექტემბრამდე შპს «კ. ო-ის» მეშვეობით, კუბის მიმართულებით განხორციელდა ზარები, რომელთა წუთობრივმა რაოდენობამ მთლიანობაში შეადგინა 97795.71 წუთი. კუბის მიმართულებით განხორციელებულ ზარებზე მოპასუხის ნუმერაციის რესურსის – კონკრეტული სატელეფონო ნომრის იდენტიფიცირება მოსარჩელის მხრიდან არ მომხდარა. მოცემულ დასკვნას სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2010 წლის 31 აგვისტოს 124/ფ ექსპერტის დასკვნა.

შპს «კ. ო-ის» ბილინგის სისტემაში კუბის მიმართულებით აღრიცხული ზარები წარმოადგენდა სს «... ბანკი ს» კუთვნილი 212.58.126.70 I მისამართით შპს «კ. ო-ში» დამისამართებულ ზარებს. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ, ვინაიდან, კუბის მიმართულებით სადავო ზარების განხორციელებისას არ მომხდარა მოპასუხის კუთვნილი კონკრეტული ნუმერაციის რესურსის (სატელეფონო ნომრის) იდენტიფიცირება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სატელეფონო მომსახურების გაწევას ადგილი არ ჰქონია.

პალატამ ჩათვალა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მესამე პირის მიერ არასანქცირებული შეღწევის (ხაკერობის) ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მონაწილე მხარეთა პოზიციითაა განსაზღვრული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, რაც ასახულია კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითებდა შემდეგ ფაქტებზე: სს «ტ-ი» თანახმად 2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულებისა, ვალდებული იყო გამოეყო სს «... ბანკისათვის» ფიქსირებული ნომრები და უზრუნველყო აბონენტის შესაბამისი სატელეფონო მომსახურება; 2008 წლის 1 აგვისტოდან შპს «კ. ო-ი» უწევს სს «... ბანკი ს» როგორც სატელეფონო, ასევე

ინტერნეტ მომსახურებას; 2009 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში შპს «კ. ო-მა» სს «... ბანკი ს» გაუწია 273 828.00 ლარის ღირებულების სატელეფონო მომსახურება, საიდანაც მომსახურების 75%-ი განხორციელებულია კუბის მიმართულებით მოპასუხის სატელეფონო ნომრიდან – 505500. ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოსაზრებებიდან და მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა დაედასტურებინა, რომ მართლაც გაუწია სადავო პერიოდში მოპასუხეს შესაბამისი მომსახურება, რომლის 75% განხორციელდა კუბაში.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა სადავო სატელეფონო მომსახურების ფაქტი, რომელსაც საფუძველად დაუდო ექსპერტიზის 2010 წლის 31 აგვისტოს დასკვნის არასწორი შეფასება. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პუნქტი, რომელზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომ, არ პასუხობს ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ განჩინებაში დასმულ შეკითხვას. პალატამ შპს «კ. ო-ის» აღიარების საფუძველზე უდავოდ დადგინა ჩათვალა, რომ კუბის მიმართულებით განხორციელებული სადავო ზარების ნუმერაციის რესურსის მიხედვით იდენტიფიცირება არ მომხდარა, ამასთან შეფასება არ მიუცია იმ ფაქტისთვის, რატომ არ განხორციელდა აღნიშნულის იდენტიფიცირება, მაშინ, როდესაც სხვა მიმართულებით განხორციელებული ზარები იდენტიფიცირებულია.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, ასევე სააპელაციო სასამართლოს იმ შეფასებებს, სადაც ცალსახადაა აღნიშნული, რომ კუბის მიმართულებით განხორციელებულ ზარებზე, მოპასუხის ნუმერაციის რესურსის კონკრეტული სატელეფონო ნომრის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 3.1.5. პუნქტი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.8 პუნქტი). საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით ექსპერტისათვის დასმულ კითხვებთან ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა იმ საკითხის გამორკვევას, ზარების კუბის მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში, კონკრეტულად რომელი სატელეფონო ნომრიდან და რა ხანგრძლივობის ზარები იქნა განხორციელებული. როგორც სააპელაციო სასამართლომ ექსპერტის დასკვნის შეფასების საფუძველზე დაადგინა, შპს «კ. ო-ის» ბილინგის სისტემაში კუბის მიმართულებით აღრიცხული ზარები წარმოადგენდა სს «... ბანკი ს» კუთვნილი 212.58.126.70 I მისამართით შპს «კ. ო-ში» დამისამართებულ ზარებს. ამდენად ის გარემოება, რაზეც მოსარჩელე აფუძნებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას, ექსპერტის მიერ ცალსახად არ იქნა დადგენილი. სააპელაციო სასამართლომ მიუხედავად სადავო ზარების კონკრეტული ნუმერაციის რესურსის (სატელეფონო ნომრის) იდენტიფიცირების შეუძლებლობისა, არ გამორიცხა სადავო მომსახურების გაწევის ფაქტი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე და განმარტავს, რომ ამავე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, კი, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ამდენად სასამართლოს მოსაზრებანი, რომლებითაც იგი იზიარებს ან უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, უნდა აისახოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში. მართალია მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ექსპერტის დასკვნას მიანიჭა უპირატესი მნიშვნელობა, ვინაიდან დავის არსიდან გამომდინარე სადავო საკითხების გადაწყვეტა მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას, თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ექსპერტის დასკვნა არ იქნა შეფასებული ყოველმხრივ და სრულად, საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მაგალითად: მხედველობაში არ იქნა მიღებული ის ფაქტი, რომ სადავო პერიოდი მოიცავდა 2 არასამუშაო დღეს; ასევე ზარების წუთობრივმა რაოდენობამ შეადგინა 97795,71 წუთი. პალატა ყურადღებას გაამახვილებს ექსპერტის დასკვნის იმ ნაწილზე, სადაც იგი განმარტავს, რომ 2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული ტექნიკური უზრუნველყოფის დეტალები, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა კავშირის ტექნიკური უზრუნველყოფა, ამასთან, ექსპერტი დასკვნით ნაწილში არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ შპს «კ. ო-ში» სს «... ბანკი ს» კუთვნილი I მისამართით არასანქცირებულად მოხვდა ზარები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ მიერ დარღვეულ იქნა საპროცესო ნორმები, რის შედეგადაც სასამართლომ არასწორად დაადგინა შპს «კ. ონლაინის» მიერ სს «... ბანკი ს-ის» სადავო სატელეფონო მომსახურების ფაქტი, დასაბუთებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლზე, რომლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, დადებულია ნარდობის ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 629-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. შესაბამისად, თუ სახეზე არ

არის სამუშაოს შესრულების ფაქტი, არ წარმოიშობა შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, შპს «კ. ო-ი» ედავებოდა მოპასუხე სს «... ბანკი ს» ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული მომსახურების თანხის გადაუხდელობას, რის გამოც სასამართლოში მოითხოვა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მისთვის შესაბამისი ანაზღაურების დაკისრება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან საკასაციო განაცხადი ეხება სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, ამასთან, კასატორის მხრიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე წარმოდგენილ იქნა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი სხვა გარემოებები არ ქმნიან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ შემადგენლობას, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე სს «... ბანკი მ» საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა 7 000 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 8 000 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და შპს «კ. ო-ს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სასამართლო თვლის, რომ ამ უკანასკნელს სს «... ბანკი ს» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 15 000 (7000+8000) ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. სს «... ბანკი ს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს «კ. ო-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს «კ. ო-ს» (ს/1...) სს «... ბანკი ს» (ს/1202906427) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯები 15 000 ლარის ოდენობით.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განმეორებითი ექსპერტის დანიშვნა

განჩინება

¹ას-689-650-2011

18 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, სასაზღვრო მიჯნის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. და ა. ნ-ებმა სარჩელი აღძრეს დ., დ. და ნ. ფ-ების მიმართ და მოითხოვეს უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, სასაზღვრო მიჯნის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: 2001 წლის 9 ივლისს მოპასუხე დ. ფ-მა და მისი ოჯახის წევრებმა დ. და ნ. ფ-ებმა თვითნებურად დაარღვიეს ქ. ქუთაისში, ...¹55-ში მდებარე მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოს სასაზღვრო კაპიტალური ღობე, ბეტონის ბორდიული,

აგურის კედელი, მოტეხეს წყლის ონკანის მილი და თვითნებურად გაავლეს ახალი საზღვარი. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ მიმართა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას. დ. ფ-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რაშიც დაზარალებულად ცნეს მოსარჩელე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, 2008 წლის 21 ნოემბრის ძალაში შესული «ამნისტიის შესახებ» კანონის თანახმად, შეწყდა. საქმესთან დაკავშირებით შედგენილი 1700 კონსულტაციის აქტით დადგენილია მოპასუხის მიერ ნ-ეებისათვის მიყენებული ზიანი – 265 ლარი.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სასაზღვრო ზოლში არსებული კაპიტალური ღობე მოპასუხეების მიერ არ ყოფილა დარღვეული. აღნიშნული ღობე ნ-ეებმა გააკეთეს მოპასუხეების ეზოში მიტაცებული 2 მეტრის სიგანის მიწაზე. დ. ფ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

თვითნებობის ფაქტზე სათანადო მტკიცებულებების გარეშე. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აღდგა სამეზობლო საზღვარი ნ-ეებსა და ფ-ებს შორის. მოპასუხეებს დაევალიათ თავისი სახსრებით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო სარჩელი მატერიალური ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ნ. ფ-ებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. გ-ისა (ფ-ი) და დ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი, ხოლო ნ. ნ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1957 წლის 23 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე თ. გ-ემ ვ. ლ-მისაგან შეიძინა ქ. ქუთაისში, ...ქუჩის 151-ში (ამჟამად, ...ქუჩა 155-ში) მდებარე ბინა დამხმარე სათავსებით. 2001 წლის 13 ივლისს, მოქალაქე ა. ნ-ემ განცხადებით მიმართა პოლიციას, რითაც ითხოვდა შესაბამისი ზომების გატარებას დ. ფ-ის მიმართ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ დ. ფ-მა დაანგრია მათი საზღვრის კაპიტალური ღობე და აპირებდა ახალი ღობის აშენებას მათი ეზოსკენ გადმოწევით. 2001 წლის 22 აგვისტოს, სკვ-ის 360-ე მუხლის 1-ელი პუნქტით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მოქალაქე დ. ფ-ის მიმართ თვითნებობის ჩადენის ფაქტზე, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. 2008 წლის 25 დეკემბერს «ამნისტიის შესახებ» კანონის თანახმად, წინასწარი გამოძიება შეწყდა. სისხლის სამართლის საქმეზე 2001 წლის 1700 კონსულტაციის აქტით დადგინდა, რომ ნ-ეების ოჯახისათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 265.20 ლარი. მხარეთა განმარტებებით დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2005 წლის 2 ივლისს გარდაიცვალა თინა გ-ე და მისი სამკვიდრო მიიღო ლ. ნ-ემ.

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მასალებით, ქ. ქუთაისში, ...ქუჩა 157-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, მიწის ნაკვეთით, აღრიცხულია მაგდანა ფ-ის სახელზე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენს 1060 კვ.მ-ს უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე. ქ. ქუთაისში, ...ქუჩა 155-ში და 157-ში მდებარე უძრავი ნივთები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებული არ არის. პალატამ დამატებით განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის განმარტებითა და საქმეში განთავსებული გეგმა-ნახაზებით ირკვევა, რომ, თუკი ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივში დაცული ნახაზის მიხედვით, ფ-ების მხარეს, თ. გ-ის (დღეისათვის ნ. ნ-ის) კანონიერ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთზე საზღვარი გაივლება, სასაზღვრო ზოლი გაივლის ფ-ების საცხოვრებელ სახლზე. ქუთაისის შსს პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსის მიმართ, ქუთაისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროსის 2001 წლის 16 აგვისტოს წერილითა და ამ წერილზე დართული სიტუაციური გეგმა-ნახაზით ირკვევა, რომ იმ დროისათვის ფაქტობრივი მდგომარეობით არსებული სასაზღვრო ზოლის ფუნდამენტი არ იყო ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიულ სამსახურში არსებული კანონიერი მონაცემების შესაბამისი. კანონიერ ზომებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭირო იყო თინა გ-ის სახლის ფასადზე, სახლის კუთხიდან გადაიზომოს 0,7 მეტრი დასავლეთით, ხოლო სახლის უკანა მხარეს, სახლის კუთხიდან გადაიზომოს დასავლეთით 3,90 მეტრი და ამ სამ წერტილზე გატარდეს სასაზღვრო ზოლი გ-ესა და ფ-ის საკარმიდამო ნაკვეთებს შორის. რაც შეეხება გ-ესა და ფ-ს შორის უფრო ზუსტი, მანამდე არსებული საზღვრის დადგენა ვერ მოხერხდა 20 წლის განმავლობაში ინვენტარიზაციის ჩატარებლობის გამო.

საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 15785/15-2010 დასკვნის თანახმად, ა) «დღეისათვის არსებული სიტუაცია მოცემული არის დანართი 11-ში. დანართის მიხედვით, ფ-ების ფაქტობრივ მფლობელობაში არის ნაკვეთი ფართით 891,9 კვ.მ, ხოლო ნ-ეების ფაქტობრივ მფლობელობაში – 929,3 კვ.მ. ბ) სახლის უკანა ფასადთან, საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო ღობე ქუჩის მხარეს მდებარე მისივე უკიდურესი წერტილიდან 24,7 მ-ით დაშორებულ წერტილში, არსებულთან შედარებით, გადანაცვლებულია ფ-ის სახლის მხარეს 1,2 მ მანძილით. გ) საარქივო მასალების მიხედვით, ნ-ეების სახლის წინა ფასადთან მიჯნა არსებულთან შედარებით 0,4 მ-ით არის წანაცვლებული ფ-ების მხარეს, ხოლო უკანა ფასადთან – 1,2 მ-ით. დ) საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო სასაზღვრო ზოლის აღსადგენად დანართი 12-ის მიხედვით 12 წერ-

ტილი უნდა გადაიწიოს ფ-ის მხარეს 1,2 მ-ზე 12 წერტილში და 12 წერტილი სწორი ხაზით შეურთდეს 11 წერტილს და 33 წერტილს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებები სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლისა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით. პალატამ დამატებით განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4-ე მუხლის, 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 103-ე მუხლის თანახმად, მოპასუხემ სადავო გახადა 2001 წლისათვის ახალი სასაზღვრო ღობის მშენებლობისას ამ დრომდე არსებული სასაზღვრო ზოლის გადაადგილების ფაქტი.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ 2001 წელს, მოპასუხემ არა მარტო დაარღვია მათ შორის არსებული სასაზღვრო ღობე, არამედ ახლის მშენებლობისას გადასცა ამ დრომდე არსებულ საზღვარს. პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 102-ე-103-ე მუხლის შესაბამისად, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო არსებული მტკიცებულებებით დგინდება საწინააღმდეგო, კერძოდ: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილების თანახმად, 2001 წელს დ. ფ-მა ჩაიდინა თვითნებობა, რაც გამოიხატა თ. გ-სთან სასაზღვრო ზოლის თვითნებურად დარღვევაში. ამ მტკიცებულებით არ დგინდება სასაზღვრო ზოლის გადაწევის ფაქტი. ქ. ქუთაისის შსს პოლიციის მე-5 განყოფილების უფროსის მიმართ ქ. ქუთაისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროსის 2001 წლის 16 აგვისტოს წერილით დგინდება, რომ იმ დროისათვის გ-ესა და ფ-ს შორის, ფაქტობრივი მდგომარეობით არსებობდა სასაზღვრო ზოლის ფუნდამენტი, რაც არ იყო ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიულ სამსახურში არსებული კანონიერ მონაცემებთან შესაბამისი. ამ მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ 2001 წელს გააკეთეს ახალი ფუნდამენტი და ამ დრომდე ფაქტობრივად არსებული სასაზღვრო ზოლი გადასწიეს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით სისხლის სამართლის საქმეზე 2001 წლის 1700 კონსულტაციის აქტით გამოთვლილ იქნა ნ-ების ოჯახზე მიყენებული ზარალი ბეტონის ბორდიურის, აბანოსა და ბოსელთან არსებული აგურის კედლის დამტვრევითა და წყლის ონკანის მილის მოტეხვით ფაქტობრივად წარმოშობილი ზიანი 265,20 ლარის ოდენობით. აღნიშნული აქტი არ შეიცავს მონაცემებს სასაზღვრო ზოლის გადაწევით წარმოშობილ ზიანზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დღეისათვის არსებული სასაზღვრო მიჯნა ისევეა აგებული, როგორც ეს 1997 წლამდე იყო. 2001 წელს განხორციელდა არსებული, ძველი ამორტიზებული ღობის დანგრევა და იმავე ზოლზე ახლის მშენებლობა.

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ თ. გ-ის საკუთრებას წარმოადგენდა 1997 წლის მდგომარეობით არსებულ საზღვრებში განთავსებული 408 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რაც კანონიერ სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული. ტექნიკური ბიუროს არქივში დაცული საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ თ. გ-ისათვის მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის საზღვრები 1994 წლის ინვენტარიზაციის დროისათვის ფაქტობრივად შეცვლილი იყო, ხოლო სარჩელის წარდგენის დროისათვის თ. გ-ესა და ფ-ებს შორის სასაზღვრო მიჯნა იმავე ზოლზეა გავლებული, როგორც ეს 1997 წლამდე იყო. პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა, აღდგენილ იქნას სასაზღვრო მიჯნა საარქივო მასალების საფუძველზე, არის უსაფუძვლო. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება ფ-ების მხრიდან სასაზღვრო მიჯნის დარღვევის ფაქტი. პალატამ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნითი ნაწილი წინააღმდეგობრივია, კერძოდ, დასკვნის «ბ» და «გ» პუნქტებით დადგენილ იქნა, რომ საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო ღობე განანაცვლებულია, ფ-ის სახლის მხარეს, ხოლო, იმავე დასკვნის «დ» პუნქტით, სამეზობლო სასაზღვრო ზოლის აღსადგენად დადგენილი იქნა ღობის ფ-ის მხარეს გადაწევა. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილად ჩათვალა, რომ მოპასუხის ოჯახმა ნ-ის ოჯახის სამეზობლო ღობის თვითნებურად გადმოსწია, ასევე არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ტექნიკური ბიუროს არქივის მასალებზე დაყრდნობით უნდა მომხდარიყო ზუსტი საზღვრის დადგენა და სასაზღვრო მიჯნის აღდგენა, შესაბამისად, ლ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებით ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ემ შემდეგი საფუძველით: საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ თ. გ-ეს (ამჟამად ნ-ეს) 1997 წლამდე და, შესაბამისად, 2001 წლამდე სანამ ფ-ები დაარღვევდნენ სამეზობლო საზღვარს, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი ჰქონდა 569 კვ.მ, მათ შორის, უფლების დამადასტურებელი საბუთით 408 კვ.მ. აღნიშნული დგინდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის ცნობით და წარმოდგენილი გეგმა-ნახაზით. პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რადგან ამ ნორმის ამოქმედების დროს თ. გ-ის მიწის ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენდა 569 კვ.მ-ს ამ დროისათვის არსებული სასაზღვრო მიჯნაც დადგენილი და გავლებული იყო კანონიერ ზომებში, 2001 წელს კი, ფ-ების მიერ დაირღვა ეს სასაზღვრო მიჯნა და გადმოსწიეს კასატორების მხარეს. საქმეში წარმოდგენილი ორთოფოტოდან ნათლად ჩანს ძველი სასაზღვრო მიჯნა და ის განსხვავდება დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობით გავლებული სასაზღვრო მიჯნისაგან. მოწინააღმდეგემ ვერ წარმოადგინა საქმეში არსებული მტკიცებულებების

საპირისპირო, გამაბათილებელი მტკიცებულება. დ. ფ-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დგინდება სასაზღვრო მიჯნის დარღვევის ფაქტი, რომელსაც, სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თვითნებობის კვალიფიკაცია მიეცა. სასაზღვრო მიჯნის აღდგენის თაობაზე დავა სისხლის სამართლის წესით ვერ აღიძვრებოდა, რადგან აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული არ არის. 2001 წლის 1700 კონსულტაციის აქტი და 2001 წლის 16 აგვისტოს ქუთაისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის წერილით უდავოდ დასტურდება ის ფაქტი, რომ ფ-ები შემოიჭრნენ ნ-ეების ტერიტორიაზე და მიჯნის დარღვევა ზუსტად არის აღწერილი. 2010 წლის ექსპერტის დასკვნით მკაფიოდ გაეცა პასუხი ყველა სადავო საკითხს. მოწინააღმდეგე მხარეს ან სასამართლოს, აღნიშნული დასკვნის გაბათილების მიზნით, შეეძლო, ჩაეტარებინა განმეორებითი ან დამატებითი ექსპერტიზა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ გაიზიარა სარჩელის ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2001 წელს, მოპასუხემ არა მარტო დაარღვია მათ შორის არსებული სასაზღვრო ლოზე, არამედ ახლის მშენებლობისას გადაცდა ამ დრომდე არსებულ საზღვარს. პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო არსებული მტკიცებულებებით – სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებით, ქუთაისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროსის 2001 წლის 16 აგვისტოს წერილით და 2001 წლის 1700 კონსულტაციის აქტით სასაზღვრო ზოლის გადაწევის ფაქტი არ დგინდება. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას, პალატამ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნითი ნაწილი წინააღმდეგობრივია, კერძოდ, დასკვნის «ბ» და «გ» პუნქტებით დადგენილ იქნა, რომ საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო ლოზე გადანაცვლებულია, ფ-ის სახლის მხარეს, ხოლო, იმავე დასკვნის «დ» პუნქტით, სამეზობლო სასაზღვრო ზოლის აღსადგენად დადგენილ იქნა ლოზის ფ-ის მხარეს გადაწევა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას მტკიცებულებათა არასრულყოფილად გამოკვლევის თაობაზე, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სავსებით მართებულად ჩათვალა რა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სასაზღვრო მიჯნის დარღვევის ფაქტის დადგენა სამართლებრივ სფეროს არ განეკუთვნება და სპეციალურ ცოდნას მოითხოვდა, მოპასუხეების შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. ექსპერტმა ადგილზე აზომვებისა და საქმეზე წარმოდგენილი მასალების შედარებით დაასკვნა, რომ ბ) სახლის უკანა ფასადთან, საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო ლოზე ქუჩის მხარეს მდებარე მისივე უკიდურესი წერტილიდან 24,7 მ-ით დაშორებულ წერტილში, არსებულთან შედარებით, გადანაცვლებულია ფ-ის სახლის მხარეს 1,2 მ მანძილით; გ) საარქივო მასალების მიხედვით, ნ-ეების სახლის წინა ფასადთან მიჯნა არსებულთან შედარებით 0,4 მ-ით არის წანაცვლებული ფ-ების მხარეს, ხოლო უკანა ფასადთან – 1,2 მ-ით; დ) საარქივო მასალების მიხედვით, სამეზობლო სასაზღვრო ზოლის აღსადგენად დანართი 12-ის მიხედვით 12 წერტილი უნდა გადაიწიოს ფ-ის მხარეს 1,2 მ-ზე 12 წერტილში და 12 წერტილი სწორი ხაზით შეუერთდეს 11 წერტილს და 133 წერტილს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ აღნიშნული დასკვნის «ბ» და «გ» პუნქტები არცთუ ნათლად ადგენს გარემოებას «დ» პუნქტთან მიმართებით, თუმცა დასკვნის «დ» პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენს სამეზობლო სასაზღვრო ზოლის აღდგენის წესს, რომლითაც ასევე დგინდება სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის – სასაზღვრო მიჯნის დარღვევის ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის

მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების ან მისი უარყოფის მართლზომიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები ან სასამართლო არსებულ ექსპერტიზის დასკვნას უსწოროდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებელი ითვალისწინებს გარკვეულ დათქმას, კერძოდ, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია მაშინ, თუ მის გარეშე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა შეუძლებელია. მტკიცებულებათა სრულფასოვნად გამოკვლევის მიზნით ექსპერტის დასკვნის შემოწმება უნდა მოხდეს მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთმედარების გზით. თუ ექსპერტის დასკვნა უპირისპირდება საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებებს, რომლის უტყუარობა ექვს არ უნდა იწვევდეს (მაგ: საარქივო მასალები, რეესტრის მონაცემები და სხვა) ან თვით დასკვნა განმარტებას მოითხოვს, სასამართლოს საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი.

საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო ექსპერტი პ. გ-მე, რომელსაც დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით დაესვა კითხვები. თუკი სააპელაციო სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას წინააღმდეგობრივად მიიჩნევდა, მას შეეძლო ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მეთოდით (ექსპერტის განმარტებით ან განმეორებითი ექსპერტიზით) გაერკვია სპეციალისტის აზრი სადავო საკითხთან მიმართებით. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია სადავო ფაქტის – სასაზღვრო მიჯნის გადაწევის მნიშვნელობიდან და იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ამ ფაქტის დადგენა სპეციალურ ცოდნას (საქმეში არსებული ნახაზების აზომვით ნახაზებთან შედარებას) მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო არასაკმარისად მიიჩნევს სააპელაციო პალატის დასაბუთებას საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან – სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება ქუთაისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის უფროსის 2001 წლის 16 აგვისტოს წერილსა და 2001 წლის 1700 კონსულტაციის აქტთან დაკავშირებითაც, ვინაიდან მათი გამოკვლევა უნდა მოხდეს, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ურთიერთშეჯერებითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.